# ონლაინ არქეოლოგია

№ 18 2020



# Online Archaeology

***რედაქტორი* - ნიკოლოზ ანთიძე**

***სარედაქციო კოლეგია:***

კონსტანტინე ფიცხელაური

დავით ლომიტაშვილი

ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი

ზურაბ გიორგაძე

ნიკოლოზ მურღულია

***კოორდინატორი და სტილისტური რედაქტორი* -** მაია ჩოლოყაშვილი

***კორექტორი* –** თეა ქაშაკაშვილი

***ინგლისური თარგმანი*** - ნინო გაბუნია

*Editor – Nikoloz Antidze*

***Editorial Board:***

Konstantine Pitskhelauri

David Lomitashvili

Nikoloz Tushabramishvili

Zurab Giorgadze

Nikoloz Murghulia

***Coordinator and stylisc editor*** - Maya Cholokhashvili

***Proofreader -*** *Thea Kashakashvili*

***English translation*** - *Nino Gabunia*

***ISSN 2587-4608 9772587460003***

***2020***

# რედაქციისგან:

რედაქცია, შესაძლოა, არ იზიარებდეს ჟურნალში განთავსებულ სამეცნიერო სტატიებში გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას, მაგრამ "ონლაინ არქეოლოგია" შეუფერხებლად გამოაქვეყნებს ამგვარ წერილებსაც და, შესაბამისად, ღიაა პოლემიკისთვის.

***From the editorial team:***

*Editorial, perhaps, does not share some opinions expressed in sciebtific articles in the magazine, but "Online Archaeology" publishes such letters and there fore it is open to discussions.*

# სარჩევი / CONTENTS

7 **ინტერვიუ**

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის, ნიკოლოზ ანთიძის წლის ანგარიში „ონლაინ არქეოლოგიის“ მკითხველს

16 **INTERVIEW**

Annual Report of the General Director of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, Nikoloz Antidze to the readers of 'Online Archaeology'

23 **არქეოლოგიური დაიჯესტი**

დმანისი - აგვისტო - 2020

ვაშნარი - აგვისტო - 2020

მაშავერა - აგვისტო - 2020

ნადიკრები/გოგიჩაანთ ღელე - აგვისტო - 2020

საბუე - სექტემბერი - 2020

ფარავანი - სექტემბერი - 2020

სურამი - სექტემბერი - 2020

ჭაქვინჯა - სექტემბერი - 2020

50 **ARCHAEOLOGICAL DIGEST**

Dmanisi – August – 2020

Vashnari – August – 2020

Mashavera - August – 2020

Nadikrebi/Gogichaant Ghele – August – 2020

Sabue-September-2020

Paravani – September – 2020

Surami-September-2020

Chakvinja – September – 2020

57 **ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა**

**ახალი აღმოჩენა ხუნწის ციხეზე - ნიკოლოზ მურღულია**

69 **NEW ARCHAEOLOGICAL DISCOVERY**

**New Discovery at Khuntsi Castle - Nikoloz Murghulia**

# სარჩევი / CONTENTS


74 **სტატიები**

სასამართლო-საექსპერტიზო არქეოლოგია და ანთროპოლოგია - ირაკლი ანჩაბაძე

80 კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სხვადასხვა კატეგორიის ძეგლების (ნამოსახლარები, სამაროვნები, ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოები) არქეოლოგიური რუკები - ლერი ჯიბლაძე

96 **ARTICLES**

Forensic Archaeology and Anthropology - Irakli Anchabadze

98 Archaeological Maps of Bronze - Early Iron Age Sites of Different Categories in Colchis (settlement-sites, cemeteries, bronze manufacturing workshops) - Leri Djibladze

99 **თვალსაზრისი**

ზარზმის მონასტრის დაარსების თარიღისთვის – რევაზ კვირკვაია

114 **STANDPOINT**

On the date of founding Zarzma Monastery – Revaz Kvirkvaia

124 **გაიცანით საქართველო**

ფშაველი

127 **GET TO KNOW GEORGIA**

Pshaveli

129 **მიტაცებული საქართველო**

ლორე - ტაშირი - თინათინ მღვდლიაშვილი

135 **SEIZED GEORGIA**

Lore-Tashir – Tinatin Mgvdliashvili

137 **ცნობისათვის**

ქვა, ასომთავრული წარწერით - „ქ რ ი ს ტ ე“

139 **FOR INFORMATION**

A stone with an asomtavruli (capital) inscription -’Christ’

# სარჩევი / CONTENTS

140 საქართველოს ღვაწლმოსილი არქეოლოგები

რამინ რამიშვილი - დავით მინდორაშვილი, გიორგი გოგოჭური

145 HONORED ARCHAEOLOGIST OF GEORGIA

Ramin Ramishvili - David Mindorashvili, Giorgi Gogochuri

149 პლანეტა და არქეოლოგია

7 არქეონიუსი 1 პლანეტიდან - 2 0 2 0

156 THE PLANET AND ARCHAEOLOGY

7 Archaeonews from 1 Planet – 2020

159 მუზეუმები და არტეფაქტები

ვირტუალური პორტრეტები:

ნინო ჯოლია

ემზარ კახიძე

168 MUSEUMS AND ARTIFACTS

The virtual portraits:

Nino Djolia

Emzar Kakhidze

174 არქეოლირიკა

მოგონებები რამინ რამიშვილზე

დიდი კაცი - გიორგი ლორთქიფანიძე

177 რამინ რამიშვილი და ქრისტიანული არქეოლოგია - ქეთევან რამიშვილი

181 ARCHAEOLIRIQUE

Memories about Ramin Ramishvili

Great Man - Giorgi Lortkipanidze

183 Ramin Ramishvili and Christian Archaeology - Ketevan Ramishvili



## საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის, ნიკოლოზ ანთიძის წლის ანგარიში „ონლაინ არქეოლოგიის“ მკითხველს

*წელს, როდესაც „ონლაინ არქეოლოგიის“ დაარსებიდან 10 წელი შესრულდა, წელს, როდესაც ჟურნალი უკვე 14 დადგენილი რუბრიკისგან შედგება და მისი პოპულარობის მასშტაბები ერთნაირად ფართოა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო რუბრიკა ჩვენი მკითხველისთვის გახლავთ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის, ნიკოლოზ ანთიძის ყოველწლიური საახალწლო ინტერვიუ, ანუ ყოველი განვლილი წლის ანგარიში „ონლაინ არქეოლოგიის“ მკითხველს.*

*2014 წლიდან დღემდე „ონლაინ არქეოლოგიამ“ გამოაქვეყნა გენერალური დირექტორის 6 ინტერვიუ, საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილია 6 წლის 6 ანგარიში, რის შედეგადაც ჟურნალის ეს რუბრიკა უკვე ერთგვარ საინფორმაციო პაკეტად იქცა, რომელიც გამჭვირვალედ აწვდის ამომწურავ ცნობებს საზოგადოებას განვლილი წლის, როგორც მიღწევების, ისე ხარვეზების შესახებ კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მართვის სფეროში.*

*საინტერესოა, როგორი იყო 2020 წელი? საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მე-7 რეალობა, რომელიც ყველაზე მძიმე, მსოფლიო თუ ლოკალური გამოწვევების ფონზე მიმდინარეობდა? როგორია კორონავირუსის გავლენა საქართველოს ძეგლების აწმყოსა და მომავალზე და რა ელის გელათს მოკლე თუ გრძელვადიან პერსპექტივაში?*

*6 განვლილი ანგარიშისა და 6 გაწონასწორებული მსჯელობის ფონზე, წელს მე-7 ინტერვიუში, ნიკოლოზ ანთიძე პირველად ავრცელებს პირველ კატეგორიულ განცხადებას და ამბობს, რომ პროცესები გელათის ირგვლივ პოლიტიზირებულია და მისთვის მიუღებელია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით პოლიტიკურად ანგაჟირებული ოპონირება... პანდემიის შედეგებს კი მისი უწყება დიდი შრომისა და სწორად დასახული პრიორიტეტების განვითარებით აღკვეთს.*

*მაშ ასე, გენერალური დირექტორის მე-7 რეალობა - უთვალავი განსხვავებული აზრის, ხედვისა და მსჯელობის ობიექტური ქვაკუთხედი.*

*ნიკოლოზ ანთიძის მე-7 წლის ანგარიში „ონლაინ არქეოლოგიის“ მკითხველს:*

***– ბატონო ნიკოლოზ, დავიწყოთ საუბრით იმის შესახებ, რაც დღეს არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიო გამოწვევაა, ანუ COVID-19 და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, როგორ პასუხობს სააგენტო კორონავირუსით განპირობებულ უძრაობას?***

– პირველ ყოვლისა, მინდა ვისარგებლო „ონლაინ არქეოლოგიის“ ტრიბუნით და მწუხარება გამოვთქვა იმის გამო, რომ წელს საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებამ სამი ღვაწლმოსილი არქეოლოგი დაკარგა — ოთარ ჯაფარიძე, გურამ ლორთქიფანიძე და გურამ გრიგოლია. ეს დიდი დანაკლისია, არა მხოლოდ ჩვენი სფეროს სპეციალისტებისა და გულშემატკივრებისთვის, არამედ, ზოგადად ქვეყნისთვის და ისეთი დანაკლისი, რომელიც მომავალში კიდევ უფრო მწვავედ შეიგრძნობა. ვგულისხმობ, დარგის განვითარების მიმართულებით გარკვეული წინააღმდეგობების დაძლევის გართულებას.

რაც შეეხება კორონა ვირუსს, დიახ, საკმაოდ მძიმე წელიწადი დაუდგა მთელ სამყაროს და, რასაკვირველია, ჩვენც. სააგენტო ძალიან დაზარალდა ფინანსური თვალსაზრისით, რადგან, საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ჩვენი უწყება ორიენტირებულია არა მარტო კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობაზე, ის ასევე აერთიანებს მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებს. COVID-19-მა შეაფერხა მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სრულყოფილი ფუნქციონირება, მეტსაც გეტყვით, თუ გავითვალისწინებთ მარტივ ციფრებს, ვირუსმა, ფაქტობრივად, გააჩერა მუზეუმები. ანუ, მუზეუმების შარშანდელი შემოსავალი 3 700 000 ლარი გახლდათ, რაც ადასტურებს მუზეუმებისადმი საზოგადოების დიდსა და მზარდ ინტერესს, წელს კი, მათი გახსნის დღიდან (21 ივნისი) დღემდე, მუზეუმებიდან ბიუჯეტში 100 000 ლარიც კი არ შემოსულა.

ვიზიტორების ასეთი ნაკლებობა, ცხადია მკაფიოდ აისახა ჩვენს საქმიანობაზე, გარდა ამისა, კორონავირუსმა დიდი ზარალი მიაყენა სახელმწიფოს და, შესაბამისად, ჩვენც, როგორც სახელმწიფო უწყებამ გავიღეთ საბიუჯეტო სახსრების გარკვეული ნაწილი, რაც არ იყო მცირე თანხა და აისახა მიმდინარე პროექტების გაგრძელებაზე.

***– ბატონო ნიკოლოზ, როგორ ფიქრობთ, არის ეს კოლაფსი, თუ ფორს-მაჟორია, რომელიც პანდემიის დასრულების შემდეგ დროსთან ერთად მიეცემა დავიწყებას? შეცვალა თუ არა კორონავირუსმა სააგენტოს პრიორიტეტები?***

— პრიორიტეტები არ შეცვლილა, ამიტომ, ჩვენთვის ეს უფრო გამოწვევაა, ვიდრე კოლაფსი. უბრალოდ ძალიან რთული იყო ასეთ ფორსმაჟორულ სიტუაციაზე გადაწყობა, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენ მოვახერხეთ დიდი პროექტების გაგრძელება (ვთქვათ, იმავე ნოქალაქევის და სხვ.), თუმცა, შედარებით მცირე მასშტაბით. მთავარია, რომ სამუშაო პროცესები არ ჩამოშლილა, ტენდერები შედგა.

ისე როგორც მთელი მსოფლიო, საერთაშორისო ღონისძიებებში ჩვენც ონლაინ ჩართვებით ვმონაწილეობთ. პანდემიის პერიოდში ნომინაცია „ქართული სუფრაც“ კი გავგზავნეთ იუნესკოში, ერთი სიტყვით, არ გავჩერებულვართ, ფარ-ხმალი ნამდვილად არ დაგვიყრია, რაც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩემი აზრით, COVID 19-ის პანდემიის დასრულებას სააგენტო 2014 წლის მონაცემების ნიშნულით შეხვდება და, როგორც მაშინ ამოვედით მძიმე მდგომარეობიდან ინტენსიური შრომითა და სწორი პრიორიტეტების განვითარებით, ახლაც იმავე ინტენსივობით ვიმუშავებთ და შევძლებთ შემოსავლების გაზრდას. ვვარაუდობ, რომ დაახლოებით ერთ წელიწადში, წელიწად-ნახევარში იმ ნიშნულს მივაღწევთ, რომელთანაც დაგვეწია პანდემია.

ამჟამად, ჩვენთვის მთავარია, გავუფრთხილდეთ ადამიანების ჯანმრთელობას, ვიფიქროთ შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

***– ესეც ერთგვარი გამოწვევაა, ალბათ, ხანდახან თანამედროვეობა თვითონ აყენებს მისთვის საჭირო მოთხოვნებს?***

— შესაძლოა. სხვათა შორის, კორონავირუსმა დაადასტურა, რომ სააგენტოს თანამშრომლები საკმაოდ კარგად ფლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებს და ნაყოფიერად მუშაობენ ონლაინ რეჟიმში. თუმცა, ცუდი ის არის, რომ ეს იწვევს ადამიანური კომუნიკაციების წყვეტას. პირადად მე, ვფიქრობ, ცოცხალი კომუნიკაციების ჩანაცვლება შეუძლებელია, განსაკუთრებით, როცა საქმე ჩვენს სფეროს ეხება.

***– გამოდის, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის 2020 წელი გამოწვევებისა და პრობლემების წელიწადი ყოფილა?***

– დიახ, ნამდვილად გამოწვევების წელიწადი იყო, მწვავე პრობლემებით დამძიმებული. კორონავირუსის გლობალური გამოწვევის გარდა, ჩვენი მთავარი პრობლემა იყო გელათი. მე შემიძლია ავხსნა, რამ გამოიწვია გელათის პრობლემატიკა, ამას ორი მიზეზი აქვს: 1. სააგენტოსთან შეუთანხმებელი სამუშაოების განხორციელება, რაც ყოველთვის სავალალო შედეგის მომტანია; 2. ჩვენი ინსპექტირების ლოიალობა. თუმცა, აჟიოტაჟი ძეგლთან დაკავშირებით პრობლემებზე მეტად ამ თემის პოლიტიზირებამ გამოიწვია.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ გელათის რეაბილიტაციის პროგრამა დაიწყო 2008 წელს, შემუშავდა რეაბილიტაციის სრული პროექტი – ტაძრების, აკადემიის, სანათლავის, სამრეკლოს, წმინდა გიორგის ეკლესიის, კარიბჭისა და ა.შ.

2015 წლამდე მიმდინარეობდა ხან აკადემიის, ხან კარიბჭეების, ხან წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია, შემდგომში სამრეკლოსი და ბოლოს, 2015 წელს დაიწყო მთავარი ტაძრისა და წმინდა გიორგის ეკლესიის რეაბილიტაციის პროცესი.

იმთავითვე განვმარტავ, რომ გელათზე ჩვენ გვაქვს გადახურვა კარგი კრამიტით და არის ცუდი კრამიტით გადახურული ადგილებიც. საქმე ის არის, რომ კრამიტი ქვედა კალთებზე ჩვენთან შეუთანხმებლად დამზადდა და სრულიად უვარგისი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, მწარმოებელმა კომპანიამ არ შეგვატყობინა ისე შეცვალა კრამიტის წარმოება, თორემ, ცხადია, დასაწყისშივე მივიღებდით პრევენციულ ზომებს დაზიანების აღსაკვეთად.

სამუშაოების დაწყებიდან 4 წლის შემდეგ, ანუ 2019 წელს, მთავარ ტაძარზე თავი იჩინა ორმა პრობლემამ:

1. კარგი კრამიტით გადახურულ სეგმენტებში გაჩნდა შემაკავშირებელი კირ-დუღაბის ხარვეზები, რაც გამოიხატება პატარა ბზარების წარმოშობაში, საიდანაც შეინიშნა წყლის ჩაჟონვა ტაძარში.

2. ცუდი კრამიტი კი გაიბზარა და დატყდა.

ერთი სიტყვით, 2019 წლის დასაწყისში ყველა ხარვეზმა ერთად იჩინა თავი და ამიტომ შეიქმნა დროებითი სირთულეები, თორემ, ზოგადად, როდესაც ძეგლებზე სამუშაოები მიმდინარეობს თითქმის ყოველთვის ჩნდება ხარვეზები, რომელთა გამოსწორებაზეც მუშაობაა საჭირო. იმავე გელათშიც, წყლის ჩადინება დაფიქსირებულია რამდენჯერმე, მაგ.: 2016 წელს, რასაც მყისიერი რეაგირება მოჰყვა სააგენტოსგან და მალევე გამოსწორდა პრობლემა. ამიტომ, ძალიან ვამაყობდით და დღესაც არ ვართ უკმაყოფილო გელათზე ჩატარებული სამუშაოებით, თუ არ ჩავთვლით სახურავს, რასაკვირველია.

***– ბატონო ნიკა, რა სახის კარგად ჩატარებულ სამუშაოებზეა ლაპარაკი და რა ნაკლი აქვს სახურავს? რა ზომებია მიღებული იმ კომპანიის წინააღმდეგ, რომელმაც თვითნებურად შეცვალა გელათის კრამიტის წარმოება?***

– გელათის მთავარ ტაძარზე აღდგენილია აბსოლუტურად ყველა დაზიანებული ქვა, ანუ უმაღლეს დონეზე ჩატარდა ქვის კონსერვაცია; ინტერიერში განხორციელდა გუმბათის მხატვრობის გამაგრებითი სამუშაოები; 2018 წელს შესრულდა კედლის მხატვრობის სრული სკანირება, რაც ძალიან საჭიროა, რადგან ეს გვაძლევს ნეგატიური თუ პოზიტიური გავლენების მუდმივი შედარების შესაძლებლობას.

რაც შეეხება სახურავს, შემიძლია ვთქვა, რომ გუმბათის გადახურვა ძალიან კარგია, როგორც ვიზუალურად ისე, შინაარსობრივად. უბრალოდ, გადახურვიდან 4 წლის შემდეგ, კარგი კრამიტით მოგებულ კალთებზე თავი იჩინა შემაკავშირებელი ნაწილის ხარვეზებმა, ხოლო ცუდი კრამიტი გაიბზარა, ვერ გაუძლო ერთ ზამთარსაც კი. შესაბამისად, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, სასწრაფოდ დაგვევალდებულებინა სარესტავრაციო პროექტის ხელმძღვანელი, რომ მთელი ტაძარი დროებითი სახურავის ქვეშ მოექცია.

***დროებითი სახურავის მიზანია:*** წლევანდელი ზამთრის გადატანა ისე, რომ წყლის ჩადინება აღიკვეთოს. მომავალი წლიდან კი დავიწყებთ ზრუნვას დაზიანებული კრამიტების შეცვლაზე. კომპანია, რომელმაც თვითნებურად იმოქმედა, თვითონვე შეცვლის ყველა კრამიტს და, რაც ყველაზე მთავარია: ეს არ მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრებით, ამ სახსრებს გაიღებს ის კომპანია, რომელმაც დაუშვა შეცდომები.

ჩვენი ბრალეულობა იმაშია, რომ არ განვახორციელეთ მკაცრი მონიტორინგი, თუმცა, ამასაც ჰქონდა თავისი მიზეზები: საქმე ის არის, რომ გელათის რეაბილიტაციაზე მუშაობდა საკმაოდ წარმატებული და ცნობილი ორგანიზაცია „ევროპა ნოსტრას“ კომპანია და ნდობის ფაქტორიც არსებობდა.

***– რა მდგომარეობაა დღეს?***

– შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო, რომ დღეს უკვე დასრულებულია დროებითი სახურავის მოწყობა და გადაჭრილია ორი მთავარი პრობლემა: კარგი კრამიტით გადახურულ ნაწილში აღმოჩენილია კონკრეტული წერტილები, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა წყლის ჩადინება და თავიდან ბოლომდე იცვლება ის კრამიტი, რომელიც გამოყენებულია ჩვენთან შეუთანხმებლად.

ისევ აღვნიშნავ, რომ სამწუხაროდ, ხდებოდა და ხდება ამ პროცესების პოლიტიზირება. ნებისმიერ ძეგლზე მუშაობისას, ყოველთვის შეიძლება თავი იჩინოს გაუთვალისწინებელმა გარემოებებმა. ასე რომ, აჟიოტაჟი გელათის ირგვლივ თითიდან გამოწოვილია და, პირადად ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე სენსიტიური თემით – კულტურული მემკვიდრეობით მანიპულირება და მისი პოლიტიზირება.

მთავარი ის არის, რომ ჩვენ ძალიან კარგად გვაქვს გაცნობიერებული საკუთარი ვალდებულებები, მოტივირებული ვიყავით და ახლაც ვართ საამისოდ, რომ სწრაფად აღმოვფხვრათ ყველა ის ხარვეზი, რომელიც რეალურად არსებობს. და, როგორც უკვე

მოგახსენეთ, ხარვეზის აღმოფხვრის ხარჯებს გაიღებს ის კომპანია, რომელმაც დაუშვა მათი გაჩენა.

მინდა ყურადღება გავამახვილო მხატვრობაზე. საქმე ის არის, რომ კედლის მხატვრობას საკმაოდ ბევრი პრობლემა ჰქონდა, არა მხოლოდ წლების, არამედ, ათწლეულების განმავლობაში და, რასაკვირველია, არ არის სასურველი, რომ მრავალწლიან პრობლემებს დაემატა გარკვეულ სეგმენტებში წყლის ჩადინება, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ახლავე, უკვე 2020 წელს დაგვეწყო კედლის მხატვრობის კვლევა-პროექტირება. შესაბამისად, როდესაც სახურავი გამართული იქნება, ჩვენ შევძლებთ კედლის მხატვრობის კონსერვაციის დაწყებას.

ეს გრძელვადიანი პროგრამაა კონკრეტული მიზნებითა და გეგმებით, რომლის განსახორციელებლად სახელმწიფო ფინანსურ რესურსს არ დაზოგავს. პროცესები უკვე მიმდინარეობს და ჩვენც საზოგადოებას პერიოდულად ვაწვდით სხვადასხვა ინფორმაციას გელათზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

***— ანუ, ხარვეზები იდენტიფიცირებულია, პროცესები გამჭვირვალე, მიმდინარებს მუშაობა და სამუშაოებს ფინანსურად უზრუნველჰყოფს ის კომპანია, რომელმაც შეცდომა დაუშვა. როდის უნდა ველოდოთ პირველ პოზიტიურ სიახლეს?***

— პოზიტიური სიახლეები უკვე გვაქვს. ჩვენ შევძელით ხარვეზების შედეგების ლოკალიზაცია და წყლის ჩადინება ივნისის შემდეგ აღარ დაფიქსირებულა, მიუხედავად წვიმიანი ამინდებისა. ყველამ კარგად ვიცით, რომ გელათი განსაკუთრებულად ქარიან და ნალექიან ადგილას მდებარეობს, შესაბამისად, მუშაობისას დიდი ყურადღება და პროფესიონალიზმი იყო საჭირო. დღეს დროებითი გადახურვებიც ისეა მოწყობილი, რომ ერთი წვეთი წყლის ჩადინების შესაძლებლობაც კი არ არსებობს.

***— ბატონო ნიკა, გვაქვს თუ არა რაიმე სიახლეები არქეოლოგიაში ამ ფორსმაჟორულ 2020-ში?***

— სიახლეა ის, რომ მილიონიანი პროგრამა არქეოლოგიაში არ შეგვიწყვეტია, წელსაც დაიხარჯა მილიონამდე ლარი. ეს თანხა მომავალ წელსაც არქეოლოგიისთვის გვაქვს განსაზღვრული, მაგრამ წლევანდელმა წელმა თვალნათლივ გამოავლინა, რომ კადრების მხრივ საკმაოდ სერიოზული პრობლემები გვაქვს, არა მხოლოდ არქეოლოგიის მიმართულებით, არამედ რესტავრაციის დარგშიც და სხვ. შესაბამისად, ძალიან დიდი მონდომების პირობებშიც კი, ჩვენ ჯერ ვერ შევძლებთ არქეოლოგიის უფრო ფართო მასშტაბით, ანუ ინსტიტუციური თვალთახედვით განვითარებას. ჯერჯერობით ჩვენი უპირველესი ამოცანა კვალიფიცირებული კადრების მომზადებაა. საზოგადოებას ახსოვს, რომ სააგენტომ შეიმუშავა პოლიტიკა ყოველწლიურ საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებზე 5 სტუდენტის წაყვანასთან დაკავშირებით. ეს მექანიზმი ამუშავდა და ახალ სახეებსაც ვხედავთ არქეოლოგიაში, მაგრამ, მათ დრო და გამოცდილება სჭირდებათ საამისოდ, რომ პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ.

რაც შეეხება არქეოლოგიურ ობიექტებს, ჩვენ ამ ბოლო 4 წლის განმავლობაში მაქსიმალურად ვმუშაობდით სტაციონარული ექსპედიციების შექმნაზე, რაც აქამდე არ არსებობდა. უწინ, არქეოლოგიური სამუშაოები უფრო მეტად სპონტანურად მიმდინარეობდა. წელს კი უკვე გვაქვს სტაციონარული არქეოლოგიური ექსპედიციები, რომლებიც ყოველ სეზონზე გადის ველზე სამუშაოდ, ასეთებია: ნოქალაქევის საერთაშორისო ექსპედიცია, გრაკლიანის, გუდაბერტყას, დიდნაურის ექსპედიციები, უკვე დაფუძნდა ახალშენისა და სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციებიც.

კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლეა ის, რომ სააგენტო გადავიდა ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობის აქტიურ ფაზაში. ეს არის კოლეგიალურ, პარტნიორულ სტანდარტზე დაფუძნებული ურთიერთობა და ჩვენ უკვე კონკრეტულ ერთობლივ პროექტებს ვახორციელებთ არქეოლოგიის მიმართულებით. წელს ეროვნული მუზეუმის 3 არქეოლოგიური ექსპედიცია დავაფინანსეთ – მარნეულში მაშავერას გორა, დმანისის ნაქალაქარზე შუა საუკუნეების გათხრები და დავიწყეთ მუშაობა გოგიჩაანთ ღელეს გაცოცხლებაზე, რადგან საბჭოთა პერიოდის მერე გოგიჩაანთ ღელეზე, რომელიც მართლა გამორჩეული ძეგლია, არანაირი სამუშაოები არ ჩატარებულა. წელს სააგენტომ და ეროვნულმა მუზეუმმა ერთიანი ძალისხმევით მოვახერხეთ ამ მნიშვნელოვანი არქეოლოგიური კვლევის გაგრძელება.

***– ბატონო ნიკოლოზ, წელს „ონლაინ არქეოლოგიას“ 10 წელი შეუსრულდა, რას იტყვით ჟურნალის შესახებ და ფიქრობთ თუ არა მისი სამომავლო განვითარების მოდერნიზებულ კონცეფციაზე? რა მდგომარეობაა ზოგადად სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებთან დაკავშირებით?***

– „ონლაინ არქეოლოგია“ კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ელექტრონული ფორმატის პირველი ჟურნალი იყო, ის მნიშვნელოვანია სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის განვითარებისთვის, იმავდროულად, ეს არის ინფორმაციულ-შემეცნებითი გამოცემა და 10 წელია მუშაობს ოპერატიულ რეჟიმში. უდავოა, რომ ეს საქართველოს არქეოლოგიის პოპულარიზაციის ძალიან ძლიერი ბერკეტი გახლავთ, მაგრამ ჩემი პირველი და უმთავრესი შეფასება ჟურნალის ობიექტურობაა.

ანუ, „ონლაინ არქეოლოგია“ ობიექტური გამოცემაა, რომელიც ორიენტირებულია ფაქტების კონსტატაციაზე, რაც, მე ვფიქრობ, რომ დიდი იშვიათობაა, როგორც ბეჭდურ მედიაში, ისე ინტერნეტ სივრცეში. ოპონირება დამახასიათებელია ყველა დარგისთვის, ყველგან არსებობს პოზიციური და ოპოზიციური განწყობები, ჟურნალის დემოკრატიულობის ხარისხიდან გამომდინარე, ჩვენთან ეს ნიშა ღიაა. ზოგადად, ამა თუ იმ დარგის სამომავლო შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ობიექტური მოსაზრებები იბეჭდებოდა ამ მიმართულებით, შესაბამისად, ეს არის მაღალი კლასის ჟურნალი. მას ბევრი გამომწერი ჰყავს, და უამრავი მსურველია, ვისაც ამ პუბლიკაციაში საკუთარი მოსაზრების განთავსება სურს. ერთი სიტყვით, ჟურნალის მთავარი პრინციპია, სწორად დაანახოს საზოგადოებას არქეოლოგიის სფეროში მიმდინარე მოვლენები, როგორც წარმატებები, ისე ხარვეზები,

რაც არქეოლოგიაზე სწორი წარმოდგენების შექმნის შესაძლებლობაა. პირადად მე არ მაქვს მოსაზრებები მის განვითარებასთან დაკავშირებით, ამისთვის ხართ თქვენ, თქვენთან იხარშება არქეოლოგიური საკითხები, ამიტომ მე აბსოლუტურ ნდობას გიცხადებთ, ეს არ არის უსაფუძვლო ლიტონი ნდობა, ჩვენ გვაქვს შედეგი, რომელიც ამ ნდობას ამართლებს – ის, რომ „ონლაინ არქეოლოგია“ წარმატებული ჟურნალია.

სწორედ „ონლაინ არქეოლოგიამ“ განაპირობა „არქეოსპექტრის“ გამოცემა, რომელიც მყარი პუბლიკაცია გახლავთ. ჩვენ აქ ვანთავსებთ „ონლაინ არქეოლოგიის“ ყველაზე პოპულარულ და წარმატებულ რუბრიკებსა და სტატიებს. „არქეოსპექტრი“ ზოგადად „ონლაინ არქეოლოგიის“ ბეჭდურ ვარიანტად გვქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ წლის განმავლობაში იმდენი საინტერესო კვლევა თუ პოპულარული მასალა გროვდება, რომ გადავწყვიტეთ გადაგვენაწილებინა, რადგან პუბლიკაცია ბევრი გვაქვს, მაგრამ სტატიების გამოქვეყნების მსურველნი კიდევ უფრო მეტი არიან.

მეორე პროექტი, რომელიც ასევე „ონლაინ არქეოლოგიის“ პირმშოა, გახლავთ რეფერირებული არქეოლოგიური ჟურნალი „სამხრეთ კავკასია-არქეოლოგიური კონტექსტი“, სწორედ „ონლაინ არქეოლოგიის“ სამეცნიერო ნაწილმა დააკმაყოფილა რეფერირების სამსახურის მოთხოვნები და, ვინაიდან, ჩვენ არ გვინდოდა „ონლაინ არქეოლოგიას“ დაეკარგა პოპულარული მიმართულება, ამიტომ გადავწყვიტეთ ცალკე სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა, რომელიც რეფერირებული ჟურნალის სტატუსს მიიღებდა და განთავსდებოდა საქართველოს სამეცნიერო ჟურნალების ბაზაში. ასე შეიქმნა ახალი ჟურნალი „სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი“, რომლის პირველი ნომერიც, სხვათა შორის, 2020 წელს, პანდემიის პირობებში გამოიცა. ამ ჟურნალმა უკვე მიიღო ობიექტის ციფრული იდენტიფიკატორი – DOI, რაც საერთაშორისო სამეცნიერო რესურსების ავტორიტეტული ბაზების მიერ რეკომენდებული, ყველაზე ფართოდ გამოყენებადი მინიშნება და მეცნიერთა შორის ინფორმაციის გაცვლის ყველაზე კომპაქტური და ოპერატიული საშუალებაა. ანუ, ჩვენ მივაღწიეთ საერთაშორისო სამეცნიერო ხელმისაწვდომობას და იმედი გვაქვს, რომ უახლოეს მომავალში ჟურნალი მიიღებს IMPACT ციტირების ინდექსს, რაც სამეცნიერო და სოციალურ მეცნიერებათა ჟურნალების რეიტინგის საზომი გახლავთ.

კიდევ ერთი პროექტი, რომლის შექმნის იდეაც ასევე „ონლაინ არქეოლოგიიდან“ მომდინარეობს (ვგულისხმობ რუბრიკა „არქეოლოგიურ დაიჯესტს“), ეს გახლავთ არქეოლოგთა ყოველწლიური სესია. ჩვენ ეს სესია წელს უკვე ზამთრის ყრილობად გადავაქციეთ, ე.ი. გარდა იმისა, რომ ყოველ ზამთარს ვისმენთ ანგარიშებს, თუ რა გავაკეთეთ, ვინ და როგორ იმუშავა, რასაც მუდამ ითვალისწინებდა სესია, უკვე განვიხილავთ ერთიანად შეჯერებულ კონკრეტულ პრობლემებს, ვიღებთ გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს. ეს არის მეცნიერებთან კოორდინირებული მუშაობის ფორმატი, რადგან დარგის სპეციალისტების ყველაზე დიდი თავყრილობა შედეგებზე ორიენტირებას მოითხოვს. ერთ-ერთი შედეგი ერთმანეთისა და საკუთარი საქმიანობის გაცნობაა, მაგრამ, მთავარია განსაზღვრა იმისა, რაზეა გასამახვილებელი ყურადღება, როგორი ცვლილებებია შესატანი

კანონში და ა.შ. ანუ, სახელმწიფო ინსტიტუცია უკვე დარგის სპეციალისტების კომპეტენციაზე დაყრდნობით დაიწყებს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას. ერთი სიტყვით, სესიის დასკვნითი ნაწილი ცოცხალი მუშაობის ფორმატში გადადის, მუშავდება კონკრეტული სამოქმედო გეგმა – რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ არქეოლოგიისთვის, ამ დარგის უფრო მეტად განვითარების მიზნით; განისაზღვროს რა უფრო მნიშვნელოვანია. მთავარია ის, რომ სესია, რომელიც უკვე ტრადიციად იქცა, ახერხებს და უზრუნველჰყოფს დარგის თითოეული სპეციალისტის ჩართულობას, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ სპეციალისტები უმრავლესობით შეთანხმდნენ რა არის გასაკეთებელი, თუ ვინმე წინააღმდეგი იქნება ამა თუ იმ გადაწყვეტილების, მან საამისო არგუმენტები უნდა წარმოადგინოს.

მიუხედავად იმისა, რომ წელს სესია ონლაინ რეჟიმში ჩატარდა, ის მაინც უკვე ორიენტირებულია კონკრეტულ შედეგებზე.

***— ცხადია, ცოცხალი პროცესები მეტ კომუნიკაციასა და მეტ კონკრეტულ შედეგს მოიტანს. ბატონო ნიკა, სააგენტო ყოველთვის გამოირჩეოდა საგანმანათლებლო სფეროს აქტივობებით, რა პროექტები ხორციელდება დღეს?***

— სამწუხაროდ, პანდემიამ ეს სეგმენტი ძალიან დააზარალა, გვინდოდა საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო ასპარეზზე გატანა, რამდენიმე წელი კარგად ვმუშაობდით ამ მიმართულებით, მაგრამ, წელს ვირუსმა უკან დაგვწია, გამოცემებიც კი შეგვიფერხდა. საბავშვო არქეოლოგიის ონლაინ პლატფორმაზე გადატანა ძალიან რთულია, ამიტომ ვფიქრობთ, რომ იქნებ მოხერხდეს გარკვეული ინტერაქტიული თამაშობების შემოღება, რომლებსაც დავნერგავთ სასკოლო პრაქტიკაში. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი თხოვნით კომპანია “არ ემ ჯიმ“ დააფინანსა 5 ნახატი ფილმი, ეს არის სხვადასხვა სცენა სახარებიდან. მნიშვნელოვანია, რომ ტექსტები დაწერილია გოგებაშვილისეული ღვთისმეტყველების მიხედვით და სცენებში ფიგურირებს ჩვენი ტაძრები, რაც ძეგლების პოპულარიზაციასაც განაპირობებს.

***ინტერვიუ მიჰყავდა მაია ჩოლოყაშვილს***

# *Annual Report of the General Director of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, Nikoloz Antidze to the readers of 'Online Archaeology'*

***In the current year 'Online Archaeology' is celebrating its 10th anniversary. This year, when the journal already comprises 14 estimated features and they are equally popular both in Georgia and beyond, we can boldly claim that the feature which our readers find one of the most interesting is the annual New Year's interview of Nikoloz Antidze, General Director of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, which is a report to the readers of 'Online Archaeology' on the past year.***

***Since 2014 'Online Archaeology' has published six interviews of the General Director, six reports of six years have been presented for the public judgement, as a result of which this feature has become a kind of information package which transparently provides comprehensive account of both the achievements and the faults in the sphere of cultural heritage protection and management occurring over the past year.***

***It is interesting what the year of 2020 was like? The seventh reality of the General Director of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia which took place against the background of the gravest world and local challenges? What influence does COVID- 19 exert on the present and future of Georgian monuments and what awaits Gelati in the short- or long-term prospect?***

***Considering the past six reports and six balanced discussions, this year, in his 7th interview, Nikoloz Antidze makes the first categoric statement and says that the processes going on around Gelati are politicized and politically engaged opposition manipulating with Georgia's cultural heritage monuments is totally unacceptable for him. However, consequences of the pandemic will be eliminated by his department through hard work and by means of developing accurately outlined priorities.***

***Thus, the seventh reality of the General Director – cornerstone of numerous different ideas, visions and discussions***

# *The seventh report of Nikoloz Antidze to the readers of 'Online Archaeology'*

- ***Batono Nikoloz, let us start our conversation about the challenge that not only our country, but the whole world is facing – COVID 19 and Georgian cultural heritage. How does the agency respond to the stagnation caused by the corona virus?***

- First of all, I would like to take advantage of the tribune of 'Online Archaeology' and express my sorrow for the fact that this year Georgian scholarly community has lost three honored archaeologists – Otar Japaridze, Guram Lordkipanidze and Guram Grigolia. It is great loss for not only specialists and supporters of our filed, but for the whole country which will be felt even more bitterly in the future. I mean, surmounting obstacles on the way to developing the field will become more complicated.

- As far as the coronavirus is concerned, our country, just like the whole world, is going through hard times. The agency has suffered financial damages because, as is known to the public, our department is focused not only on protection of the cultural heritage, but it also unifies museums and museum-reserves. COVID-19 hindered full-scale functioning of our museums and museum-reserves. Moreover, if we consider simple figures, the virus actually caused the museums to stop, i.e. last year's income of the museums amounted to 700,000 Gel, which evidences great and ever- increasing interest of the public towards museums. This year, since the day they opened (21 June), the budget has received less than 100,000 Gel from the museums.

Such shortage of visitors, indeed, was negatively reflected on our activities. Furthermore, coronavirus has inflicted serious damage on the state and, accordingly, being a state department, we allocated part of our budget resources to the state which was substantial amount to affect continuation of ongoing projects.

- ***Batono Nikoloz, do you think it is a collapse, or force-major which will be forgotten over time on completion of the pandemic? Did coronavirus change the agency's priorities?***

- Priorities have not been changed, so it is more of a challenge for us, rather than collapse. It was very difficult to realign to such a force-major situation. However, fortunately, we managed to continue major projects (e.g. Nokalakevi, etc.), but on a smaller scale. The main thing is that the processes have not collapsed, tenders were accomplished.

Just like the whole world, we, too, participated in international events online. During the pandemic we even managed to put 'Georgian traditional supra' forward for UNESCO list. To be short, we haven't stopped and surrendered, which, I think, is very important.

In my opinion, the agency will meet completion of COVID 19 pandemic with the data of 2014 and, in the same way as we managed to get out of the difficult situation by means of dedication and developing the right priorities, we will work towards increasing our income. I presume, in about a year's time or so we will reach the mark that we had reached prior to the pandemic.

Presently, we find it most important to take care of people's health and think about ensuring workplace safety.

- ***It is also a kind of challenge; it is likely that modernity puts forward its own requirements.***

Probably. By the way, coronavirus has proved that the staff of the agency is well aware of modern technologies and conduct fruitful work online. The bad thing is that it causes human communication to cease. Personally, I think it is impossible to substitute face-to-face communication with the online one, especially when it comes to our field.

***-It turns out that 2020 has been the year of challenges and problems for the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia.***

- That's true. It has been the year of challenges, aggravated with acute problems. Apart from the global challenge of coronavirus, our major problem was Gelati. I can explain what caused the problem. There are two reasons to it: 1. carrying out works without the agency's consent, which always brings regrettable outcomes; 2. lack of strictness of our inspecting. However, the stir connected to the problems of the monument was caused by politization of this topic.

As is known, the Gelati rehabilitation program started in 2008. Full rehabilitation project was compiled which included rehabilitation of the churches, academy, baptistry, bell-tower, St. George Church, gate, etc.

Rehabilitation of the academy, gates and St. Nicholas Church took place at different times before 2015. Later it was the bell-tower and, finally, in 2015 the process of rehabilitation of the main church and St. George Church began.

At first, it should be noted that Gelati is roofed with good quality tiles and, in some places, with bad ones. The point is that the tiles for the lower arms were produced without our consent and they turned out to be absolutely useless. Regrettably, the producer company changed the production of the tiles without informing us about it. Otherwise, we would have taken preventive measures to stop the damage.

Four years later, i.e. in 2019, two problems arose on the main church:

1. Faults of the bonding lime-mortar appeared in the segments roofed with good tiles which is expressed by forming small cracks which let water leak into the church;
2. Bad tiles got cracked and broke.

Shortly, all the defects were revealed at the beginning of 2019, which caused temporary problems to arise. In general, when works are conducted on a monument, faults are bound to emerge, which requires our instant response. In Gelati, leakage has been evidenced several times, for instance, in 2016 when it was responded by the agency immediately and the problem was eradicated. Therefore, we were very proud of, and still are not dissatisfied by the works conducted in Gelati, indeed, except for the roof.

***-Batono Nika, what kind of well conducted works do you mean and what defects does the roof have? What measures have been taken against the company which voluntarily changed production of tiles for Gelati?***

- Every single damaged stone of the main church of Gelati has been replaced, i.e. stone conservation was conducted to the highest standards; enhancement works of the murals of the dome were accomplished in the interior; in 2018 full scanning of the wall painting occurred which is absolutely necessary as it provides possibility of permanent comparison of negative and positive impacts.

As for the roof, I can say that roofing of the dome is very good both in visual and principal terms. The mere fact is that four years after covering, imperfections emerged in the bonding on the arms covered with good quality tiles, while the bad quality ones got cracked and failed to endure one winter. Consequently, we made a decision to oblige the leader of the restoration project to cover the whole church with a temporary roof.

***The aim of the temporary roof is:*** to endure this winter so that leakage is prevented. From the next year we will start working towards replacement of the damaged tiles. The company which acted voluntarily will undertake replacement of all the tiles and, what is particularly important is that the budget is not going to cover the expenses – they will be covered by the company that made errors.

We admit that we are to blame for not conducting strict monitoring; however, it had its own reasons: the point is that the works in Gelati were carried out by a very successful and renowned organization – winner of the Europa Nostra Award -and, consequently, there existed the factor of trust.

- ***What is the situation like today?***
- I can state loudly that by now arrangement of the temporary roof has already been accomplished and two principal problems have been handled: specific spots where leakage might take place have been detected in the part covered with good-quality tiles, and the ones applied without our consent are going to be replaced completely.

I should mention again that, regrettably, these processes have been politicized. While working on any monument, unforeseen circumstances might emerge any time. Therefore, the fuzz around Gelati is far-fetched and, for me, personally, it is categorically unacceptable to manipulate with the topic which is extremely sensitive for our country and its politization.

The main thing is that we acknowledge our responsibilities, we were motivated and still are in order to remedy all the defects that are actually present. And, as mentioned above, all the expenses necessary for remedying the defects will be covered by the company which is responsible for the damage.

I would like to pay particular attention to the wall painting. The point is that the murals have been suffering quite a few problems not for years, but for decades and, indeed, it is rather sad that many years long problems were added the problem of leakage through certain segments. So, we decided to start examining the murals and draw the project immediately, in 2020. Accordingly, when the roof has been arranged, we will be able to embark on the conservation of the murals.

It is a long-term program with concrete aims and plans for which the state will not economize its financial resources. The processes are already underway and we regularly provide the public with information about the works being conducted in Gelati.

***-It means that the defects have been identified, processes are transparent, works are underway and they are financially provided by the company that made the errors. When should we expect the first positive news?***

-We have already got positive news. We managed to localize the outcomes of the flaws and, despite wet days, leakage has not been recorded since June. We are all aware that Gelati is situated in a particularly windy and damp location. Accordingly, the works required special attention and high professionalism. Presently, the covers are arranged in such a way that there is no chance of leaking.

***-Batono Nika, is there any news in archaeology in this force-major 2020?***

-The news is that we have not cancelled a million-lari-worth program in archaeology, and this year, too, up to 1,000,000 Gel have been spent. We are intending to spend the same amount next year as well. However, this year showed vividly that we have a problem of the personnel not only in the direction of archaeology, but restoration as well. Accordingly, even in case of our special efforts, we won't be able to develop archaeology on a wider scale, I mean from the institutional point of view. So far, our most important task is to prepare qualified specialists. The public remembers that the agency has elaborated the policy of involving five students in field archaeological campaigns. This mechanism has been put into effect and we can already see new faces in archaeology, but it takes time and experience for them to become professionals.

As far as the archaeological sites are concerned, for the last four years we have been working intensively on creating stationary expeditions that have never existed before. In the past archaeological activities took place spontaneously. This year we have already got stationary archaeological expeditions which conduct field works every season, for example, Nokalakevi international expedition, Grakliani, Gudabertka, Didnauri expeditions; Akhaksheni and Samshvilde expeditions have already been established.

In addition, pleasant news is that the agency has shifted to the active phase of cooperation with the National Museum. It is the kind of relationship which is based on collegiality and partnership standards and we have already been accomplishing joint projects in the direction of archaeology. This year we financed three archaeological expeditions of the National Museum – Mashavera Gora in Marneuli, medieval period excavations in Dmanisi city-site and started work on revival of Gogichaant Ghele, because since the Soviet period, no activities have been carried out at Gogichaant Ghele, which is a really prominent site. This year, the agency and the National Museum made joint efforts to continue this important archaeological research.

***-Batono Nikoloz, this year we are celebrating the tenth anniversary of 'Online Archaeology'. What can you say about the journal and are you thinking of the modern concept of its future development? What is the situation, in general, with respect to regular scholarly editions?***

- 'Online Archaeology' was the first online journal in the sphere of cultural heritage. It is important in terms of development of educational and scientific activities. At the same time, it is an informative-cognitive edition which has been operating for ten years. No doubt it is a powerful means of popularization of Georgian archaeology, but first and foremost assessment is impartiality of the journal.

It means that ‘Online Archaeology’ is an unbiased edition which is focused on stating facts which, in my opinion, is a rarity. Both in printed media and the internet opposing is very common, positional and oppositional sentiments are everywhere and resulting from the degree of democratic nature of the journal, in our case this niche is open. Generally, future assessment of any direction depends on how much objective opinions were published in this direction. Accordingly, it is a high-class journal with many subscribers and those who wish to place their own view in this publication. In short, the main principle of the journal is to provide general public with accurate information about the events taking place in the sphere of archaeology, both successes and faults, which is an opportunity for creating the right impressions about archaeology. Personally, I haven’t got any concepts about its development, this is what you are for – it is here that archaeological problems are discussed, so I fully trust you. But it isn’t ungrounded trust – we can see the result which justifies this trust – ‘Online Archaeology’ is a successful journal.

It was ‘Online Archaeology’ that conditioned publishing of ‘Archaeospectrum’, which is a hardcopy publication. Here we print the most popular and successful features and articles of ‘Online Archaeology’. The latter, generally, was intended to be the printed copy of ‘Online Archaeology’, but during the year so much interesting research and popular material is accumulated that we decided to distribute it as we have numerous publications which are outnumbered by those who wish to publish articles.

Another project that is also generated from ‘Online Archaeology’ is a peer-reviewed archaeological journal ‘South Caucasus – Archaeological Context’. It was the scientific part of ‘Online Archaeology’ that met the requirements of reviewing service and, as we didn’t want ‘Online Archaeology’ to lose its popular direction, we decided to issue a separate journal which would receive the status of a peer-reviewed one and would be placed in the database of Georgia’s scholarly journals. This is how the new journal ‘South Caucasus – Archaeological Context’ was born. Its first issue was published in 2020, under pandemic. This journal has already received the digital identification code - DOI, which is recommended by the authoritative bases of international scientific resources and is the most widely used reference and the most compact and operative means of information exchange among scholars. It means that we reached the international scholarly access and we hope that in the near future the journal will receive the IMPACT citing index, which is the measurement of the rating of the scholarly journals and those of social sciences.

Another project the idea of whose establishment also stems from ‘Online Archaeology’ (I mean the feature ‘Archaeological Digest’) is the annual session of archaeologists. We have already converted this session into the winter meeting, i.e. apart from the fact that every winter we hear reports about what has been done, by whom and how work was conducted, which had always been foreseen by the session, we already discuss specific problems, make decisions and elaborate recommendations. It is a format of coordinated work with scholars, as the largest meeting of the specialists of the field requires being oriented on outcomes. One of these outcomes is getting acquainted with each other’s activities, but the main thing is to identify the subject of the focus, what kind of changes have to be made to the law, etc. It means that based on the competence of the specialists of the field, the state institution will start taking the first concrete steps. In short, the conclusive part of the session shifts to the interactive format, elaborates a specific action plan – what the state can do for archaeology in order to promote development of this branch and identify priorities. The main thing is that the session which has already become a tradition, manages to ensure involvement of each specialist, which is important, so

that the specialists will be able to agree on what has to be done, but if there is an opposition to any decision, supporting arguments have to be presented.

Despite the fact that this year the session was held online, it is still oriented on specific outcomes.

***-It is clear that live processes will bring more communication and many more concrete results. Batono Nika, the agency has always stood out with activities in the field of education, what processes are going on presently?***

Unfortunately, the pandemic has inflicted damage on this segment; we intended to take educational programs on an international arena; we have been working in this direction very efficiently. However, the virus has caused us to back off, publications have been hindered. It is difficult to shift children's archaeology to the online platform. Therefore, we could think about introducing interactive games which will be implemented in schools. It is important that, on our request the company 'RMG' financed five cartoons – different scenes from the New Testament. It is important that the texts are written according to Gogebashvili's theology and the scenes include our churches which is a great way of promoting their popularization as well.

***The interview was conducted by Maia Cholokashvili***

## დმანისი – აგვისტო – 2020

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2020 წელს დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ჯიმშერ ჩხვიმიანი) დმანისის ნაქალაქარზე განახორციელა არქეოლოგიური სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა საველე-არქეოლოგიური გათხრები, ტოპოგრაფიული სამუშაოები, მოპოვებულ არტეფაქტებთან დაკავშირებული ლაბორატორიული კვლევები და სხვ.

არქეოლოგიური გათხრების არეალი მოიცავდა სამ უბანს:

1. უბანი V – დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარის სამაროვანი, მისი უკიდურესი სამხრეთი, ქრისტიანული ნაწილი. თხრილი DM.20.02, ზომით 6x10 მ.

2. უბანი III – დმანისის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების ე.წ. „ბურჯიანი მეჩეთის“ სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტერიტორია. არქეოლოგიური თხრილი DM.20.03, ზომით 5x5 მ.

3. უბანი I – დმანისის სიონის ჩრდილოეთით არსებული ტერიტორია. არქეოლოგიური თხრილი DM. 20.04, ზომით 8x10 მ.

ძეგლზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მთლიანი ფართობი შეადგენს 165 კვ.მ-ს.



**უბანი V**

2020 წლის არქეოლოგიური სამუშაობი დმანისის სამაროვანის უკიდურეს სამხრეთ, ქრისტიანული სასაფლაოს ნაწილში წარიმართა. სამაროვნის ამ ნაწილში მეტად საინტერესო სურათი გამოვლინდა. დამრეც ფერდობზე ერთგვარი, საშუალოდ 4 მეტრი სიგანის, მოსწორებული ტერასაა მოწყობილი. ტერასას დასავლეთის, შემაღლების მხრიდან, სავარაუდოდ, მიწის ჩამოზვავებისგან დაცვის მიზნით, საგანგებოდ აგებული 1 მეტრი სიგანის გრძელი კედელი იცავს. კედელი ნაგებია ქვიშაქვისა და ტუფის ქვის კვადრებისგან. განსაზღვრულ მონაკვეთებზე კედლის მშენებლობაში გამოყენებულია კირის დუღაბი. ტერასა რამდენიმე ათეულ მეტრზე მიუყვება ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. როგორც გათხრებიდან გაირკვა, ასევე ზედაპირულად ხილული სტრუქტურების განლაგებით, ტერასაზე ორ რიგად მოწყობილი სამარხების ზოლია წარმოდგენილი, რომელთა მიწისზედა მემორიალები — საფლავის ქვები საკმაოდ მჭიდროდაა განლაგებული. ამავე ტერასაზე, ექსპედიციის მიერ გავლებული თხრილიდან სამხრეთით, რამდენიმე მეტრში მდებარეობს ქვისა და აგურისგან აგებული, სავარაუდოდ ხაჩკარის ქვითა და აგურით, კირის ხსნარზე ნაგები პოსტამენტის ნაშთები. მსგავს, ქვითა და აგურით ნაგებ თაღოვან სტრუქტურებშია ჩასმული დმანისის სამაროვნის, ე.წ. ზედა და ქვედა ხაჩკარებიც.

ეს ხაჩკარი უშუალოდ დმანისში არსებული სხვა პარალელების მიხედვით, შესაძლოა, XIII-XIV საუკუნეებით დათარიღდეს.









სამაროვანზე გაჭრილ თხრილში DM.20.02 (თხრილი XV) სავარაუდოდ 18 სამარხის მიწის ზედა საფლავის ქვებით მოწყობა დაფიქსირდა.

**უბანი III**

ე.წ. „ბურჯიანი მეჩეთის" სიახლოვეს, ნაქალაქარის III არქეოლოგიურ უბანზე, გაიჭრა არქეოლოგიური თხრილი. ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში შემორჩენილი საინტერესო შენობის კომპოზიცია მარტივია: იგი ოდნავ წაგრძელებული, კვადრატს მიახლოებული სწორკუთხოვანი, 10,00x8,00 მეტრი ზომის დიდი ოთახია, შენობის 1.5 მეტრი სიგანის კარის ღიობი აღმოსავლეთ კედელშია დატანილი.





2020 წლის სამუშაოების დროს გაჭრილი თხრილით, XV ნაგებობის კიდევ ერთი, რიგით მესამე, C ოთახი გაითხარა. თხრილის ფართობი შეადგენს 25 კვ.მ-ს. თხრილში 14 არქეოლოგიური კონტექსტი დაფიქსირდა.

თხრილში გამოვლენილი სათავსის (XVc) საცხოვრებელი დონე <DM2003006> გვიან შუა საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს. ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას აღნიშნულ საცხოვრებელ დონეზე გამოვლენილი არქეოლოგიურ არტეფაქტების გვიან შუა საუკუნების პერიოდით განსაზღვრა იძლევა (კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები).

**უბანი I**

I უბანზე ამ დროისთვის გამოვლინდა შენობის ძირა სართული, სარდაფი, ე.წ. „კარიანი შენობა," რომელიც რამდენიმე ოთახისგან შედგებოდა.

არქეოლოგიური სამუშაობის შედეგად გამოვლენილი არტეფაქტების კომპლექსური კვლევა გრძელდება. მასალა დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის დმანისის არქეოლოგიური ბაზის ლაბორატორიაში.

## ვაშნარი - აგვისტო - 2020

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2020 წელს გურიანთა-ვაშნარის (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) ადრე შუა საუკუნეების ხანის (IV-VIII სს.) ნაქალაქარის ტერიტორიაზე განხორციელოდა არქეოლოგიური გათხრები (ხელმძღ. ვაჟა სადრაძე). არქეოლოგიური კვლევების მიზანი იყო ძეგლის გავრცელების არეალის დადგენა და ცალკეული დეტალების გამოვლენა - დაზუსტება.

2020 წლის საველე სეზონზე ვაშნარის ბაზილიკის ჩრდილოეთით მდებარე, წინა წლებში ნაწილობრივ გათხრილი და დროებით დაკონსერვებული მარტირიუმი (10X10 მ) დაღრმავდა, გაითხარა და მოხდა მისი პრეპარაცია. მოიხსნა ბაზილიკის დასავლეთი შესასვლელის (4X3 მ) - კარიბჭის მიმდებარე ტერიტორიის ჰუმუსოვანი ფენა (სიღრმე 30 სმ). გაითხარა ბაზილიკის დასავლეთი შესასვლელი და პრეპარაცია ჩაუტარდა მის მიმდებარე მონაკვეთებს. ბაზილიკის აღმოსავლეთით დაფიქსირებული, გეგმის დონეზე გამოჩენილი კედელი (35X1 მ) გაითხარა ზედაპირულად. ბაზილიკის დასავლეთით, 12-15 მ-ის დაშორებით დამხმარე ნაგებობების (ინფრასტრუქტურის) ნაშთების გამოვლენის მიზნით











გაიჭრა 4 სადაზვერვო თხრილი და სამუშაოების დასრულების შემდგომ მოხდა ადგილის რეკულტივაცია (60 კვ.მ). განათხარი ფართობების ნაწილობრივ დაკონსერვდა მიწით სავსე ტომრებითა და უშუალოდ მიწის ფენით (60 კვ.მ).

საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ შესრულდა კამერალური სამუშაოები.

## მაშავერა – აგვისტო – 2020

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით,2020წელსბოლნისისმუნიციპალიტეტშიმდებარემაშავერასგორაზეჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოები (ხელმძღვ. ჯონი აბულაძე). სამუშაოების მიზანი იყო ძეგლის გასუფთავება, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრილი ფართობის გაწმენდა და ბოლომდე შესწავლა. ასევე ეროზიის შედეგად ჩამოშლილი ძველი გათხრების დროს დატოვებული პროფილის გასუფთავება (სადაც მთელ მონაკვეთზე მიმოფანტულია არქეოლოგიური მასალა: ქვის იარაღები, კერამიკის, ძვლისა და ობსიდიანის ფრაგმენტები) და დოკუმენტირება, აგრეთვე, გორანამოსახლარის სტრატიგრაფიის გარკვევა. რის შედეგადაც პასუხი გაეცემა შულავერ-შომუთეფეს კულტურასთან დაკავშირებულ მრავალ პრობლემურ კითხვას.







2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მაშავერას გორის ჩრდილოეთ ნაწილში ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 80-იან წლებში გათხრილი ტერიტორია გაიწმინდა დაყრილი და ჩამოშლილი მიწის ფენებისგან, ამავე ექსპედიციის მიერ გამოვლენილი შენობა-ნაგებობები გამოვლინდა ხელახლა და მოხდა მათი ფიქსაცია.



მაშავერას გორაზე დასავლეთ ნაწილში განხორციელდა 5x10 მ ფართობის გათხრები და კულტურული ფენის პრეპარაცია.

შედგა ძეგლის ახალი ტოპო-გეგმა, გორანამოსახლარი დაიყო 20X20 მ არეალებად, თითოეული არეალი კი 5X5 კვ.მ კვადრატებად. სულ თითოეულ არეალში შედის 16 კვადრატი (მაგ C1, C2, C16). 5X5 მ კვადრატებს შიგნით მოინიშნა 4X4 ზე კვადრატები. პროფილების ჩახატვის შემდეგ კვადრატები გაერთიანდა, შესაბამის კვადრატებში გამოვლენილი ნაგებობებისა თუ ცალკეული კედლები ან სტრუქტურები აიზომა (ზედხედი, ჭრილი) და დატანილია საერთო სიტუაციურ გეგმაზე. სტრატიგრაფიული ჭრილების ჩაიხატა, მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ლაბორატორიულად დამუშავდა, გაკეთდა ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია, დარეგისტრირდა მონაცემთა ბაზებში.

ძეგლზე ჩატარებული არქეოლოგიური, გათხრითი სამუშაოების მთლიანი ფართობი 125 კვ.მ-ს შეადგენს.

## ნადიკრები/გოგიჩაანთ ღელე – აგვისტო – 2020

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2020 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტის, ადგილ ნადიკრები/გოგიჩაანთ ღელეს ნამოსახლარზე ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები (ხელმძღვ. ირინა ღამბაშიძე).

არქეოლოგიური ობიექტი ნადიკრები/გოგიჩაანთ ღელე მდებარეობს კურორტ ბორჯომიდან სამხრეთ-დასავლეთით 13 კმ-ის დაშორებით, სოფ. ჭობისხევთან, მდ. მტკვრის მარჯვენა დამრეც ფერდობზე.

ორივე ნასახლარი განფენილია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ ხედით ჩრდილო-დასავლეთით, მდ. მტკვრისაკენ. 25-30° დახრილობის მქონე ტერასაზე, სადაც ნაგებობბების უკანა მხარე მიწაშია ჩადგმული და ნახევრად მიწურებია.

ნადიკრების ნამოსახლარი ზღვის დონიდან 853.51 და 840.138 მ-ს შორის არის მოქცეული, ხოლო გოგიჩაანთ ღელეს ნამოსახლარის უმაღლესი წერტილი 943.295 მ სიმაღლეზე მდებარეობს. ორივე კომპლექსი მიუყვება ამ ტერიტორიაზე არსებულ ბაზალტის მსხვილ ძარღვს. კომპლექსი შედგება რამდენიმე ნაგებობისგან.






8


5


1



არქეოლოგიური ობიექტი გაიყო ორ უბნად: I უბანი – ნადიკრების ნამოსახალარი, II კი გოგიჩაანთ ღელეს ნამოსახლარი.

2020 წელს I უბანზე გაითხარა 8 ნაგებობა, ხოლო მეორე უბანზე 3 ნაგებობა.

*I უბანი*

ნადიკრების ნამოსახლარზე სულ გაიწმინდა და გამოვლინდა 8 სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობა; ნამოსახლარის როგორც გარე, ისე შიდა ნაწილში გაივლო 11 სადაზვერვო თხრილი (5x2მ).

*II უბანი*

გოგიჩაანთ ღელეს ნამოსახლარზე გაიწმინდა 3 ნაგებობა, ეზო და გაივლო ორი თხრილი.

კომპლექსებიშუასაუკუნეებით(XI-XIIIსს.)თარიღდებადაქართულისაცხოვრებელინაგებობების ერთ-ერთი გამორჩეული ტიპი გახლავთ. მსგავსი არქიტექტურა ხასიათდება ლოკალურობით და მხოლოდ ისტორიული პროვინციის – თორის ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი.

ნადიკრებისა და გოგიჩაანთ ღელეს ნამოსახლარებზე მოპოვებულია 76 დასახელების არტეფაქტი (რეალურად გაცილებით მეტია, რადგან უსახური კერამიკული მასალა დანომრილია ჯგუფებად) და შეყვანილია მონაცემთა ბაზაში.

## საბუე – სექტემბერი – 2020

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2020 წელს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. საბუეეში მდებარე იოანე ნათლისმცემლის სახელობის კომპლექსზე ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოები (ხელმძღვ. ბორის გელაშვილი).

სამხრეთ ნავში გაწმენდითი სამუშაოების დროს გამოვლინდა საძვალე, რომელიც სამხრეთი ნავის აღმოსავლეთ კედლიდან დასავლეთის მიმართულებით 50 სმ-ით არის მოშორებული.

სამხრეთი ნავის ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირდა მოტკეპნილი მიწის ფენა. სამხრეთი ნავის დასავლეთით არსებული შესასვლელი თაღი გვიანდელ პერიოდში ამოუშენებიათ ადგილობრივი ფიქალი ქვით. ამ დროისთვის ჩამონგრეულია და მხოლოდ 1,60 სმ სიმაღლეზეა შემორჩენილი.

სამხრეთი ნავის სამხრეთ კედელზე გვიან პერიოდში მიშენებულია კოშკი. ჩატარდა კოშკის გაწმენდითი სამუშაოები. კოშკში ამ ეტაპზე ვერ დაფიქსირდა იატაკის დონე, მის ოთხივე კუთხეში დაფიქსირდა კონსტრუქციული ელემენტი (ბალიშები), გამოყენებულია ფიქალი ქვა და მასზე დაშენებულია აგურის წყობა, კედლის სიმყარისთვის.









კოშკის სამხრეთ კედელთან გარე პერიმეტრზე, კედლის მთელ სიგრძეზე გაიჭრა ***პირველი თხრილი,*** სადაც დაფიქსირდა კოშკის სამხრეთ კედელში არსებული კარის ღიობის წინ მიშენებული სამ საფეხურიანი კიბე.

***მეორე თხრილი*** გაითხარა კოშკის დასავლეთ კედელთან გარე პერიმეტრზე. აქ გამოვლინდა სათავსის კედელი, რომელიც მიშენებულია კოშკის დასავლეთ კედლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეზე. კედლის ჩრდილოეთით 1,25 სმ-ს მოშორებით დაფიქსირდა ქვაყუთის კონტურები.

***მესამე თხრილი*** გაკეთდა ტაძრის დასავლეთ კედელთან გარე პერიმეტრზე. თხრილის გაჭრისას დაფიქსირდა ეკლესიის დასავლეთ კედელზე არსებული კარის ღიობში შესასვლელი ორსაფეხურიანი კიბე.

გაიწმინდა და დაფიქსირდა ***გალავანი,*** რომელიც მიშენებული ყოფილა შესასვლელი კოშკის დასავლეთ კედელზე და მდებარეობს აღმ-დას ღერძზე. გალავანი მიემართება დასავლეთით ხევისკენ, სადაც მიწა ჩამოშლილია, რის გამოც ვერ მოხერხდა ხევის კიდემდე გალავნის გათხრა.

## ფარავანი - სექტემბერი - 2020

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2020 წელს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ფარავნის ტბის მახლობლად არსებულ ყორღანზე, სოფ. ახალ ხულგუმოსთან მდებარე შუა საუკუნეების ნასახლარსა და ნასახლარზე შაორის მთის ძირში არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა (ხელმძღვ. ნინო პატარიძე).

ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციის მთავარი უბანი ყორღნული სამარხია, რომელიც მდებარეობს ფარავნის ტბის სამხრეთ-დასავლეთით შეფენილ ბუნებრივ გორაკებზე, შაორის ნამოსახლარ მთისკენ მიმავალ გზაზე.

ყორღნის კონსტრუქციის დასადგენად გაკეთდა ორი ჭრილი. ჭრილი 1 გაიჭრა აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე.















ჭრილი 2 კვეთს სამხრეთ-ჩრდილოეთის ხაზს და ყორღნის ცენტრალურ ნაწილთან, დასაკრძალავ კამერამდე აღწევს.

ყორღნის დასაკრძალავი კამერის საზღვრების დასადგენად მის ცენტრალურ ნაწილში გაკეთდა თხრილი (7x6 მ).

არქეოლოგიურმა გათხრებმა კარგად გამოავლინა სამარხის კონსტრუქციის დეტალები. ყოღანს აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით მიუყვება „სარიტუალო გზა“, რომელიც ყორღნის პირველ წრემდე გრძელდება. გზა გამართულია გრუნტზე რამდენიმე ფენად. დასაკრძალავი კამერის გარშემო შემოწყობილია მოყვითალო-მოყავისფრო მიწაში ნარევი ქვაყრილი, რომელიც სავარაუდოდ, კამერის კიდეების გასამაგრებელ ფუნქციასაც ასრულებდა. ყორღანი მთავრდება კრომლეხის გარე პერიმეტრზე, ის მცირედით სცდება ქვის პირველი წრის საზღვრებს. ეს in situ მდგომარეობაში მყოფი ქვაყრილის ნაწილი პირდაპირ გრუნტზე დევს. მისი დაფიქსირებით სამარხის ზუსტი დიამეტრი დადგინდა (27.5 მ).

არტეფაქტთა უმრავლესობა გამოვლინდა თავად დასაკრძალავ კამერაში. მიუხედავად ყორღნის სიდიდისა, მასში გამოვლენილი არტეფაქტები არ გამოირჩევა სიმრავლითა და მრავალფეროვნებით.



ფარავნის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2020 წელს შესწავლილი მე-2 არქეოლოგიური ზონა მდებარეობს ნინოწმინდის რაიონ სოფელ ახალ ხულგუმოში. წარმოებული კვლევების შედეგად შესწავლილია 25 არქეოლოგიური კონტექსტი. მათგან 12 კედლის ფრაგმენტია, 13 კი დანალექი ფენა. სამ თხრილში გამოვლენილი სტრუქტურები ერთიანობაში 8 კედელია, რომელთა ფრაგმენტული მონაკვეთები გამოვლენილია სხვადასხვა ადგილზე.

დასახელებული სტრუქტურები ბაზალტის არათანაბარი ზომის კუთხოვანი მოგრძო ფორმის ქვებითაა ნაგები. შემაკავშირებლად გამოყენებულია თიხის (ალიზის) ხსნარი. ყველა კედელი ვრცელდება გაუთხრელ ფართობში. ნაგებობათა გეგმარება ქაოსურია. სავარაუდოა, რომ ისინი აშენებულია წინასწარი რეგლამენტაციის გარეშე.

აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ფრაგმენტულია, ძირითადად წარმოდგენილია კერამიკული არტეფაქტების სახით. მათი უმრავლესობა სამზარეულო ჭურჭელია, აქ არის სამეურნეო, სუფრისა და განსაკუთრებული დანიშნულების ნივთებიც. მოპოვებული არტეფაქტები XII-XV საუკუნეებს მიეკუთვნება, იშვიათად VII-VIII საუკუნის ნიმუშებიც დასტურდება.




2020 წლის საველე სეზონზე, ფარავნის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შაორის ნასახლარის მთის ძირში მიკვლეულ არქეოლოგიურ ობიექტზე სადაზვერვო თხრილი გაავლო.

ნამოსახლარის შესწავლის შედეგად ძეგლზე ორი ფენა დადასტურდა. ორივე ფენა ისეა შემონახული, რომ მომდევნო ფენას წინა არ დაუნგრევია.

აღმოჩენილი მასალა მრავალფეროვანია, კერამიკულ არტეფაქტებთან ერთად გამოვლინდა მეტალის ერთი ნივთიც. თიხის მასალის უმრავლესობა უსახური ცალებია, თუმცა გამოირჩევა რამდენიმე დამათარიღებელი ნატეხიც. ფიალისა და მოხატული კერამიკის ფრაგმენტებიც, პირველადი დაკვირვებით გვიან ელინისტურ ხანას უნდა ეკუთვნოდეს. ამ ვარაუდს ადასტურებს პარალელური მასალაც.

## სურამი – სექტემბერი – 2020

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2020 წელს დაბა სურამში (ხაშურის მუნიციპალიტეტი), სურამის ციხის ტერიტორიის გაწმენდითი სამუშაოები განხორციელდა (ხელმძღვ. ბორის გელაშვილი).

ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით სასახლისა და ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჰუმუსის ფენის მოხსნის შემდეგ გამოვლინდა ნანგრევი ნაშალი ფენა. ეკლესიის დასავლეთით გამოვლინდა ოთახი, რომლის აღმოსავლეთი კედელი ეკლესიის დასავლეთი კედელი გახლავთ. ეკლესიის დასავლეთით გამოვლენილი ოთახის სამხრეთით დადასტურდა მცირე ზომის #2 ოთახი, რომელიც, სავარაუდოდ, საიდუმლო გასასვლელისთვის გამოიყენებოდა, რადგან ოთახის სამხრეთ მხარეს ბუნებრივი ქანი გაჭრილია გვირაბისთვის, რომელიც უერთდება აღმოსავლეთ მხარეს ციხის ძირში დაფიქსირებულ გვირაბს.

2020 წლის სამუშაოები გულისხმობდა მარნის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში ნაშალ-ნანგრევი ფენის მოხსნას, რომლის სიმაღლე (სიმძლავრე) 2,10 მეტრს აღწევდა, ქვებისგან გასუფთავების შემდგომ ნაყარ ფენაში გამოვლინდა გვინდელი პერიოდისთვის დამახასიათებელი კერამიკული ნივთები.

გაწმენდითი სამუშაოების დროს დადასტურდა დასავლეთით გალავანში გაჭრილი ღრმული, რომელიც იატაკის დონიდან 8 სანტიმეტრზეა. რა დანიშნულების იყო ამ ეტაპისთვის გაუგებარია.






ციხის სამხრ.დასავლეთ კედლის (გალავნის) პირიდან შიდა სივრცეში 4 მეტრის მანძილზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ - ჩრდილო-დასავლეთ ღერძზე ჩანს დაახლოებით 14 მეტრის სიგრძის კედელი, რომელიც, სავარაუდოდ (დარბაზული ტიპის) ნაგებობის კვალია. კედლის სიმაღლე უმაღლეს წერტილში 5 მეტრს აღემატება. აღსანიშნავია, რომ ეტყობა გადაკეთების სხვადასხვა კვალი, სიმაღლის ცვლილებით. კედლის სამხრ.დასავლეთ კუთხეში განთავსებულია ბუხარი.

მარნის ჩრდილოეთით გამოვლინდა კედლის დაზიანებული ფრაგმენტი. შემოსასვლელი კარი გაჭრილია ჩრდილოეთით გალავანში. შემოსასვლელიდან აღმოსავლეთით (5 მეტრში) გამოვლინდა ოთახი, რომელსაც პირობითად საგუშაგო დაერქვა. ინტერიერში, ჩრდილოეთ კუთხეში აღმოჩნდა ბუნებრივ ქანში ამოჭრილი ცეცხლის დასანთები კერა. კერის









აღმოსავლეთით, ბუნებრივ ქანში ამოჭრილია მოსასვენებელი ადგილი, მის სამხრეთით დაფიქსირდა მცირე ზომის წყალშემკრები რეზერვუარი. რეზერვუარის სამხრეთით, 0.30 მ სიმაღლეზე გამოვლინდა ბუნებრივ ქანში ამოჭრილი დასაჯდომი (რომლის ქვემოთაც აღმოჩნდა დამბაჩის ორი ლულა).

ზედა ციხის ტერიტორიაზე მოიხსნა მიწის ფენა ჩრდილო-აღმოსავლეთ ღერძზე.

შიდა ციხის დასავლეთ გალავანთან აღმოსავლეთით გაიწმინდა 2019 წელს გამოვლენილი კედელი, რომელიც მიდგმულია კოშკის სამხრეთ კედელზე (ალბათ ტერასას ქმნიდა). კედლის დასავლეთით დადასტურდა 3 მომცრო და ერთი დიდი ზომის ქვევრი, რომელიც შუაზეა გადაჭრილი და წყლის რეზერვუარად გამოუყენებიათ.

კოშკიდან სამხრეთით დაფიქსირდა სათავსი, რომელსაც სამხრეთიდან ჰქონდა შემოსასვლელი კარი. სათავსი ნაგებია კარგად დამუშავებული გათლილი ქვით. ინტერიერში 0,20 მ სისქის მძლავრი ნახშიროვანი კულტურული ფენაა, სადაც დაფიქსირდა ადრეული ეტაპისთვის დამახასიათებელი კერამიკული ნაწარმი.

## ჭაქვინჯა - სექტემბერი - 2020

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2020 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯიხაშკარში, ჭაქვინჯის ციხეზე ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოები (ხელმძღვ. ნიკოლოზ მურღულია).

2020 წელს ექსპედიციამ ჭაქვინჯის ციხის ციტადელის აღმოსავლეთ ნაწილში იმუშავა. ექსპედიციამ ციტადელის მთლიანი ფართობი (25მX100მ) მცენარეული საფარისგან გაწმინდა, განახორციელა გასულ წელს გათხრილი თხრილების ნაწილობრივი დეკონსერვაცია.

ჰუმუსის აღების შემდეგ გამოვლინდა არეული მასალის შემცველი ფენები. ასევე თხრილის აღმოსავლეთ ნაწილის დაღრმავებისას მიწის ზედაპირზე არსებული ბორცვების ქვეშ გამოჩნდა კირქვების, რიყის ქვებისა და კირხსნარის შემცველი ქვაყრილები. თხრილის ჩრდილოეთ მონაკვეთში ჰუმუსის მოხსნის შემდეგ გამოვლენილი ფენა დიდი რაოდენობით შეიცავდა სამზარეულო/სამეურნეო ჭურჭლის ფრაგმენტებსა და წვრილფეხა საქონლის ძვლებს, რომლის აღების შემდეგ გამოვლინდა მისი მსგავსი ფენა, იმავე მასალის უფრო დიდი კონცენტრაციით.






N

407-ე ფენის დაღრმავების შემდეგ, თხრილის ჩრდილოეთ კიდესთან გამოვლინდა ადამიანის თავის ქალა, მის გარშემო ფენის გაწმენდისას დაფიქსირდა ჩონჩხის სხვა ნაწილებიც. ძვლები გაფანტული და არეული იყო, აღმოჩნდა მხოლოდ თავის ქალა, ორი სხვადასხვა ინდივიდს ქვედა ყბა, ნეკნებისა და მალების მცირე ფრაგმენტები, მენჯისა და კუდუსუნის ძვლები, ბარძაყის ერთი ძვალი. აშკარაა, რომ სამარხები არეულია. თხრილის ეს მონაკვეთი, ეკლესიიდან ორიოდე მეტრითაა დაშორებული, ამიტომ აქ სასაფლოს არსებობა ბუნებრივია. ეს ფენა და ძვლების ნარჩენები საკმაოდ დიდ ფართობზე ვრცელდება (2-3 კვ.მ) და ზემოდან ადევს ნახევრად სტერილურ რიყის ქვის კონგლომერატიან ფენას. თხრილის ამ ნაწილში, აღმოსავლეთ კიდესთან აღმოჩნდა ორი სამარხი.

თხრილის სამხრეთ ნახევარზე გაიწმინდა 2019 წელს N3 თხრილში დაფიქსირებული ნაგებობის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ გაგრძელებები. ნაგებობის გარშემო არსებული ფენებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალების ანალიზით, სტრუქტურის ტიპისა და სიღრმის გათვალისწინებით, ის განვითარებულ შუა საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს.

თხრილის დროებით კონსერვაციამდე, იქ გამოვლენილი ნაგებობები, სამარხები და ფენები კიდევ ერთხელ გაიწმინდა, დასურათდა და ჩაიხაზა.



# *Dmanisi – August – 2020*

Funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, in 2020 Dmanisi archaeological expedition (leader: Jimsher Chkhvimiani) carried out archaeological activities at Dmanisi city-site, which included field archaeological excavations, topographic works, laboratory research of the obtained artifacts, etc.

The area of archaeological excavations covered three plots:

1. Plot V – the cemetery of the medieval city-site of Dmanisi, its easternmost, Christian part. Trench DM.20.02, dimensions: 6 x 10 m.
2. Plot III – the area south-west of the so-called 'mosque with a pier' of archaeological excavations of Dmanisi city-site. Archaeological trench DM.20.03, dimensions: 5 x 5 m.
3. Plot I – the area north of Dmanisi Sioni. Archaeological trench DM.20.04, dimensions: 8 x 10 m.

Total area of the archaeological works conducted at the site is 165 sq.m.

**Plot V**

In 2020, archaeological works were carried out in the extreme southern part of Dmanisi cemetery, in the part of the Christian period church. This part of the cemetery revealed a very interesting picture. An approximately four-meter wide levelled terrace is arranged on a steep slope. On the west, from a raised side the area is confined with a long, one-meter wide wall, probably, specially built to protect it from landslide. The wall is built with sandstone and tuff blocks. In places lime mortar is used in the masonry. The terrace expands along several dozens of meters from the north to the west. As the excavations showed, as well as the layout of superficially visible structures, there is a line of graves arranged in two rows on the terrace. Their above-the-ground memorials – tombstones are laid rather compactly. On the same terrace, several meters south of the trench dug by the expedition there are remains of a pedestal built of stone, brick and mortar, probably the stone and the brick of a khachkar. The so-called upper and lower khachkars of Dmanisi cemetery, too, are inserted in similar arched structures built with stone and brick.

According to other parallels found in Dmanisi, this khachkar can be dated to the $13^{th}$ -$14^{th}$ centuries.

*Trench DM.20.02 (trench XV) dug at the cemetery revealed 18 graves arranged with above-the-ground tombstones.*

***Plot III***

An archaeological trench was dug near the so-called 'mosque with a pier', on plot III of the city-site. The composition of an interesting structure preserved in the central part of the city-site is simple: it is a large, slightly oblong, right-angled large room with an area of 10.00 x 8.00 m; the 1.5-meter-wide doorway is made in the eastern wall.

Another, third room C of structure XV was excavated through the trench dug during the campaign of 2020. The area of the trench is 25sq. m. Fourteen archaeological contexts were documented in the trench.

The habitation level <DM2003006> of the room (XVc) revealed in the trench must belong to the late Middle Ages. This presumption is based on defining the archaeological artifacts uncovered on the habitation level in question by the late medieval period (fragments of pottery).

***Plot I***

Plot I yielded the ground floor of the structure, the basement, so-called ‘structure with a door’ which consisted of several rooms.

Comprehensive research of the artifacts recovered as a result of archaeological excavations is under way. The material is kept in the laboratory of the Dmanisi archaeological base of the Georgian Museum.

## *Vashnari-August-2020*

Funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, in 2020 archaeological works were carried out at the early medieval period ($4^{th}$ -$8^{th}$ cc) city-site of Gurianta-Vashnari (Ozurgeti Municipality) (leader: Vazha Sadradze). The aim of the archaeological research was to estimate the distribution area of the site and to reveal and specify certain details.

During the field campaign in 2020, the martyrium (10 x 10m), which is situated north of the Vashnari basilica and which had been partly excavated and temporarily conserved in previous years, was deepened, excavated and preparation was conducted. The humus layer (depth 30 cm) of the area adjacent to the western entrance (4 x 3 m) – gateway of the basilica was removed. The western entrance of the basilica was excavated and preparation was carried out in its adjacent areas. The wall (35 x 1 m) revealed on the plan level east of the basilica was excavated superficially. In order to uncover the remains of auxiliary structures (facilities) at 12-15 meters west of the basilica, four prospecting shafts were dug and on completion of the activities the area was recultivated (60 sq. m). The excavated areas were partly conserved with sacks full of earth and the earth layer itself (60 sq.m).

## *Mashavera-August-2020*

Funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, in 2020 archaeological works were conducted on Mashavera hill in Bolnisi Municipality (leader: Joni Abuladze). The aim of the work was to clean the site, clean the area excavated by the Kvemo Kartli archaeological expedition and conduct ultimate investigation. In addition, they cleaned the profile collapsed as a result of erosion and left during earlier excavations (where archaeological material is scattered all over the area: stone tools, pottery, bone and obsidian fragments), compiled

documentation and identified the stratigraphy of the hill settlement-site. All these will provide answers to many problematic questions linked with Shulaveri-Shomutepe culture.

As a result of archaeological works conducted in 2020, the area excavated by the Kvemo Kartli archaeological expedition in the northern part of Mashavera hill in the 1980s was cleaned from earth layers that had been thrown about and collapsed; the structures revealed by the same expedition were uncovered anew and their fixation took place.

Excavations of the area of 5 x 10 m were conducted in the western part of Mashavera hill and preparation of the cultural layer occurred.

A new topographic plan of the site was compiled; the hill settlement-site was divided into the plots of 20 x 20 m, and each plot – into grids of 5 x 5 sq, m. In total, each plot comprises 16 grids (e.g. C1, C2, C16). 4 x 4 m grids were marked inside the 5 x 5 m grids. After drawing the profiles, the grids were united, walls of the structures and separate walls or structures uncovered in relevant grids were measured (elevation, section) and marked on the general situational plan. The stratigraphic shafts were drawn, the obtained archaeological material was processed in the laboratory, photo and graphic fixation was conducted, the data were registered in the database.

The whole area of the excavations conducted on the site covered 125 sq. meters.

## *Nadikrebi/Gogichaant Ghele – August – 2020*

Funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, in 2020 archaeological excavations were conducted at the settlement-site of Nadikrebi/Gogichaant Ghele, Borjomi Municipality (leader: Irina Ghambashidze).

The archaeological site of Nadikrebi/Gogichaant Ghele is situated 13 km south-west of resort Borjomi, near Village Chobiskhevi, on a steep slope on the right bank of the Mtkvari.

Both of the settlement-sites are laid out north-east to south-west, with a view on the north-west, in the direction of the Mtkvari. It is a terrace inclined by 25-30° where back sides of the structures are fitted in the ground are half dug-outs.

The settlement-site of Nadikrebi is situated at an altitude of between 853.51 and 840.138 m, while the uppermost point of the site of Gogichaant Ghele is at 943.295 m. Both of the complexes run along the thick basalt vein existing on this territory. The complex comprises several structures.

The archaeological site was divided into two plots: plot I – Nadikrebi habitation site, and plot II – Gogichaant Ghele habitation site.

In 2020 eight structures were excavated on plot I, and three – on plot II.

***Plot I***

At Nadikrebi habitation site eight household and communal facilities were cleaned and revealed;

eleven prospecting trenches (5 x 2 m) were made in the inner part.

***Plot II***

Three structures and a yard were cleaned and two prospecting trenches were made at the habitation site of Gogichaant Ghele.

The complexes date to the Middle Ages ($11^{th}$ -$13^{th}$ cc) and represent one of the outstanding types of Georgian residential structures. This architecture is characterized by its local nature and is typical of only the historical province of Tori.

The settlement-sites of Nadikrebi and Gogichaant Ghele yielded 76 varieties of artifacts (in fact, there are even more as the artless ceramic material is given group numbers) which have been entered into the database.

## *Sabue-September-2020*

Funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, in 2020 archaeological excavations were carried out at the complex of John the Baptist at Village Sabue, Kvareli Municipality (leader: Boris Gelashvili).

Cleaning works in the southern nave revealed an ossuary which is situated 50 cm west of the eastern wall of the southern nave.

A layer of rammed earth floor was evidenced in the central part of the southern nave. The entrance arch arranged west of the southern nave had been built up with local shale in the later period. Presently it is collapsed and only preserved at a height of 1.6m.

In the later period a tower was annexed to the southern wall of the southern nave. The tower was cleaned. On this stage the floor level of the tower has not been identified. A constructional element (cushions) was documented in all four corners. Brick masonry is built over the shale foundation for the solidity of the wall.

***Trench I*** was arranged along the whole length outside the southern wall of the tower. The area revealed three-step stairs annexed to the doorway cut in the southern wall of the tower.

***Trench II*** was dug outside the western wall of the tower. The area revealed the wall of a room attached to the south-west corner of the western wall of the tower. Contours of a cist were registered 125 cm north of the wall.

***Trench III*** was arranged outside the western wall of the church. While digging, two-step stairs leading to the door cut in the western wall of the church were revealed.

***A fence*** which was annexed to the western wall of the entrance tower and extends along the east-west axis was cleaned and recorded. The fence runs towards the gorge on the west where mass of earth is collapsed, which made it impossible to excavated the fence to the edge of the gorge.

## *Paravani – September – 2020*

Funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, in 2020 archaeological works were conducted at the medieval settlement-site near Village Akhali Khulgumo, on the kurgan situated near Paravani Lake and the settlement-site at the bottom of Shaori hill (Ninotsminda Municipality) (leader: Nino Pataridze).

Main plot of the Paravani archaeological expedition is a tumulus located on natural hills south-west of Paravani Lake, on the road leading to Shaori hill-site.

Two shafts were made with a view to estimating the construction of the tumulus. Shaft 1 was dug on the east-west line.

Shaft 2 crosses the south-north line and reaches a burial chamber situated in the central part of the tumulus.

A trench was made in order to estimate the borders of the burial chamber in its center (7 x 6 m).

Archaeological excavations revealed details of the construction of the grave. There is a 'ritual road' running along the kurgan from east to west up to the first circle of the kurgan. The road is arranged on the ground in several layers. The burial chamber is surrounded by rubblework mixed with yellowish-brownish earth. It probably had a function of reinforcing the edges of the chamber. The kurgan ends outside the cromlech, slightly going beyond the first stone circle. This part of the *in situ* stone mound is arranged immediately above the ground. Recording the stone mound contributed to estimating the exact diameter of the burial (27.5 m).

Most of the artifacts were revealed in the burial chamber itself. Despite the large size of the kurgan, the artifacts discovered in it are not distinguished by multiplicity and diversity.

Archaeological zone II investigated by the Paravani archaeological expedition in 2020 is situated in Village Akhali Khulgumo, Ninotsminda District. 25 archaeological contexts were examined as a result of research. 12out of them are wall fragments, while 13 are deposit layers. Three trenches revealed a total of 8 walls of the structures whose fragments are revealed in different places.

The structures in question are built with oblong angular stones of random size. Clay (adobe) solution is applied as bonding material. All the walls extend into the unexcavated area. Planning of the structures is irregular. Presumably, they were built without advance regulation.

The archaeological material obtained here is fragmentary, mainly represented by ceramic artifacts. Their majority is kitchenware, as well as household tools, tableware and items of specific function. The artifacts belong to the 12$^{th}$ -15$^{th}$ cc; specimens of the 7$^{th}$ -8$^{th}$ cc are rarely evidenced too.

During the 2020 field campaign, the Paravani archaeological expedition made a prospecting shaft at the archaeological site tracked down at the bottom of Shaori hill-site.

As a result of investigation of the settlement-site two strata were documented. Both of the strata are preserved so that the following layer has not destroyed the previous one.

The discovered material is diverse; a metal object was also revealed alongside ceramic artifacts. Most of the ceramic material is artless, though there are several dating fragments too. According

to preliminary observation, fragments of phialae and painted pottery must belong to the Late Hellenistic epoch. This suggestion is supported by parallel material as well.

## *Surami-September-2020*

Funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, in 2020 clearing works were conducted on the territory of Surami Fortress in the town of Surami, Khasguri Municipality (leader: Boris Gelashvili).

After removing the humus layer south east of the fortress, on the territory adjacent to the palace and the church, a debris layer was revealed. On the west of the church a room was revealed whose eastern wall forms the western wall of the church. South of the room revealed west of the church a small room N2 was evidenced. It was probably used as a secret passage, as the natural stratum in the south of the room is cut for a tunnel which joins the tunnel documented on the east side at the bottom of the fortress.

The activities conducted in 2020 intended to remove the debris layer of 2.10 m in the north-west part of the wine cellar. After cleaning it from stones the layer yielded ceramic artifacts characteristic to the later period.

During cleaning works a hole cut in the fence on the west at a height of 8 cm above the floor level was evidenced. Presently it is unclear what its function was.

A 14-meter-long wall can be identified on the south-east-north-west axis at 4 meters inside the south-west wall (fence) of the fortress. It must be the remnant of a (hall-type) structure. At its highest point the wall reaches 5 meters. Notably, it bears various traces of alteration expressed in the changes of the heights. There is a fireplace in the south-west corner of the wall.

A damaged fragment of the wall was revealed north of the wine cellar. The entrance is cut in the fence on the north. A room was revealed 5 meters east of the entrance. It was conventionally referred to as a guard-post. In the interior, in the north corner there appeared a hearth for fire cut into the natural rock. East of the hearth a lounge is cut into the natural rock and there is a small water reservoir south of it. South of the reservoir, at a height of 0.3 m a seat is cut into the natural rock (two pistol barrels were discovered under the seat).

Earth layer was removed on the territory of the upper fortress along the north-east axis.

A wall revealed in 2019 was cleaned near the western fence of the inner fortress. The wall is attached to the southern wall of the tower (probably formed a terrace). Three small and one large pithos were evidenced west of the wall. The large one is cut off in the middle part and used as a water reservoir. There is a 0.2 m thick charred cultural layer which contained ceramic products typical of an early period.

## *Chakvinja – September – 2020*

Funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, in 2020 archaeological works were conducted at Chakvinja Castle in Village Jikhashkari, Zugdidi Municipality (leader: Nikoloz Murghulia).

In 2020 the expedition carried out activities in the eastern part of the citadel of Chakvinja Castle. The expedition cleaned the whole area of the citadel (25 x 100 m) from vegetation, and conducted partial conservation of the trenches made in the previous year.

Removal of the humus layer resulted in revealing the strata containing messed-up material. In addition, while deepening the eastern part of the trench cairns containing limestones, cobbles and mortar appeared under the hillocks visible above the ground. The layer revealed after removing the humus in the northern section of the trench contained a large number of fragments of kitchenware and household items as well as bones of small livestock and on removing the latter there appeared a similar kind of layer with a bigger concentration of similar material.

After deepening layer 407, a human skull was discovered at the northern edge of the trench. While cleaning the layer around it there appeared other parts of skeleton as well. The bones were scattered and messed up: only a skull, lower jaws of two different individuals, small fragments of ribs and vertebrae, bones of pelvis and coccyx and a single thigh bone were discovered It is obvious that graves had been messed up. This section of the trench is two meters away from the church, which makes presence of a cemetery here feasible. This layer and the remains of the bones expand over a large area (2-3 sq. m) and they cover the conglomerate layer of semi-sterile cobbles. Two graves were discovered at the eastern edge in this part of the trench.

Northern and eastern extensions of the structure evidenced in trench N3 in 2019 were cleaned in the southern half of the trench. Based on the analysis of the archaeological material coming from the layers around the structure, and considering the type and the depth of the structure, it must belong to the high medieval epoch.

Prior to the temporary conservation of the trench, the structures, graves and layers revealed there were once again cleaned, photographed and drawn.

# ახალი აღმოჩენა ხუნწის ციხეზე

*ნიკოლოზ მურღულია*

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. ხუნწი მდებარეობს მდ. ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, მარტვილი-ხონი-ქუთაისის დამაკავშირებელი სამანქანო გზის მე-8 კმ-ზე (სურ. 1-2). აქ, სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში, ქუქითის გორაკზე, რომელიც უნაგირა მთის შემადგენელია არის ნაციხარი („ნაჯიხუ") (GPS კოორდინატები: 42.400033°; 42.415467°. სიმაღლე ზღვის დონიდან: 275 მ).

VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი ერთ-ერთი მათგანია, ვინც აღგვიწერა 542 წელს ბიზანტიასა და სასანიანთა ირანს შორის დასავლეთ საქართველოში დაწყებული საომარი ოპერაციები. ეს დაპირისპირება 20 წელზე დიდხანს გაგრძელდა და ის საისტორიო ტრადიციაში მოიხსენიება, როგორც „დიდი ომიანობა ეგრისში". ამ ომის დროს აგათია რამდენჯერმე ახსენებს ონოგურისის ციხეს, რომელსაც ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, როგორც ბიზანტიელები, ისე ირანელები.

ამ პუნქტის ლოკალიზაციას აგათიას ნაშრომის თარგმანისთანავე შეეცადა ს. ყაუხჩიშვილი [გეორგიკა, III, 1936: 59-62, შენიშვნა 1]. მან ამ ციხის სახელი დააკავშირა მარტვილისა და ხონის რაიონების საზღვარზე მდებარე უნაგირა მთასთან. ს. ყაუხჩიშვილმა ყურადღება მიაქცია აგათიას ცნობას, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ 554 წლისთვის სპარსელებს ლაზეთი ეჭირათ ცხენისწყლამდე, ხოლო ბიზანტიელები გამაგრებული ყოფილან ცხენისწყლის დასავლეთით [გეორგიკა, III: 38-41, შენიშვნა 2]. მისი აზრით, ეს ციხე უნდა მდგარიყო აღმოსავლეთ და დასავლეთ ლაზეთის საზღვარზე, არქეოპოლისსა და ქუთაისს შუა და იცავდა დედაქალაქ ციხეგოჯ-არქეოპოლისს. ასევე ს. ყაუხჩიშვილმა ონოგურისი გააიგივა VI საუკუნის ბიზანტიელი მემატიანის პროკოპი კესარიელის უქიმერიონის ციხესთან.

ონოგურისის იდენტიფიკაციის თაობაზე შემდგომშიც არაერთი მოსაზრება გამოითქვა. ამ ციხის სახელწოდებას ნ. ბერძენიშვილიც უნაგირა მთასთან აკავშირებდა. ის მას სოფ. ბანძისა და ნოქალაქევის მიდამოებში ეძებდა. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა, რომ ბანძასთან ახლოს მდებარე სოფ. ონოღიას "ონოგურისთან" დაკავშირება საკმაოდ მაცდური იყო [ნ. ბერძენიშვილი, 1975: 463-465], მაგრამ ამ დაკავშირებას ხელს უშლის ის გარმოება, რომ ონოღია ვაკეზე მდებარეობს და იქ ნაციხარის მსგავსი არაფერია აღმოჩენილი.

ნოქალაქევის ექსპედიციამ XX ს-ის 80-იან წლებში არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოვა მარტვილის მუნიციპალიტეტში მდებარე აბედათის ციხეზე და სამეცნიერო



1. ხუნწის ციხის ტოპო-გეგმა

ლიტერატურაში დაფიქსირდა ვარაუდი, რომ სწორედ ეს ციხე უნდა ყოფილიყო ონოგურისი [პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, 1991: 127-137; В.А. Леквинадзе, 1993: 209-222]. ამ საკითხს უკანასკნელად შეეხო ა. ფაილოძე [ა. ფაილოძე, 2003: 27-32]. აგათია სქოლასტიკოსის თხზულების მიხედვით მან შეისწავლა ონოგურისის გეოგრაფიული მდებარეობა და გამოთქვა მოსაზრება, რომ აბედათი არ შეიძლება ონოგურისი ყოფილიყო, რადგან საკმაოდ შორს არის ქუთაისისგან. ასევე მიაქცია ყურადღება იმას, რომ უნაგირას ქედი იმერეთის საზღვართან, სოფ. მათხოჯის პირდაპირ, ცხენისწყლის გაღმა სოფ. ზედა ხუნწის გორაკიდან იწყება. ამ გორაკს კი ადგილობრივები ნაჯიხუს ანუ „ნაციხარს" უწოდებენ. ა. ფაილოძემ მოინახულა ამ გორაკზე შემორჩენილი ნაგებობების ნაშთები და დაასკვნა, რომ ონოგურისი სწორედ ხუნწშია მოსაძიებელი.


2. ხუნწის ციხის ბორცვის საერთო ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან



3. ხუნწის ციხის ჩრდილოეთ გალავნის ფრაგმენტი. ხედი აღმოსავლეთიდან

2014 წლის არქეოლოგიური კამპანიის დროს, ქართულ-ინგლისური ექსპედიციის რამდენიმე წევრმა დაზვერა ზემო ხუნწის გორაკი. ამ გორაკზე მართლაც შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობის ნაშთები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპედიციის დაწყებამდე გალავნები სრულად იყო მიწით დაფარული.

მოსაზრებას ონოგურისისა და ხუნწის იგივეობის შესახებ გარდა ზემოთ მოტანილი არგუმენტებისა, მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ ამ სოფელში, იმავე გორაკის ძირში გადის მდინარე ნოღელა, რომლის სახელწოდება შეიძლება ასევე ონოგურისთან იყოს დაკავშირებული. გარდა საისტორიო წყაროში დაცული ცნობისა და ტოპონიმიკის იგივეობისა, ციხის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობიდან გამომდინარე (მისი ყველაზე შემაღლებული წერტილიდან ოთხივე მხარე კარგად ჩანს და კონტროლდება), ჩნდება ეჭვი მისი ონოგურისთან კავშირის თაობაზე.

ხუნწის ციხის არქეოლოგიური კვლევა 2015 წელს დაიწყო, 2016 წლიდან დღემდე არქეოლოგიური სამუშაოები ნაციხარის ტერიტორიაზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობითა და დაფინანსებით მიმდინარეობს [ლომიტაშვილი დ... 2017: 99-111; ლორთქიფანიძე ბ... 2018a: 47-51; ლორთქიფანიძე ბ... 2018b: 80-100; ლორთქიფანიძე ბ... 2019: 44-50].



4. ხუნწის ციხის დასავლეთ კოშკი. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან

პირველ ეტაპზე გაიჭრა ოთხი სადაზვერვო შურფი, რის შედეგადაც ბორცვის ჩრდილოეთ დაფერდებებზე დადასტურდა გალავნის კედლების ფრაგმენტები და კერამიკული ნაწარმის დიდი კონცენტრაცია, ხოლო ცენტრალურ, შემაღლებულ ადგილას გამოვლინდა ჰიდრავლიკური ხსნარით მოპირკეთებული იატაკი. 2016 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის დროს, გაიწმინდა გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობა, რომელსაც ეკუთვნოდა ზემოთ აღნიშნული ჰიდრავლიკური ხსნარით მოწყობილი იატაკი, თუმცა ნაგებობის ბოლომდე გამოვლენა ვერ მოხერხდა, რადგან მასზე იდგა მობილური ოპერატორის სადგური. აღსანიშნავია, რომ ამ სადგურის მშენებლობისას მნიშვნელოვანი დაზიანდა ნაციხარის ტერიტორიის სწორედ ეს მონაკვეთი.

ციხის ძალისმიერი განადგურების გარდა, როგორც ჩანს გალავნების ნგრევა ბუნებრივმა პროცესებმაც გამოიწვია, ვინაიდან, ქუქითის ბორცვი შედგება ეროზირებადი ქანებისგან, რომლებიც იოლად იშლება.

2015 წლიდან დღემდე ციხის ტერიტორიის აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და დასავლეთ ფერდებზე გამოვლინდა და გაიწმინდა 50 მეტრამდე გალავნის კედლის ფრაგმენტი (სურ. 3), მიწის ფენით დაფარული ოთხკუთხა კოშკი, ერთადერთი ნაგებობაა, რომელიც მიწის ზედაპირზე არქეოლოგიური კვლევების დაწყებამდე იკითხებოდა (სურ. 4.). გალავნების შიდა პერიმეტრზე აღმოჩნდა ძალიან დიდი რაოდენობისა დანაირსახეობის სამეურნეო



5. ხუნწის ციხის გალავნებთან გამოვლენილი კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები



6. ხუნწის ციხის გალავნებთან გამოვლენილი კერამიკის სამშენებლო მასალები

(ამფორები, ქვევრები, ლუთერიუმები) და სამშენებლო (აგურები, კრამიტები, ფილები) კერამიკული მასალები (სურ. 5-6). მათი აბსოლუტური უმრავლესობა IV-VI საუკუნეებით თარიღდება და შესაბამისად, ციხის არსებობის ქრონოლოგიაც აღნიშნულ პერიოდში უნდა მოექცეს. საინტერესოა, რომ დღემდე შესწავლილ ტერიტორიებზე სამზარეულო და სასუფრე ჭურჭლის ფრამენტები ძალიან მცირე რაოდენობით არის აღმოჩენილი, რაც შესაძლოა, მიუთითებდეს იმ ფაქტზე, რომ ხუნწის ციხე უფრო მეტად სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი იყო, ვიდრე რომელიმე დიდებულის საცხოვრებელი რეზიდენცია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია 2016 წელს გამოვლენილი და 2018 წელს სრულად გაწმენდილი ნაგებობა და მის ცენტში არსებული კრიპტა, რომლის ჩასასვლელის გაწმენდა და გამოვლენა მხოლოდ 2020 წლის ექსპედიციის მუშაობის დროს გახდა შესაძლებელი.

ნაგებობა ტაძარია ორიენტაციით დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე, 200-იანი გადახრით სამხრეთისკენ, ზომები 8X13 მ. ის შედგება დარბაზის, აფსიდისა და მასზე მიშენებული ორი ფრთისგან, რომლებიც აფსიდას ჩრდილოეთ და სამხრეთ მხრიდან ემიჯნება (სურ. 7). ნაგებობის წმენდის პროცესში გამოიკვეთა სამი სამშენებლო ეტაპი, რაც ყველაზე კარგად იატაკის დონეების დაფიქსირებისას გამოჩნდა. ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში დარბაზისა




7. ხუნწის ციხის ტაძრის ორთო-ფოტო

და აფსიდის მიჯნაზე აღმოჩნდა კირით მოლესილი იატაკი, რომლის თავზეც მოგვიანებით ჰიდრავლიკური ხსნარით იატაკის მეორე დონე მოუწყვიათ. სულ ბოლოს კი ამ უკანასკნელზე დაუწყვიათ კერამიკული ფილები. აქვე აღმოჩნდა მცირე ზომის ქვაჯვარის ფრაგმენტი, რომელზეც მხოლოდ ორი ფრთაა შემორჩენილი (სურ. 8). ჰიდრავლიკური ხსნარით მოლესილი იატაკის ფრაგმენტი დაფიქსირდა აფსიდშიც, თუმცა, ის აფსიდის მხოლოდ სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილშია შემორჩენილი, რომელსაც ზემოდან ერთ რიგად დალაგებული უხეშად გათლილი ქვების ფენა ადევს, როგორც ჩანს, ეს ფენა დონის ასამაღლებლად მოუწყვიათ. აფსიდის შესასვლელში დაფიქსირდა სამხრეთ-ჩრდილოეთ ორიენტაციის აგურით ნაშენი კედლის ფრაგმენტი. სავარუდოდ,



8. ტაძრის დარბაზის იატაკზე გამოვლენილი ქვა-ჯვარის ფრაგმენტი




9. ᲮᲣᲜᲬᲘᲡ ᲪᲘᲮᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲝᲠᲗᲝ-ᲤᲝᲢᲝ ᲡᲐᲫᲕᲐᲚᲘᲡ ᲩᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲬᲛᲔᲜᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ნაგებობის გადაკეთების დროს, აფსიდის დონე დარბაზთან შედარებით აამაღლეს და სწორედ ამ გადაკეთების დროინდელი უნდა იყოს ფილებით მოწყობილი იატაკი, აგურის კედელი და აფსიდში ჰიდრავლიკურ იატაკზე დალაგებული ნაყარი ქვების ფენაც. ტაძარი, საშენებლო ტექნიკისა და იქ გამოვლენილი მწირი კერამიკული მასალების (ჭურჭელი და სამშენებლო დანიშნულების) ქრონოლოგიის გათვალისწინებით, ზოგადად, IV-VI საუკუნეებით თარიღდება.

როგორც აღვნიშნეთ, ნაგებობის სრულად გამოვლენა-გაწმენდის შემდეგ მთავარი მიზანი 2016 წელს გამოვლენილი ტაძრის დარბაზის ქვეშ არსებული საძვალის (კრიპტის) ჩასასვლელის გამოვლენა იყო, რომლის დათვალიერებაც 2020 წლამდე, მხოლოდ აფსიდსა და დარბაზს შორის ჩანგრეული ორმოს საშუალებით იყო შესაძლებელი. როგორც წარმოებულმა სამუშაოებმა აჩვენა კრიპტის ჩასასვლელი მოწყობილი ყოფილა ტაძრის დარბაზის ცენტრალურ ნაწილში, მთავარი (დასავლეთ) შესასვლელის წინ (სურ. 9). ის აგურების, ფილებისა და კრამიტების ნატეხებით ხელოვნურად იყო ამოვსებული იატაკის დონემდე (სურ. 7). გაწმენდის შემდეგ დადგინდა, რომ საძვალის ჩასასვლელი დერეფნულია.



10. ტაძრის საძვალეში ჩასასვლელი საფეხურები. ხედი აღმოსავლეთიდან



11. ტაძრის საძვალეში ჩასასვლელი საფეხურები. ხედი ჩრდილოეთიდან



12. ტაძრის საძვალეში ჩასასვლელი საფეხურები. ხედი სამხრეთიდან



13. ტაძრის საძვალეში ჩასასვლელი საფეხურები. ხედი დასავლეთიდან

შედგება სამი კედლისა და ოთხსაფეხურიანი კიბისგან, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლები კირქვით არის ნაგები, ხოლო აღმოსავლეთ კედელი, სადაც კრიპტაში შესაძრომი თაღია გაჭრილი, აგურებითაა ნაშენი. ამ კედლის სიმაღლე 1.50 მეტრია. სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლები თიხით ყოფილა შელესილი. ასევე, თიხით ყოფილა მოლესილი კიბის საფეხურებიც, რომელსაც ბაზისად კირის დუღაბი აქვს. მთლიანად, ჩასასვლელი დერეფანი 0.80 მეტრ სიგანისაა, სიგრძე კი 2.30 მეტრია (სურ. 10-13). კრიპტის ჩასასვლელის ზედა ნაწილი სანახევროდ ყოფილა გადახურული 1.30 მ სიგრძეზე. დღეისთვის ეს კამაროვანი გადახურვა სრულად არის მონგრეული. გადახურვის კონსტრუქციაში, რომელიც მცირედაა მორკალული (რკალის სიმაღლე 10 სმ.) ფილების ნაცვლად გვერდებაკეცილი კრამიტებია გამოყენებული, რომელთაც ცალი გვერდი მოტეხილი აქვს. ხოლო, მეორე აკეცილი გვერდი ყველა შემთხვევაში ზემოთაა მოქცეული, ისე რომ კირის დუღაბზე მკვიდრად ყოფილიყო ჩამჯდარი (სურ. 13).

ოთხსაფეხურიანი დერეფნული ჩასასვლელის ქვედა ნაწილში იატაკის ფრაგმენტი არ დაფიქსირდა. როგორც ჩანს, იქ არც კირხსნარი და არც თიხის იატაკი არ მოუწყვიათ და



14. ტაძრის დარბაზის ქვეშ არსებული საძვალე (კრიპტა). ხედი დასავლეთიდან



15. ტაძრის დარბაზის ქვეშ არსებული საძვალე (კრიპტა). ხედი აღმოსავლეთიდან



16. საძვალის დასავლეთ ნაწილში დაფიქსირებული გათლილი ქვის ფილები და ჩონჩხები

სასიარულო დონედ პირდაპირ თიროვანი დედაქანი გამოუყენებიათ. დერეფნის ეს ნაწილი სრულდება აგურით ამოყვანილი 50 სმ სისქის კედლით, რომელშიც კრიპტაში მოსახვედრი თაღოვანი შესაძრომია მოწყობილი. მას წინ ვერტიკალურად ედო კარგად გათლილი ლოდი, რომელიც შესაძლოა, თავის დროზე შესაძრომის დროებით დასახურად გამოიყენებოდა (სურ. 13). თაღოვანი შესაძრომის სიმაღლე მიწის დონიდან 0.73 მ-ია; სიგანე - 0.57 მ. ის საძვალის დასავლეთ შესასვლელია. საინტერესოა, რომ კრიპტაში შესაძრომითაღი, აგურითაა ამოყვანილი, მაგრამ იქვე შეიმჩნევა „ხის ყალიბზე" დასმული მაღალი ხარისხის კირხსნარის ფენა, რომელსაც სიმტკიცისთვის წვრილი რიყის ქვები აქვს შერეული.

თაღოვან შესაძრომში შესვლის შემდეგ ვხვდებით 1.90 მ სიგანის, 2.80 მ სიგრძისა და 1.25 მ სიმაღლის კამაროვან საძვალეში, რომლის კედლებიც ქვითა და აგურებით არის წრიულად ამოყვანილი, შემდეგ კი ჰიდრავლიკური ხსნარითაა შელესილი (სურ. 14-15).

კრიპტაში აღმოჩენილი ძვლები არეულია, არ შეინიშნება არანაირი კანონზომიერება. სავარაუდოდ, წარმოადგენს საძვალეს, რომელიც გარკვეული დროის მერე გაუძარცვავთ. არ ფიქსირდება დაკრძალვის პოზა და დამხრობა. ასევე, დასაშვებია, რომ კრიპტა მეორადი დაკრძალვისთვის გამოიყენებოდა.

ოსტეოლოგიური ანალიზით გაირკვა, რომ კრიპტაში დასვენებული ყოფილა 13 ინდივიდი. განისაზღვრა 12 ზრდასრული ადამიანის ჩონჩხი და 1 მცირეწლოვანი




17. საძვალეში აღმოჩენილი ოქროს საყურე რგოლი

ბავშვის. მათგან სულ 10 ინდივიდის ასაკისა და სქესის დადგენა მოხერხდა. ანთროპოლოგიური კვლევისას დადგინდა, რომ ზოგიერთ მათგანს ფიზიკური დაზიანებების კვალი აღენიშნებოდა. მიცვალებულების ძვლებთან ერთად შეინიშნება რიყის ქვის, კერამიკული და სამშენებლო მასალის ფრაგმენტები.

კრიპტის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში 2 ფილა და ორი ქვა ერთმანეთზე იყო დალაგებული. თხრილის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში კი 3 კერამიკული (25 X 28 სმ) და 1 ქვის (16X16 სმ) ფილა იდო (სურ. 16). აღნიშნულ ფილას ზემოდან ედო თავის ქალა, სახის ქალას გარეშე. კრიპტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქვების ქვეშ აღმოჩნდა სამი თავის ქალა, მათ შორის ორი ერთმანეთის პირისპირ მდებარეობდა, ხოლო მესამე ზემოდან ედო. ასევე ქვის ფილის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეშიც აღმოჩნდა 1 თავის ქალა, რომლის გარშემოც მიმოფანტული იყო ნეკნები. ხოლო თავად ფილის ქვეშ დაფიქსირდა სხვადასხვა ძვლის ფრაგმენტები. კრიპტის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, ერთმანეთში არეული ძვლებით იყო მოფენილი. მათ შორის გამოვლინდა 3 თავის ქალა.

აღსანიშნავია, რომ თავის ქალების უმეტესი ნაწილი სახით მიწისკენ იყო მიმართული, ყველა მათგანს აკლდა ქვედა ყბა. ქვედა ყბები კრიპტის სხვადასხვა ნაწილში იყო მიმოფანტული. კრიპტის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ძვლები ყველაზე დიდი ინტენსივობით იყო წარმოდგენილი. კრიპტის აღმოსავლეთი ნაწილიდან ძვლები დასავლეთი მიმართულებით 1.0 მ სიგრძეზე ვრცელდებოდა. აღნიშნული ძვლების ფენაში თავის ქალა არ დაფიქსირდა.

ფენიდან ამოვიდა მცირე რაოდენობის კერამიკული მასალა. აღმოჩენილი კერამიკული მასალა ძლიერ დაზიანებული და იმდენად ფრაგმენტულია, რომ უმეტესად მათი ფორმის დადგენა შეუძლებელია. კრიპტის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დაფიქსირდა 2 თავის ქალა და 4 ქვედა ყბა. აქედან 3 ქვედა ყბა ამოტრიალებულ პოზიციაში. აღნიშნულ ფენაში აღმოჩნდა ოქროს საყურე (სურ. 17). საძვალეში ასევე გამოვლინდა სპილენძის შენადნობის ორი ნივთი: საკინძი და რგოლი. კრიპტის შესასვლელში გათხრილი ფენა განსხვავდება დანარჩენი ნაწილისგან. შესასვლელში არსებულ ფენაში უფრო მეტი კირქვისა და კერამიკული მასალის ნატეხები აღმოჩნდა, მიწა უფრო ფხვიერი იყო და შეიცავდა ნახშირის მინარევებს. ფენა დაახლოებით 1X1 მეტრ ფართობზე ვრცელდებოდა. იქ მხოლოდ 2 ცალი ნეკნის ფრაგმენტი აღმოჩნდა. ასევე, საძვალის წმენდისას ფრაგმენტულად ჩნდებოდა ქვის მცირე ორნამენტირებული დეტალები, უმეტესად წიწვოვანი და რომბისებული მოტივებით. ისინი იმდენად მცირე ზომისაა, რომ დამატებით რაიმეს თქმა ძნელდია. სავარაუდოდ, ტაძრის და/ან სარკოფაგების მოსაპირკეთებლად გათლილი ქვების ფრაგმენტები უნდა იყოს.

რაც შეეხება საძვალიდან ამოღებულ ჩონჩხებს, ოსტეოლოგიური ანალიზით, მათგან რვა მამაკაცს ეკუთვნის. ინდივიდთა გარდაცვალების ასაკი სხვადასხვაა: 33-44 წელი, 35-45 წელი, 40-55 წელი, 44-50 წელი, 45-49 წელი და 60 წელს გადაცილებული. ასევე, განსხვავებულია მათი სიმაღლეები: 149-156 სმ, 151-157 სმ, 157-160 სმ, 160-166 სმ, 165-172 სმ და 175-181 სმ. ერთი ჩონჩხი, სავარაუდოდ, ქალბატონს ეკუთვნის. მისი სიმაღლე 164-171 სმ უნდა ყოფილიყო. დაახლოებითი ასაკი - 35-39 წელი. გარდა ამისა საძვალეში აღმოჩნდა ერთი 39-43 კვირის ჩვილის ბარძაყის ძვლის ფრაგმენტი.

ნაციხარის ყველაზე მაღალ ნაწილში ტაძრისა და საძვალის გამოვლენა ბევრ კითხვას ბადებს. იმ ადგილას, სადაც ციხის ციტადელი ივარაუდებოდა, აღმოჩნდა საკულტო ნაგებობა. ზოგადად, ციხის გეგმარებიდან გამომდინარე ბორცვის უმაღლეს წერტილში ციტადელი და მთავარი კოშკი უნდა იყოს განთავსებული, თუმცა, ასევე ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ბორცვის ამ ნაწილში ტაძრისა და საძვალის აგება იმანაც განაპირობა, რომ მის აშენებელს საკულტო ნაგებობის დომინაციაზე სურდა ყურადღების გამახვილება. იქ აგებული ტაძრის დანახვა ვრცელი ტერიტორიებიდან იქნებოდა შესაძლებელი (განსაკუთრებით სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან).

ტაძარს ცენტრალური იატაკქვეშა საძვალის გარდა, ჩრდილოეთ ნაწილშიც ჰქონია ორი სარკოფაგი მიშენებული (სურ. 7), რომელთაგან ერთი სრულად განადგურებული და დანგრეულია, ხოლო მეორეში არეული ძვლების დიდი კონცენტრაცია დაგვხვდა (სულ მცირე ოთხი ინდივიდის). ტაძრის გარეთ ინჰუმაციური ორმო სამარხებიც გამოვლინდა. მის დასავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში გაიწმინდა სამი სამარხი. სამივე მათგანი დასავლეთ-აღმოსავლეთ ორიენტაციის იყო და მიცვალებული გაშოტილ მდგომარეობაში ესვენა, თავით დასავლეთისკენ. შესაძლოა, დავუშვათ, რომ ეს ტაძარი კრიპტასა და მის გარეთ დასვენებული იმ მიცვალებულების საპატივსაცემოდ აიგო, რომელთა ვინაობისა და მნიშვნელობის განსაზღვრა ამ ეტაპზე რთულია. მომავალ

სამეცნიერო სეზონებზე იგეგმება კრიპტას იატაკის დონის დადაბლება. ასვე დაგეგმილია საძვალესა და ტაძრის ტერიტორიაზე გამოვლენილი ჩონჩხების დნმ ანალიზის გაკეთება, რაც სამომავლოდ მეტ ინფორმაციას მოგვცემს მათ შესახებ.

**ბიბილოგრაფია**


1. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 1975

2. გეორგიკა, III, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტფილისი.1936

3. ზაქარაია პ., კაპანაძე თ., ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, 1991

4. ლომიტაშვილი დ., ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ბ., ევერილი პ, ქოლვინი პ., ხუნწის ციხე, იბერია-კოლხეთი. საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი. #13, 2017, გვ. 99-111;

5. ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ქებულაძე ნ. 2017 წელს ხუნწის ციხეზე შესრულებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. კრებული: „2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული". თბ., 2018a, გვ. 47- 51;

6. ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ევერილი პ., ქოლვინი ი. სად მდებარეობდა ეგრისის ციხესიმაგრე ონოგურისი?, არქეოსპექტრი #1, თბ., 2018b, გვ.80-100;

7. ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ქებულაძე ნ. ნინიაშვილი თ., ალანია დ., ხუნწის ციხეზე 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. კრებული: „2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული". თბ., 2019, გვ. 44-50;

8. ა. ფაილოძე, მატიანე ხონისა, ნაწილი მეორე, 2003

9. В.А. Леквинадзе, Абедатская крепость, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, III, 1993

# NEW DISCOVERY AT KHUNTSI CASTLE

*Nikoloz Murghulia*

Village Khuntsi of Martvili Municipality is situated on the right bank of the River Tskhenistskali, on the 8th kilometer of Martvili-Khoni-Kutaisi motorway (fig. 1-2). There is a site of a ruined castle ('Najikhu') (GPS coordinates: 42.400033°; 42.415467°; altitude: 275m) in the northern part of the village, on Kukiti hillock, which is part of Unagira mountain.

The sixth-century Byzantine historian Agathias the Scholastic is one of those who described military operations started in 542 between Byzantium and Sassanid Iran in western Georgia. This confrontation lasted for over 20 years and in historical tradition it is referred to as 'the great hostility in Egrisi'. During this war Agathias repeatedly mentions Onogurisi Castle, which both Byzantines and Iranians attached great importance to.

Immediately after translating Agathias' work, S. Kaukhchishvili tried to localize this point [Georgica, III, 1936:59-62, note 1]. He associated the name of this castle with Unagira mountain situated on the border of Martvili and Khoni districts.S. Kaukhchishvili paid special attention to Agathias' account, according to which by 554 Persians had gained control over Lazeti up to the River Tskhenistskali, while the Byzantines stood west of the Tskhenistskali [Georgica, III: 38-41, note 2]. In his opinion, this castle must have stood on the border of eastern and western Lazeti, between Archaeopolis and Kutaisi and protected the capital Tsikhegoji-Archaeopolis. In addition, S. Kaukhchishvili identified Onogurisi with Ukimerioni Castle mentioned by the 6th century Byzantine chronicler Procopius of Caesarea.

Several opinions have been expressed with respect to the topic of Onogurisi's identification in later period too. The name of this castle was identified with Unagira by N. Berdzenishvili as well. He sought it in the environs of the villages of Bandza and Nokalakevi. N. Berdzenishvili pointed out that it was rather tempting to connect Village Onoghia, situated near Bandza, to 'Onoguri' [N. Berdzenishvili, 1975:463-465]; however, this connection is prevented by the fact that Onoghia is situated on the plain and nothing of the kind of a ruined castle has ever been found there.

In the 1980s the Nokalakevi expedition conducted archaeological works at Abedati Castle in Martvili Municipality and there emerged a suggestion in scholarly literature that it was this castle to be identified with Onogurisi [P. Zakaraia, T. Kapanadze, 1991:127-137; В.А. Леквинадзе, 1993: 209-222]. A. Pailodze was the last who discussed this problem [A. Pailodze, 2003:27-32]. According to the work by Agathias the Scholastic, he examined Onogurisi's geographical position and expressed an opinion that Abedati cannot be Onogurisi as it is too far from Kutaisi. He also paid special attention to the fact that the Unagira range begins near the border of Imereti, opposite Village Matkhoji, beyond the Tskhenistskali from the hill of Village Zemo Khuntsi. Locals refer to this hill as Najikhu, or 'a site of former castle'. A. Pailodze visited the ruins preserved on this hill and came to a conclusion that it was in Khuntsi that Onogurisi had to be sought.

During the archaeological campaign in 2014, several members of Georgian-English expedition did

survey on the hill of Zemo Khuntsi. It turned out that there actually are ruins of some structures on this hill. However, it must be noted that prior to the expedition the fences had completely been covered with earth.

Apart from the arguments provided above, the suggestion that Onogurisi and Khuntsi are the same is supported by the fact that the river Noghela flows in the village, at the bottom of the hill that could be linked to Onogurisi. Considering the strategically important position of the castle (all four sides are visible and controlled from its uppermost point), alongside the account preserved in the historical source and sameness of the toponym, its link with Onogurisi becomes presumable.

Archaeological survey of Khuntsi Castle began in 2015. Since 2016 archaeological activities on the territory of the former site of the castle have been conducted with assistance and financial support of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia [D. Lomitashvili 2017:99-111; B. Lordkipanidze 2018a:47-51; B. Lordkipanidze 2018b:80-100; B. Lordkipanidze 2019:44-50].

On the first stage four prospecting shafts were made which evidenced fragments of the outer walls and great concentration of ceramic products on the northern slopes of the hill, while the central raised area yielded a floor plastered with hydro-technical solution. During the archaeological campaign in 2016, a structure of unidentified function which the above-mentioned plastered floor belonged to was cleaned; however, it was impossible to reveal the whole structure as a mobile operator station had been built above it. Notably, this section of the territory of the former site of the castle was substantially affected while building this station.

Apart from the forcible destruction of the castle, it seems collapse of the fences was caused by natural processes, as Kukiti hill is made up of erodible layers that tend to decompose easily.

Since 2015 a wall fragment of about 50 meters (fig. 3) has been revealed and cleaned on the east, north and west slopes of the territory of the castle. A square tower covered with earth layer is the only structure which was visible above the ground prior to archaeological research (fig. 4). Inside the outer walls there appeared a large number and diverse household (amphorae, pithoi, lutherie) and building (bricks, tiles, slabs) ceramic artifacts (fig. 5-6). Their absolute majority date to the $4^{th}$ -$6^{th}$ cc and, accordingly, the chronology of the castle must fall within the period in question. Interestingly, the territories examined up to now have yielded very few fragments of kitchenware and tableware which might be pointing to the fact that Khuntsi Castle was more of a military-strategic point than the residence of a nobleman.

It should be emphasized that in 2016 the expedition revealed and in 2018 completely cleaned a structure which had a crypt in its center. The passage leading down to the crypt was cleaned only during the campaign of 2020.

The structure is a church laid out on the west-east axis, with 20° inclination to the south; dimensions: 8 x 13 m. It comprises a hall, an apse and two wings annexed to it on the north and the south (fig. 7). In the process of cleaning three building stages were identified, which was most clearly reflected while recording the floor layers. A floor plastered with lime was discovered on the verge of the hall and the apse in the central part of the structure. Later, the second layer was arranged above it with hydro-technical solution. Finally, the latter was laid with ceramic tiles. Here was discovered a fragment of a small stone cross with only two hands preserved on it (fig. 8). Fragment of the floor plastered with hydro-technical solution was recorded in the apse too, although it has survived only in the southern

and northern parts of the apse. It is covered with a layer of roughly hewn stones arranged in one row. Apparently, this layer was specially made in order to raise the level. Fragment of a wall of south-north direction built with brick was registered at the entrance of the apse. Presumably, during the alteration of the structure, the level of the apse was raised compared to the hall and the floor laid with tiles, the brick wall and the stone layer arranged on the apse floor plastered with hydro-technical solution must date to the period of this alteration. Considering the chronology of the building technique and the sparse ceramic material (pottery and building material) revealed there, the church is generally dated to the 4$^{th}$ -6$^{th}$ centuries.

As noted above, after cleaning and revealing the structure completely, main objective was to reveal the passage going down to the crypt situated under the hall of the church, which had been discovered in 2016. Until 2020 it was possible to look around it only through the collapsed hole between the apse and the hall. As the conducted works showed, the passage to the crypt had been arranged in the central part of the hall of the church, in front of the main (western) entrance (fig. 9). It was artificially filled up to the floor level by pieces of brick, slabs and tiles (fig. 7). After cleaning it was estimated that it is a corridor-type passage. It has three walls and four-stepped stairs; southern and northern walls are built with limestone, while the eastern wall, in which an arch is made to get into the crypt, is built with brick. The wall is 1.50 meters high. Southern and northern walls had been plastered with clay. Clay based on lime mortar was used to plaster the steps as well. On the whole, the passage is 0.80 m wide and 2.30 m long (fig. 10-13). The upper part of the passage leading to the crypt was partly roofed at a length of 1,30 m. Presently, this vaulted cover is totally collapsed. Instead of slabs the roof construction, which is slightly curved (height of the curve- 10 cm), is made with tiles with turned up sides. One side of such tiles is broken off, while the position of another turned up side is always upwards, so that it would firmly fit into the lime mortar (fig. 13).

Floor was not evidenced in the lower part of the four-step corridor-type passage. Apparently, they had not arranged either lime mortar or clay floor there. They probably used the soft bedrock for the walking level. This part of the corridor ends with a 50-cm thick brick wall in which an arched entrance leading to the crypt had been arranged. In front of it lay a large well-hewn rock in vertical position. It could have been used to block up the entrance temporarily (fig. 13). The height of the arched entrance from the ground level is 0.73m, width – 0.57 m. It is the western entrance of the crypt. Interestingly, the arch is built up of brick, but nearby one can notice a layer of high-quality mortar applied on ‘wooden mould’. The mortar is surrounded by small cobbles for solidity.

On squeezing through the arched entrance, one ends up in a 1.90 m wide, 2.80 m long and 1.25 m high vaulted crypt, whose walls are built with stone and brick arranged in a circular mode and then plastered with hydro-technical solution (fig. 14-15).

The bones discovered in the crypt are messed up, no regularity can be observed. Presumably, it is a crypt which had been robbed at some time. No position or direction of burying can be identified. It is also possible that the crypt was used for secondary burial.

Osteological analysis showed that 13 individuals were buried in the crypt: 12 adults and one child. We managed to estimate the age and sex of ten individuals. Anthropological research showed that some bore traces of physical damage. There are cobble stones, fragments of ceramic and building material together with human bones.

Two slabs and two stones lay on top of each other in the north-west part of the crypt, while three ceramic (25 x 28 cm) and one stone slab (16 x 16 cm) lay in the south-west part of the hole (fig. 16). The slab was mounted by a skull lacking in the facial part. Three skulls were discovered under the stones lying in the north-east part of the crypt. Two of them lay facing each other with the third one on top of them. One skull with ribs scattered around was found in the north-east corner of the stone slab and fragments of various bones were evidenced under the slab. South-east corner of the crypt was covered with messed-up bones. Among those three skulls were identified.

It is remarkable that the majority of the skulls were facing down the ground and none of them comprised lower jaws. The latter were scattered in different parts of the crypt. The south-east part of the crypt had most of the bones. From the east part of the crypt the bones extended towards the west at one meter. No skull was documented in the mentioned bone layer. A small number of ceramic artifacts were revealed here. The artifacts are so much damaged and fragmented that in most cases it is impossible to identify their shape. Two skulls and four lower jaws were evidenced in the south-west part of the crypt. Three of the jaws lay upside down. The layer in question yielded a gold earring (fig. 17). There were also two objects made of copper alloy – a pin and a ring in the crypt. The layer excavated in the entrance of the crypt differs from the rest of the parts. The entrance area revealed more fragments of lime and ceramic material, the earth was more friable and contained carbon admixtures. The layer extended over an area of 1 x 1 m. Fragments of only 2 ribs were found there. In addition, while cleaning the crypt there appeared small ornamented stone details, mainly with needle and rhombic motifs. They are so small that it is difficult to define them. Presumably, they must be fragments of treated stones used for dressing the church and/or the sarcophagi.

As far as the skeletons removed from the crypts are concerned, according to osteological analysis, eight belong to males. Age of death of the individuals varies: 33-34, 35-45, 40-55, 44-50, 45-49 and over 60. Their height also differs: 149-156cm, 151-157 cm, 157-160 cm, 160-166 cm, 165-172 cm and 175-181 cm. One skeleton seems to be that of a female whose height was 164-171cm, age – 35-39. Besides, the crypt yielded fragment of a thigh bone of a 39-43- week old baby.

Identification of a church and a crypt in the uppermost part of the site of former castle raises many questions. A religious structure was revealed on the place where the citadel of the structure had been presumed. Generally, resulting from the plan of a castle, the citadel and the main tower must be located on the highest point of the hill. However, it must also be taken into account that building of the church and the crypt in this part of the hill was determined by the fact that the builder wanted to put emphasis on domination of the religious structure. The church erected there would be visible from vast territories (especially from the south and the east).

In addition to the central under-the-floor crypt, the church had two sarcophagi annexed to the northern part (fig. 7). One is completely destroyed, while the other revealed a large number of messed-up bones (at least of four individuals). Inhumation pit-burials were also revealed outside the church. Three graves were cleaned on its west and south-east sides. All three were directed west to east and the deceased lay straight with the head on the west. It is probable that the church was built in honor of the deceased buried in the crypt and outside it. On this stage it is difficult to identify the deceased. In the future it is intended to lower the floor level of the crypt. In addition, it is planned to do DNA analysis of the skeletons revealed in the crypt and on the territory of the church, which will provide further information about them.

**Bibliography**


1. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 1975
2. გეორგიკა, III, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტფილისი.1936
3. ზაქარაია პ., კაპანაძე თ., ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, 1991
4. ლომიტაშვილი დ., ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ბ., ევერილი პ, ქოლვინი პ., ხუნწის ციხე, იბერია-კოლხეთი. საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი. #13, 2017, გვ. 99-111;
5. ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ქებულაძე ნ. 2017 წელს ხუნწის ციხეზე შესრულებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. კრებული: „2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული“. თბ., 2018a, გვ. 47- 51;
6. ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ევერილი პ., ქოლვინი ი. სად მდებარეობდა ეგრისის ციხესიმაგრე ონოგურისი?, არქეოსპექტრი #1, თბ., 2018b, გვ.80-100;
7. ლორთქიფანიძე ბ., მურღულია ნ., ლომიტაშვილი დ., ქებულაძე ნ. ნინიაშვილი თ., ალანია დ., ხუნწის ციხეზე 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. კრებული: „2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული“. თბ., 2019, გვ. 44-50;
8. ა. ფაილოძე, მატიანე ხონისა, ნაწილი მეორე, 2003
9. В.А. Леквинадзе, Абедатская крепость, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, III, 1993


**Illustrations**


1. Topographic map of Khuntsi Castle
2. General view of Khuntsi Castle hill from north-east
3. Fragment of northern fence of Khuntsi Castle. View from east
4. Western tower of Khuntsi Castle. View from north-east
5. Fragments of pottery revealed near fences of Khuntsi Castle
6. Ceramic building material revealed near fences of Khuntsi Castle
7. Orthographic photo of Khuntsi Castle church
8. Fragment of stone cross revealed on the floor of the hall of the church
9. Orthographic photo of the church of Khuntsi Castle after cleaning the crypt passage
10. Steps going down to the church crypt. View from east
11. Steps going down to the church crypt. View from north
12. Steps going down to the church crypt. View from south
13. Steps going down to the church crypt. View from west
14. Crypt under the hall of the church. View from west
15. Crypt under the hall of the church. View from east
16. Hewn stone slabs and skeletons evidenced in the western part of the crypt
17. Gold ear ring discovered in the crypt

# სასამართლო-საექსპერტიზო არქეოლოგია და ანთროპოლოგია

ირაკლი ანჩაბაძე

სასამართლო-ექსპერტიზის პროცესში არქეოლოგები და ანთროპოლოგები (ოსტეოლოგები) მასობრივად ჩაერთნენ გასული საუკუნის 80-იან წლებში, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში (ჩილე, არგენტინა, კოლუმბია და მექსიკა) და სამხრეთ აფრიკაში, სადაც დიქტატორული სამხედრო რეჟიმების, სამოქალაქო ომებისა და მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობის გამო მრავლად იყო უგზოუკვლოდ დაკარგული ადამიანი და, ე.წ., „ძმათა სასაფლაოები“. მომდევნო ეტაპი XX საუკუნის 90 წლების ბალკანეთია, სადაც მიმდინარე ეთნიკურმა კონფლიქტებმა ათი ათასობით ადამიანი იმსხვერპლა. ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებში არქეოლოგები და ანთროპოლოგები სხვა ექსპერტებისა და პოლიციის გვერდიგვერდ აქტიურად იყვნენ ჩართული ინდივიდუალური თუ კოლექტიური სამარხების გათხრისა და უცნობი გვამების იდენტიფიცირების პროცესში, რაც ასევე ხელს უწყობდა დამნაშავეთა გამოვლენასა და ჰააგის ტრიბუნალის ეფექტურ მუშაობას [Rosenblatt A, 2019: 75-77]. ამ ბოლო წლებში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (ICRC) თაოსნობით, აქტიური საძიებო-კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების პოსტ-კონფლიქტურ რეგიონებში, მათ შორის, საქართველოში [Policy on Migration. 2009]. ჩვენს სამშობლოში გასული საუკუნის 90-იან წლებში მიმდინარე კონფლიქტებისა და 2008 წლის ომის გამო დაიღუპა მრავალი მშვიდობიანი მოქალაქე და სამხედრო პირი, ბევრი მათგანი დღემდე ამოუცნობია, არსებობენ უგზო-უკვლოდ დაკარგულებიც. ამ ფაქტმა დღის წესრიგში დააყენა ქართველი არქეოლოგებისა და ანთროპოლოგების გადამზადებისა და საძიებო, საექსპერტიზო საქმიანობაში ჩაბმის აუცილებლობა. აღნიშნული სტატია ძირითადად ეფუძნება დიდი ბრიტანეთის დურჰამისა და თისაიდის უნივერსიტეტების მიერ 2020 წელს შემუშავებულ სალექციო კურსს (Forensic Archaeology and Anthropology).

არქეოლოგიური გათხრა თავისი არსით, დამანგრეველი აქტივობაა, რადგან ირღვევა წარსულში განმარხული მოცემულობა, რომელიც უკვე ვერაფრით აღდგება. შესაბამისად, არქეოლოგები დეტალურად აღწერენ კონტექსტს, აწარმოებენ ფიქსაციას, საზღვრავენ ურთიერთმიმართებას სხვადასხვა გათხრილ ობიექტს შორის, იყენებენ გათხრის ადეკვატურ მეთოდოლოგიას და ა.შ., რაც წარსულში მომხდარი ფაქტის სწორი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. არქეოლოგები ასევე გარკვეულნი არიან გეოლოგიაში და იცნობენ გეოფიზიკური დაზვერვის მეთოდებს.

ოსტეოლოგი ფოკუსირებულია ადამიანის ძვლებზე, საიდანაც მას შეუძლია არაერთი ფასდაუდებელი ინფორმაციის მოპოვება მისი პატრონის შესახებ, მაგ.: სქესი, ასაკი, სიმაღლე, ჯანმრთელობა, წარმოშობა, სიკვდილის მიზეზი და მკვლელობის შემთხვევაში –




1

დანაშაულის ჩადენის იარაღი [The Role of the... 2018]. „თანამედროვე“ გვამის ეგსგუმაციისას, ანთროპოლოგს ასევე შეუძლია დაადგინოს დრო, რომელიც გავიდა პიროვნების სიკვდილიდან მის აღმოჩენამდე, გვამის გახრწნის დონის მიხედვით, ე.წ., პოსტ-მორტემ ინტერვალი [Alyson W, ... 2019].

ამრიგად, არქეოლოგთა და ანთროპოლოგ/ოსტეოლოგთა მონაწილეობა მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ცალკეული კრიმინალური თუ ომის დროს მომხდარი მაშტაბური დანაშაულებისას წარმოქმნილი სამარხების ლოკალიზაციის, ეგსგუმაციისა და შემდგომი ლაბორატორიული კვლევის დროს. ეგსგუმაციისას აუცილებელია არქეოლოგისა და ოსტეოლოგის ერთობლივი მუშაობა. ამჟამად მსოფლიოში არქეოლოგები და ანთროპოლოგები ჩართულნი არიან ისეთი შემთხვევების გამოძიებაში, როგორიცაა ბუნებრივი კატაკლიზმები, ავიაკატასტროფები, კონფლიქტურ რეგიონებში მასობრივი სამარხების ლოკალიზაცია, გათხრა და მიცვალებულთა ვინაობის დადგენა.

## განვიხილოთ ის საკითხები, რომელთა ცოდნა აუცილებელია აღნიშნული საქმიანობით დაკავებული ექსპერტებისთვის:

რბილი ქსოვილის დაშლის შემდეგ რჩება ძვლოვანი მასალა, რომელიც საუკუნეებისა ან ათასწლეულების განმავლობაში შეიძლება შენარჩუნდეს, თუმცა, გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. ადამიანის ძვალი შედგება როგორც ორგანული ნივთიერებისგან, ისე სხვადასხვა მინერალური ნარევებისგან (კალციუმი, ფოსფორი, თუთია და სხვა), რომლებიც ადამიანის სიკვდილის შემდეგაც ინარჩუნებს გარემოსთან ქიმიური რეაქციის უნარს, შესაბამისად, მათზე აისახება ის გარემო პირობები, სადაც ისინი დამარხულია. აღნიშნულ ქიმიურ პროცესებს, რომლებიც ვითარდება სიკვდილის შემდეგ, **ძვლის დიაგენეზისი** ეწოდება, ხოლო მისი ცოდნა საკმაოდ მნიშვნელოვანია დიაგნოზირებისა და ამოცნობის პროცესში.

**საექსპერტიზო ტაფონომია** სწავლობს, ე.წ., **ტაფონომიურ ფაქტორებს,** რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანის სხეულის მდგომარეობაზე დამარხვის შემდეგ. საქმე ის არის, რომ გვამის გახრწნისა და შემდეგ ძვლების დაშლის სხვადასხვა ტემპი დამოკიდებულია ასაკზე, პათოლოგიებზე, სამარხის სიღრმეზე, დამარხვის წესზე, ნიადაგის ტიპზე, ტემპერატურაზე და ა.შ. ამ ფაქტორების ცოდნა და ანალიზი ხელს უწყობს მართებული დასკვნების გამოტანას.

კრემაციული სამარხები, ადამიანის დამწვარი სხეული და კოლექტიურ სამარხებში არსებული არეული ძვლები არის ის გამოწვევები, რომელთა დაძლევაც უწევთ სასამართლო-ექსპერტიზაში ჩართულ არქეოლოგებსა და ანთროპოლოგებს [Thompson T, ...... 2016]. დამნაშავეები კვალის წაშლის მიზნით, ხშირად წვავენ მსხვერპლს, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ცეცხლი და მაღალი ტემპერატურა დამანგრევლად მოქმედებს ადამიანის, როგორც რბილ ქსოვილზე, ისე მის ძვლებზე, სხვადასხვა თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით [Bohnert M, ..... 1998: 11-21] მაინც შესაძლებელია მთელი რიგი ინფორმაციის მოპოვება



2



3

(წვის ხანგრძლივობა, სქესი, ასაკი). დარღვეული ძვლები გვხვდება ძირითადად მეორად, კოლექტიურ ან მასობრივ სამარხებში [სურ. 1], სადაც მიზეზთა გამო ძვლების ანატომიური პოზიცია დარღვეულია და სხვადასხვა ინდივიდის ძვლები ერთმანეთში არეულია [Willmott H, .... 2020: 179-196]. ასეთ დროს ექსპერტების მიზანია მათი „რესოციალიზაცია", ე.ი. ძვლების პირვანდელი, ანატომიურ მდგომარეობაში შეკრება და გარდაცვლილთა რაოდენობის დადგენა [Commingled Remains, 2019: 61-142].

ძველი, არქეოლოგიური თუ შედარებით თანამედროვე ჩონჩხის შესწავლისას, აუცილებელია მისი ე.წ. **ოსტებიოგრაფია** შედგეს, რაც გულისხმობს შემდეგი მონაცემების დადგენას: სქესი, ასაკი, სიმაღლე, ჯამრთელობის ისტორია, კვების რაციონი, გეოგრაფიული წარმოშობა, ეკოლოგიური გარემო, სადაც ის ცხოვრობდა და გარკვეული ფიზიკური ჩვევები. განვიხილოთ ზოგიერთი ასპექტი უფრო დეტალურად.

არასრულწლოვანი ინდივიდის ჩონჩხის შესწავლისას, რომლის ძვლოვანი სისტემა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში იყო, სიკვდილის დროინდელი ასაკის გამოვლენა ეფუძნება მისი დენტალური მონაცემების, კიდურის ძვლების განვითარებისა და მათი ზომების შესწავლას. ზრდასრული და ასაკოვანი ინდივიდების შემთხვევაში, ასაკის განსაზღვრისას აკვირდებიან მენჯის ძვლისა და ნეკნების სახსრების დეგენერაციულ ცვლილებებსა და კბილის დეფექტებს [Ajmal M, .... 2001]. მოზარდთა სქესის დადგენისას მხოლოდ ბიომოლეკულარული მეთოდები გამოიყენება (დნმ და დენტალური პეპტიდების ანალიზი), რადგან მათ ძვლებზე ჯერ კიდევ არ შეინიშნება მკვეთრი სქესობრივი დემორფიზმი. სრულწლოვანი ადამიანის შემთხვევაში გადამწყვეტია თავის ქალისა და მენჯის ძვლის შესწავლა [Phillip L. Walker, 2005].

გარდაცვლილის ძვლების შესწავლით შესაძლებელია მისი სიცოცხლის დროინდელი სიმაღლის გარკვევაც. ამისთვის ორი მეთოდი გამოიყენება: 1. ე.წ. **ანატომიური მეთოდი,** როცა ყველა იმ ძვლის სიმაღლე იზომება, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ფიზიკურ ზრდასთან. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხერხი საკმაოდ შრომატევადია და დამოკიდებულია ჩონჩხის სისრულეზე, ყველაზე ზუსტია და ითვალისწინებს სხეულის სხვადასხვა პროპორციასაც (მაგ., გრძელი ტორსი და მოკლე ფეხები). აღნიშნული მეთოდოლოგია, რა თქმა უნდა, თავდაპირველად გამოიანგარიშებს ჩონჩხის სიმაღლეს, რომელსაც შემდეგ ემატება გამქრალი რბილი ქსოვილის სავარაუდო პარამეტრები და საბოლოოდ გამოიყვანება პიროვნების სიცოცხლისდროინდელი სიმაღლე. 2. რომელიც უფრო ხშირად გამოიყენება აღნიშნული მიზნისთვის არის ე.წ. **მათემატიკური მეთოდი**. პირველისგან განსხვავებით, ასეთ შემთხვევაში ასაზომად გამოიყენება მხოლოდ ერთი ან რამდენიმე კიდურის ძვალი (ბარძაყის ძვალი, წვივის ძვალი, მხრის ძვალი და იდაყვი) და შემდეგ, სპეციალურად შემუშავებული განტოლებით გამოითვლება პიროვნების სიმაღლე. მეორე მეთოდის უპირატესობა არის ის, რომ უფრო სწრაფია და სიმაღლის გამოთვლა შეიძლება არასრული ჩონჩხისგან. აღნიშნული მათემატიკური მიმართულება ეყრდნობა მოსახლეობის საშუალო, ზოგად მაჩვენებლებს და, შესაბამისად, არ ითვალისწინებს

ინდივიდუალურ განსხვავებებს. სხვადასხვა ხალხი შესაძლოა, სხეულის განსხვავებული პროპორციებით ხასიათდებოდეს, რაც გასათვალისწინებელი ფაქტორია მათემატიკური მეთოდის გამოყენებისას [Standard for Stature … 2019].

ზოგიერთი ადამიანი ბავშვობისას განიცდის სხვადასხვა სტრესს, ან გადატანილი აქვს დაავადებები, რომლებიც ძვლებსა და კბილებზე სიცოცხლის ბოლომდე ტოვებს ნაკვალევს, რაც შესამჩნევია ასეული და ათასწლეულების შემდეგაც. მაგალითად **კბილის მინანქრის ჰიპოპლაზია** [სურ. 2], რომელიც კბილებზე გამოხატულია მრავალი მუქი ნაოჭითა და ღრმულით, არის სიყრმისას არასაკმარისი კვებისა და გადატანილი სნეულების შედეგი. კიდურების რაქიტს იწვევს D ვიტამინის ნაკლებობა, რომელიც, თავის მხრივ, ბინძური ჰაერისა და მწირი კვების შედეგია. მაგალითად, მხოლოდ მარცვლეულზე დაფუძნებული დიეტა, ამცირებს კალციის აუცილებელ რაოდენობას ორგანიზმში, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ძვლის განვითარებისთვის და ხელს უწყობს ძვლის დეფექტის წარმოშობას. ჰაიმორიტი ტოვებს დაზიანების კვალს ჰაიმორის ღრუს ძვალზე [სურ. 3] და ა.შ.

ცალკეულ ძვლებზე შეიძლება იკითხებოდეს სიცოცხლეში ადამიანისთვის დამახასიათებელი გარკვეული ჩვევები, რომელთა გამოვლენა უმნიშვნელოვანესია ძველი ადამიანის ცხოვრების წესის დასადგენად, ხოლო თანამედროვე გამოძიების შემთხვევაში პიროვნების იდენტიფიცირებისთვის. მაგალითად, ასეთი შემთხვევა შეიძლება იყოს კბილების უცნაური ცვეთა. დიდ ბრიტანეთში, XVII ს-ის სამაროვანზე გათხრილ რამდენიმე ჩონჩხს ორივე ყბის გვერდითა და წინა კბილებზე ეტყობოდა ნახევარმთვარისებური ფორმის ცვეთა [სურ. 4], რომელიც, მეცნიერთა დასკვნით, გრძელღეროვანი თიხის ჩიბუხების გამოყენების მანიშნებელი იყო.

ბიომოლეკულარული გამოკვლევა ადგენს დაღუპულის გენეტიკურ კავშირებს, კვების რაციონსა და მიგრაციულ აქტივობებს. ადამიანის ძვლებში არსებული სხვადასხვა ქიმიური ელემენტის, იზოტოპების კვლევა (სტრონციუმი, ნახშირბადი, აზოტი და ჟანგბადი) არის ის უახლესი მეთოდი, რომელიც ნათელს ჰფენს ადამიანის ცხოვრების არაერთ მხარეს, როგორიცაა მიგრაციული პროცესი, დიეტა და ცხოვრებისეული გარემო-პირობები. ანალიზისთვის ნიმუშის აღება ხდება კიდურის ძვლებიდან და კბილებიდან. ადამიანის სხეულში იზოტოპების შემადგენლობასა და ხასიათზე გავლენას ახდენს მისი კვების რაციონი და გარემო.

დნმ-ის ანალიზი სასამართლო-ექსპერტიზის ერთ-ერთი წამყვანი მეთოდია. მაკრომოლეკულა – **დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა,** იგივე დნმ, რომელიც მდებარეობს ადამიანის უჯრედში, პიროვნების გენეტიკური ინფორმაციის მატარებელია და თაობიდან თაობას გადაეცემა. თითოეული ჩვენგანის გენეტიკური ინფორმაცია უნიკალურია, მაშასადამე ამ მეთოდის გამოყენება კონფლიქტების, მასობრივი კატასტროფებისა და კრიმინალური შემთხვევებისას ხშირად გადამწყვეტი ფაქტორია პიროვნების ვინაობის დასადგენად. დნმ მემკვიდრეობით გადადის მშობლებისგან, ამიტომ მისი მეშვეობით ხერხდება ოჯახური კავშირების დადგენაც. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იდენტიფიცირების პროცესში დნმ-ის

გამოყენებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ ხელთ გვაქვს სავარაუდო ნათესავების დნმ-ის ნიმუშებიც, იმისთვის, რომ შევადაროთ ისინი. დნმ ვერ ცოცხლობს ყველა გარემოსა და კონტექსტში. ძლიერი სიცხის ან ნიადაგის გარკვეულ პირობებში შეიძლება გადაგვარდეს. ასევე არსებობს ერთი დნმ-ის სხვა ადამიანის დნმ-ით „დაბინძურების“ რისკიც. წმინდა არქეოლოგიურ კონტექსტში, როდესაც საქმე ეხება შუა საუკუნეების ან უფრო ძველ აღმოჩენას, შესადარებელი ნიმუშის არარსებობის გამო, რა თქმა უნდა დნმ-ის ანალიზით ადამიანის ვინაობა ვერ დადგინდება, თუმცა, შეიძლება გაირკვეს სქესი, თმის ფერი, თვალის ფერი და სხვ.

ამრიგად, არქეოლოგია არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს კაცობრიობის ისტორიულ წარსულს, მაგრამ მსოფლიოში ბოლო ათწლეულების გამოცდილებამ აჩვენა, რომ მას შეუძლია აწყმოს კვლევაც. ოსტეოლოგია (როგორც ანთროპოლოგიის სუბდისციპლინა) სწავლობს ძვლების ფორმას, სტრუქტურას, ჩონჩხის ცვლილების კანონზომიერებასა და დეფექტებს, შესაბამისად, მას შეუძლია გარკვეული ინფორმაციის მოცემა კონკრეტული ადამიანის შესახებ. მაშასადამე, არქეოლოგიური გათხრების მეთოდიკა, ოსტეოლოგიასთან ერთად, თანამედროვე სასამართლო-ექსპერტიზის სფეროს მნიშვნელოვანი სეგმენტებია.

# კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სხვადასხვა კატეგორიის ძეგლების (ნამოსახლარები, სამაროვნები, ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოები) არქეოლოგიური რუკები

*ლერი ჯიბლაძე*

კოლხეთში ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები, სამაროვნები და საწარმოო სახელოსნოები მრავალ პუნქტშია გამოვლენილი. ამ კატეგორიის ძეგლების შესახებ მონაცემები გაფანტულია სხვადასხვა პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში. არსებობს როგორც ერთიანი კოლხეთის ისე, მისი ცალკეული რეგიონების ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების არქეოლოგიური რუკები [ჯიბლაძე 2007:186-187, ტაბ. I]; პაპუაშვილი ნ., ჯიბლაძე, პაპუაშვილი რ. 2006:127-132; პაპუაშვილი 1998:61, ტაბ. I-1; Воронов 1969; ბარამიძე, წითლანაძე, დოლიძე 2013:65 ტაბ. I]. თუმცა, ამ რუკების შედგენის შემდეგ გარკვეულმა დრომ განვლო. სტაციონარული და სადაზვერვო ხასიათისGარქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლინდა არაერთი ძეგლი და ახალი მონაცემებით შეივსო ინფორმაცია მათზე.[1]

წინმდებარე სტატიაში აღვნიშნავთ, რომ ქრონოლოგიური ან ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ჩვენ არ ვისახავთ მიზნად ცალკეული ძეგლების ინტერპრეტაციას, რადგან ეს ხშირად ყოფილა სპეციალისტთა მსჯელობის თემა და ჩვენ არ განვმეორდებით. აქ მოყვანილი გვაქვს მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის მონაცემები, რომლებიც ზოგადად ეხება კოლხეთის ტერიტორიაზე ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლართა, სამაროვანთა ტიპებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი, დაკრძალვის წესებსაც და სხვ.

ჩვენი მიზანი იყო ერთად შეგვეკრიბა ცალკეული კატეგორიის არქეოლოგიური ძეგლები, შეგვედგინა მათი ერთიანი ჩამონათვალი და გავრცელების რუკები. სქემატურ რუკაზე მეტნაკლები სიზუსტით დავიტანეთ მათ შესახებ არსებული მონაცემები და მივიღეთ შევსებული, შედარებით სრული ჩამონათვალი. ცხადია, სტატია არ არის სრულყოფილი. ნაშრომში ძირითადად არ გვაქვს მოტანილი ამა თუ იმ ძეგლის GPS კორდინატები. ეს სისტემა ჩვენს მიმოქცევაში შემოვიდა დაახლოებით XXI საუკუნის დასაწყისიდან და ცხადია, კოლხეთში გამოყენებული ვერ იქნებოდა XX საუკუნის 70-80-იან წლებში შესწავლილ უმრავლეს ძეგლთან მიმართებაში, თუკი არ შესრულდებოდა სპეციალური სამუშაოები ამ მიმართულებით.

ანუ, გვაქვს მხოლოდ იმ ძეგლების GPS კორდინატები, რომლებიც შესწავლილია

1 უკანასაკნელ პერიოდში გამოიცა ძალზე საინტერესო ნაშრომი, რომელიც ეხება კლასიკური ხანის მასალებს - ქ.წ. V-I საუკუნეების კოლხეთის არქეოლოგიური რუკისათვის (ნამოსახლარები, სამაროვნები) [ახვლედიანი 2017]

უახლეს პერიოდშია და ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურიდან, ან უშუალოდ რაიმე ტიპის შეხება გვქონია მათთან. რაც შეეხება დანარჩენ ძეგლებს, საჭირო და სასურველია, შემუშავდეს სპეციალური პროექტი, გამოიყოს გარკვეული თანხები, დაიზვეროს მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორია და ავიღოთ GPS კორდინატები (ცხადია, აფხაზეთის გამოკლებით, გამომდინარე პოლიტიკური სიტუაციიდან).

წინმდებარე სტატიაში, იმისთვის, რომ არ გადავტვირთოთ მისი მცირე ფორმატი, ვუთითებთ იმ სამეცნიერო ლიტერატურას, სადაც მეტ-ნაკლებად თავმოყრილია სხვადასხვა კატეგორიის ძეგლები. რუკაზე დატანილ რიგით ნომერთან დაკავშირებით ტექსტში მოცემულია ძეგლის მდებარეობა და სახელწოდება (ძალზე ზოგადად).

წინა კოლხურ და ძველკოლხურ ნამოსახლართა ტიპებიდან, კოლხეთის დაბლობ ჭაობიან ზოლში ძირითადად წარმოდგენილია ხელოვნურად გამართული მრავალფენიანი და სხვადასხვა ქრონოლოგიური პერიოდის დიხა-გუძუბები; მდინარისპირა დაბლობ ადგილებში კი, ღია გაუმაგრებელი ტიპის ნამოსახლარები; ბუნებრივ ბორცვებზე (მთის ფერდი, მთის ტერასა), ზღვისპირა მდინარისპირა ტერასაზე, ვაკე ადგილას - ნამოსახლარები; ზღვისპირა ზოლში გამოვლენილია დიუნური სადგომები, საწარმოო და ტორფქვეშა ნამოსახლარები; მღვიმეებში, ფარდულებში, ეხებსა და გამოქვაბულში დაფიქსირებულია ნამოსახლარები და ა.შ.[2] კოლხეთში ხელოვნურად გამართული ბორცვები ყველაზე მრავალრიცხოვანია. როგორც აღვნიშნეთ, ისინი კონცენტრირებულია ჭაობიან ზოლში. უფრო მეტი თავმოყრა შეინიშნება მდინარეების რიონ-ფიჩორის, აბაშა-ნოღელის, ენგურ-ცხენისწყალის, ცივი–ხობის, ჩოლოქ-ოჩხომურის, ყორანთა წყლის-მუნჩიას აუზებში. დღევანდელი მონაცემებით მათი გავრცელების უკიდურესი საზღვარია ჩრდილო-დასავლეთით ტამიშისა (ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი) და სამხრეთ-აღმოსავლეთით ნამჭედურისა და ჩოლოქისპირა ნამოსახლარები, არსებობს სხვადასხვა მცდელობა ხელოვნური ბორცვების ტიპოლოგიური კლასიფიკაციისა [ჯიბლაძე, პაპუაშვილი 2013: 108-110, ტაბ. I, II, III, IV].

2 სამეგრელოში ხელოვნურად გამართული ბორცვების აღმნიშვნელად გვხვდება სხვადასხვა სახელწოდება. ხშირად ისინი უკავშირდება სოფლებს, უბნებს, გვარებს, მდინარეებს და ა.შ. მაგ.: დიხა-გუძუბა, დიხა-ზურგა, ზურგა, ზუგა, ზურგანი, ნაკარღალი, ნამარნუ, ნაჯიხუ (ნაციხარი), ნაზონარე (მიწა ნაყარი), ნაჭკადუ (ნასამჭედლო), ნამჭედურუ, ნამჭედური, შუამაღალა, ობერგულე (სამუხლე), სირია ჩქონის ოხოჯე (ზურგა), საგვიჩიოს პატარა კონძა, სოფ. ლეხაინდრაოს გოგიაშ ნაოხვამუ I, II, სოფ. სერგიეთის ნაფაცუცუ, ბანძის ტაბაკური I, II, ბაღდურის ბორცვი, კეკელიების ზუგა, ნაჭვის ზურგა (კოჩის ზურგა), ლუკას ნოხორი, ნაგოგუე, ჯალაღონიაში, ესართიების, იროდი სართანიას, ჯვარალების, წურწუმიების, პერტიების დიხა-გუძუბები, ნაესაკოვოს ოჭინკე, ხეთის ოტორონჯე, ბულიცხუს, წინაგოლის, გურილუფის, ცვანის, კიროვის, ჯოჯუების, ჭურიის, დიდი ნეძის, დღვაბის, თიკორის, საქორქიოს, ოთხირეს ხელოვნურად გამართული ბორცვ-ნამოსახლარები [ჯიბლაძე, პაპუაშვილი 2013: 100-112; პაპუაშვილი რ, პაპუაშვილი ნ. 2005]. იმერეთში დიხა-გუძუბები ცნობილია გორიკას სახელწოდებით, რომლებსაც ყოფენ დიდ და უფრო მცირე ზომის ბორცვებად. აქაც გორიკების სახელები უკავშირდება სოფლებს, უბნებს, მაგრამ დამატებით გვხვდება მათი აღმნიშვნელი სხვა სახელწოდებებიც: სოფ. ფარცხანაყანების გორიკები-ანარია, საბზიალო, შროშანები, სოფ. კოპიტნარის, დიდი ჯიხაიშის (ერთ-ერთი შუბლაძეების უბანშია), ბაძგნარის, იანეთის, გოჩა ჯიხაიშის, ბაშის, ეწერ-ბარის, ბროწეულას, ქვედა მესხეთის, მაღლაკის, ქვიტირის, პატრიკეთის, კულაშის (საწურბლიას), კუხის, ხონის, ნოღის, გორდის, კინჩხის, ღვედის გორიკები [ჯიბლაძე, პაპუაშვილი 2013: 100-112].

დღევანდელი მონაცემებით საკვლევ მხარეში ენეოლით, ბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის მრავალი სხვადასხვა ტიპისა და ქრონოლოგიური დიაპაზონის სამაროვანი, ცალკეული სამარხი, თუ სამარხეული კომპლექსია ცნობილი [პაპუაშვილი ნ., ჯიბლაძე, პაპუაშვილი რ. 2006:127-132].[3]

კოლხეთის დაბლობზე შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი არ არის მიკვლეული, თუ არ ჩავთვლით აღნიშნული პერიოდების სამარხეული ინვენტარის შემთხვევით აღმოჩენას გალის მუნიციპალიტეტის სოფ. გაგიდაში [ჯიბლაძე და სხვ. 2004: 74-82].

კოლხეთის დაბლობზე გვხვდებაKკოლხური მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმოები, რომლებიც ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება: საკულტო მოედნები და სამარხი ორმოები. საკულტო მოედნები, თავის მხრივ, სამი სეგმენტითაა წარმოდგენილი – რიყის ქვისგან შედგენილი ყრილები, დამწვარი და დაქუცმაცებული ძვლებისგან შემდგარი გროვები ან ორმოები, აგრეთვე, კულტმსახურეობისა და ტრაპეზის ნარჩენების თანდათანობითი დაფენების შედეგად წარმოქმნილი კულტურული ფენები [პაპუაშვილი 2000: 55].

სამარხი ორმოები კოლექტიური ხასიათისაა და ზოგიერთ მათგანში ორ ასეულამდე მიცვალებულია დაკრძალული. ურეკისა და ნიგვზიანის სამაროვნებზე კოლექტიური სამარხი ორმოების გვერდით დადასტურებულია ინდივიდუალური სამარხებიც [პაპუაშვილი 1998: 43].

კოლხური მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმოები ადრერკინის ხანით თარიღდება [მიქელაძე 1985]. გამოყოფენ უფრო ვიწრო ქრონოლოგიური ჩარჩოების სამარხების 5 ქრონოლოგიურ ჯგუფსაც [პაპუაშვილი 1998: 44-47]. კოლხეთში ანალოგიური ხასიათის ძეგლები უმთავრესად თავმოყრილია დაბლობ ზოლში: ერგეტის I-IV სამაროვნები, მუხურჩა, ნახუნაო, პალურის საძვლე, ხუცუბანი, ნალეპსაო, ლეჩე, ვედიდკარი, მახათი, გურძემი, სალხინო, ჯანტუხი, დღვაბა, ცაიში, გორაძირი, ფიჩორი, კურზუ, ნალეფსაო და ა.შ. [პაპუაშვილი 2000: 55].[4]

კოლხეთის მთიანეთში-სვანეთში, ლალირალის სამაროვანზე აღმოჩენილია ორი საკრემაციო მოედანი. აქ საგანგებოდ დამტვრეული დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭელი, სხვადასხვა დანიშნულების რკინისა და ბრინჯაოს ნივთები მოწმობს, რომ საკულტო მოედნებზე აღაპი და მიცვალებულთა რიტუალი სრულდებოდა. ადამიანთა ძვლები, რომელთაც ცეცხლის კვალი ეტყობა მიუთითებს ნაწილობრივ კრემაციასა და სარიტუალო ცეცხლის გამოყენებით მეორადი დაკრძალის წესზე [თორთლაძე, გველესიანი 2019: 28]. კრემაციული მოედნები არის ტყვარჩელში (ჯანტუხის სამაროვანი) სრული და ნაწილობრივი კრემაციით და მისი მსგავსი მერხეულაში [Шамба 1984:72].

3 სამაროვნების შედგენილი რუკა ეყრდნობა სტატიაში [პაპუაშვილი ნ, ჯიბლაძე, პაპუაშვილი რ. 2006:127-132] მოცემულ პუნქტებს.

4 ჯანტუხის სამაროვანზე, როგორც აღნიშნავენ, არის კოლექტიური დაკრძალვა, სადაც მარხავდნენ ძვლების ნარჩენებს. შეინიშნება ორ შემთხვევაში დაკრძალვის კრემაციული წესი [Шамба 1984:33]

მიცვალებულთა კრემაცია დასტურდება გუადიხუს სამაროვანზეც.

ბრილის სამაროვანზე შუა და გვიანბრინჯაოს ხანაში გვხვდება რბილი ნაწილების მოცილების შემდეგ მიცვალებულთა ხელახალი დაკრძალვა, არასრული კრემაცია. აქ საკრემაციო მოედანზე ერთ ასეულამდე მიცვალებულთან ერთად დაუწვავთ სააქიო ნაჩუქარი ნივთებიც [გობეჯიშვილი 1970:16]. როგორც ვხედავთ, კოლხეთის დაბლობის მსგავსად, მის მთიანეთშიც მიცვალებულთა დაკრძალვისას გამოყენებულია კრემაციის წესი.[5] ზოგადად, დაკრძალვის ეს წესი გვხვდება კავკასიის სხვა რეგიონებშიც, მათ შორის ყობანურ კულტურაში.

თანამედროვე აჭარის მხარეში ხუცუბანთან ერთად სოფ. მახვილაურში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) გამოვლინდა კოლხური კულტურისთვის დამახასიათებელ მეორადი დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული ადრე რკინის ხანის კოლექტიური დაკრძალვის სამარხი [კახიძე, სურმანიძე 2018: 172].

საინტერესოა, რომ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს ხანაში დასტურდება მღვიმეში, ფარდულში გამოვლენილი გრუნტული სამარხი ორმოები მეორადი დაკრძალვით (ლავინაია ბალკა,ლაპსტა, კალდახვარა, შრომა, კამან I, მდ. ხიფსთას ხეობა, აზანთას დოლმენი მიცვალებულთა კოლექტიური დაკრძალვით (ერთმანეთში არეული 20 თავის ქალა) და წინაანტიკური ხანის ნამოსახლარებზე ჩაშვებული ორმოსამარხები (ტამიში, ბომბორა, კისტრიკი).

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, მთიანი ტყის მასივებში, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ 480 კმ სიგრძეზე გავრცელებულია დოლმენური ნაგებობები (გავრცელების სიფართე არის 30 კმ-დან 75 კმ-მდე, დაწყებული ტამანის ნახევარკუნძულიდან ქ. ოჩამჩირემდე (ბედია). სულ 194 პუნქტში 564 დოლმენური ნაგებობა იყო აღმოჩენილი [Марковин 1978; 1994: 228-253].[6] ზომების მიხედით დოლმენებს ყოფენ სამ ჯგუფად: მომცრო, საშუალო და მოზრდილი [ჯაფარიძე 1961:87; ფხაკაძე 1992: 240]. ამ მეგალითურ ნაგებობებში დაკრძალვები კოლექტიური ხასიათის უნდა ყოფილიყო. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში დოლმენები სულ 31 პუნქტშია აღმოჩენილი. მათგან შესწავლილია ოთხარა, ხაბიუ, სული, აზანთა და კიურ-დერეს დოლმენები. დანარჩენი კი დაზვერვებით არის ცნობილი. ზოგჯერ გვხვდება ქვაყუთების (როჟდესტვენსკი, სოხუმის ჰესი)

5 უკანასკნელ პერიოდში ლარილარის სამაროვნის მაგალითზე, საინტერესო ნაშრომი გამოქვეყნდა კრემაციული დაკრძალვის წესის სარწმუნოებრივ ასპექტებზე, სადაც გარე სამყაროს არაერთი საინტერესო მონაცემია [გველესიანი 2019:85-92].

6 ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ზომების მიხედით გამოყოფენ სამი ჯგუფის დოლმენებს: მომცროს, საშუალოსა და მოზრდილს [ჯაფარიძე 1961:87; ფხაკაძე 1992:240]. მომცრო ზომის დოლმენების ზომებია 2,25-მ, სიმაღლე - 1,20 მ. ყველაზე არქაული მასალები წარმოდგენილია ზემო ეშერის II-III დოლმენებში. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ დასავლეთ კავკასიაში კონსტრუქციის მიხედვით გამოყოფენ დოლმენების ოთხ ვარიანტს [Марковин 1978: 61-135]: I-ქვის ფილებით ნაგები დოლმენები, რომლებიც ამ რიგის ნაგებობებში ყველაზე გავრცელებული ფორმაა. II–შედგენილი დოლმენები, რომლებიც ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში არ გვხვდება; III - გობისებური (ვარცლისებური) ფორმის დოლმენები სამი ვარიანტით; IV-მონოლითური დოლმენები [Марковин 1978 :135-185]. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ 564 დოლმენს გარკვეული დროის განმავლობაში მიემატა ამ ტიპის ნაგებობები. ამჟამად მათ რაოდენობაზე სრული მონაცემები არ გაგვაჩნია.

გამოვლენის ფაქტები. გუმისთა I-ის ნამოსახლარზე გამართულია ქ.წ. III ათასწლეულის დასასრულის ქვის წრით შემოსაზღვრული სამარხი ორმოები.

თანამედროვე აფხაზეთისთვის გვიანბრინჯაოს ხანისთვის დამახასიათებელია ოსუარიუმები - ურნა სამარხები. ისინი ცნობილია შემდეგი პუნქტებიდან: ახალი გაგრა, პრიმორსკოე, აბგარხურკი, ზემო ეშერა, ზვანდრიფში, აპშდვანი (ორჯონიკიძე), ვერეშაგინის მთა, წითელი შუქურა (რვა ურნა სამარხი) [Шамба 1984; Бжания,Бжания 1990]. ისინი ძირითადად გვხვდება სამარხ ორმოებთან ერთად, შერეული სახით. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში, ისე როგორც მთელ კოლხეთში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში დასტურდება ჯგუფური და ინდივიდუალური სამარხები. ისინი წარმოდგენილია ორი სახეობით: ორმოსამარხებითა და ქვევრსამარხებით. ორმოსამარხებში არის შემდეგი დაკრძალვის წესი: მიცვალებულთა დაკრძალვა პირაღმა მდგომარეობაში, მოხრილ მდგომარეობაში, სრული კრემაციით, მეორადი დაკრძალვის წესით. დასტურდება მეორადი დაკრძალვის წესი ცეცხლის გამოყენებით [დოლიძე 1999:8]. ქვევრსამარხებში კი მიცვალებულებს კრძალავენ მეორადი დამარხვის წესით და ნარჩენებს ალაგებენ ჭურჭელში. ხუთ პუნქტში არის ორ ათეულამდე სამარხი ურნები, რომლებიც ძირითადად ლოკალიზდება სოხუმსა და გაგრას (ფსოუსა და გუმისთას) შორის მდებარე ტერიტორიაზე [Шамба 1984:70]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ურნა სამარხებმა ქ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში განიცადა ტრანსფორმაცია და გავრცელდა ცენტრალური კოლხეთის მიმართულებით [Куфтин 1949:72]. ზოგიერთი მკვლევარის ცნობით წითელი შუქურას სამაროვანზე გვხვდება 17 ჭის მაგვარი სამარხი [Куфтин 1949:70].

ზემო იმერეთში გამოვლენილია მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური ეტაპის ყორღანული ტიპის სამარხები: ცარცის გორა, ქორეთი, ნაჩერქეზევი, მოდინახე-ბრინჯაოს ხანის სამაროვანი (ქვაყრილიანი, უქვაყრილო სამარხი ორმოები).

სოფ. კორბოული-გორაძირის ქ.წ. VIII-VII ს-ის ყორღნული ტიპის სამარხები, საზანო - ქ.წ. VII-VI ს-ის ქვაყრილიანი სამარხი ორმო.[7]

---

7 მდ. ყვირილას ზემო წელი (ზემო იმერეთის ზეგანი) ადრე ბრინჯაოს ხანაში მთლიანად მოქცეულია მტკვარ-არაქსის კულტურის წრეში და ლითონის ინვეტარის მიხედვით (საჩხერის ყორღანული სამაროვანი) ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული კერაა კავკასიაში [ჯაფარიძე 1976: 141; ფხაკაძე 1993: 74-75; მახარაძე; ბერიკაშვილი 2004: 29]. მდ. ყვირილას ზემო წელზე ამ კულტურის ძეგლებზე ზოგჯერ წარმოდგენილია საკმაოდ თხელი კულტურული ფენები [გაგოშიძე და სხვ. 2004: 73-113; ბერიკაშვილი 2003: 15-23; 2006: 14; ფხაკაძე 1992: 258-266-268]. ზოგჯერ აქ ღია ტიპის ნამოსახლარებზე (ჯიეთი VI ფენა, მოდინახე, ითხვისი-ჩილათას ბორცვი VI ფენა) მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის ბოლო ეტაპზე ჩნდება ბედენური კულტურა [ბერიკაშვილი 2006: 17]. მომდევნო პერიოდში მოდინახეს სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის სამარხების ადრეულ ჯგუფს ახლო კონტაქტები აკავშირებს კოლხეთის ბარის-პროტოკოლხურ მასალებთან [ლომთაძე 2000: 9]. ამ სამაროვნის შუაბრინჯაოს ხანის სამარხების უფრო მოგვიანო ჯგუფს კი აქცევენ იმ კულტურს წრეში, რომელიც ახლოს დგას შიდა ქართლის შუაბრინჯაოს ხანის ძეგლებთან (ნული, ქვასათალი, წაღვლი და ა.შ). ფიქრობენ, რომ ადრებრინჯაოს დასასრულს ზემო იმერეთის პლატოზე მტკვარ-არაქსის კულტურას ცვლის დასავლეთ საქართველოს ბარში გავრცელებული კულტურა) [ფხაკაძე 1978: 11]. Mმდ. ყვირილას ხეობაში ეს პროცესი უფრო შესამჩნევია შუაბრინჯაოს საწყის ეტაპზე [ჯაფარიძე 1961: 189; მახარაძე, ბერიკაშვილი 2004: 29]. გვიანბრინჯაო-ადრერკინიხ ხანაში კი მდ. ყვირილას აუზი მთლიანად მოქცეულია ძველი კოლხური კულტურის გავრცელების სივრცეში.

აღმოსავლეთ კოლხეთში ზოგჯერ გვხვდება მტკვარ-არაქსის კულტურულ ფენაში ჩაშვებული სამარხი ორმო - დარკვეთის ეხი; საგვარჯილე - ენეოლითური პერიოდის სამარხი ორმო; არგვეთა - ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარზე გვიანბრინჯაოს ხანის ჩაშვებული სამარხი ორმოები; სამერცხლე კლდე - ადრებრინჯაოს ხანის სამარხი ორმო.

XX ს-ის 70-80-იანი წლებიდან კოლხეთის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად, მთელ რიგMძეგლებზე დადასტურდა სპილენძ-ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული ნივთები: სამელე კლდე, სამერცხლე კლდე, კარახტინი, სახოველი (საირხე), მახვილაური, ისპანი, ნამჭედური, ჩოლოქი, დაბლაგომი, ნაოხვამუ, ცივა, ყულევი, ანაკლია I, ანაკლია II, მაქსანია, ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, ფიჩორის N4 და N6 ბორცვები, სოხუმის მთა, ტამიში, ბომბორა, კისტრიკი და ა.შ. კვლევის შედეგები არსებითად მიუთითებს ამ ნამოსახლარებზე ლითონის (ბრინჯაოს) საწარმოო სახელოსნოების არსებობას. ზოგიერთ ძეგლზე შემორჩენილი იყო ბრინჯაოს სადნობი ღუმელი (ვერეშჩაგინის გორა, სოხუმის მთა,მაქსანიას გამოქვაბული) და ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოს ნაგებობათა ნაშთები.

ბრინჯაოს სამსხმელო წარმოების ობიექტების დამადასტურებელი არტეფაქტები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული წარმოების ობიექტებს (სახელოსნოებს) ძირითადად გამოვლენილია კოლხეთის დაბლობის ზოლში განლაგებულ ქ.წ. III-II-I ათასწლეულების ხელოვნურად გამართულ ბორცვ-ნამოსახლარების კულტურულ ფენებში, უფრო ხშირად მათ პერიფერიულ ნაწილში და გარს ეკვრის ნამოსახლარებს. ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული წარმოების მძლავრი კერები აღმოჩენილია კოლხეთის დაბლობის მდინარეთა ქვემო წელზე (ჩოლოქი, ოჩხომური, რიონი, ხობისწყალი, ცივა, ენგური), ზღვისპირა ზოლში განლაგებულ დიხა-გუძუბებზე. სამსხმელო წარმოების კერები შედარებით ნაკლებად გვხვდება ზღვიდან დაშორებულ რელიეფზე, როგორც დაბლობ, ისე მთისწინა ზოლის ნამოსახლარებზე. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ აქ არსებული ძეგლები იშვიათი გამონაკლისის გარდა (ნოსირი III, ნაოხვამუ, ყულევი) შედარებით მცირე მასშტაბებშია შესწავლილი (სადაზვერვო თხრილები და ზედაპირულად აკრეფილი მასალები).

## ტაბულების აღწერილობა

### ტაბ. I. კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების გავრცელების რუკა:[8]

1. კოლხიდა, 2. ბიჭვინთა (ლძა), 3. იუპსი, 4. კისტრიკი, 5. ბომბორა, 6. ააქსტა, 7. ყულანურხვა, 8. ოთხარა, 9. პრიმორსკოე, 10. ანაკოფიის ციხე, 11. ანუხვა აბხაზსკაია, 12. ახალი ათონი (ორი დიუნური სადგომი), 13. გუანდრა, 14. ლეჩქოფი, 15. აბგიძრა, 16. ამჟასარა, 17. ვერეშაგინის მთა, 18. გუმისთის ნამოსახლარები (გუმისთა I, გუმისთა II, აჭანდარა), 19. ეშერა, 20. სოხუმის მთა, 21. სოხუმის კონცხი, 22. წითელი შუქურა, 23. გუადიხუ, 24. ლემსა, 25. ალექსეევკა, 26. ბაგრატის ციხე, 27. სოხუმის ნამოსახლარები (№4 სკოლა, რკ. სადგური), 28. ახრა-კაპში. 29. პალი, 30. თეთრი მღვიმე, 31. ზედა მღვიმე, 32. ჯამპალ I, 33. კამან I, 34. აბგახურკი, 35. აგუძერა, 36. შიცკუარა, 37. მაჭარა (სამი ნამოსახლარი), 38. მერხეული, 39. პატარა არმიანსკაია, 40. ტამიში, 41. მოქვი (ორი ნამოსახლარი), 42. ივაშენკო, 43. აგუბედია, 44. ოჩამჩირე I (დასავლეთი, ცენტრალური, სამხრეთი ბორცვები), 45. ოჩამჩირე II, 46. გუდავა (ორი დიუნური სადგომი), 47. ოქუმი, 48. გაგიდა, 49. ფიჩორი (10-11 ბორცვი), 50. განმუხური (ორი ბორცვი), 51. ნაკარღალი (4-5 ბორცვი), 52. ჯვარალები (5-6 ბორცვი), 53. თაგილონის „წიფურია“ (3-4 ბორცვი), 54. ჭუბურხინჯი, 55. განახლება, 56. აბაჟუ, 57. გალი, 58. მზიური (2-3 ბორცვი), 59. რეფო-შეშელეთი (4-5 ბორცვი), 60. წარჩე, 61. ბაქსანია, 62. პალური („ჟირ-სუკი“), 63. ლია („დიდი ქირსა“), 64. მახარია, 65. ჯვრის ნამოსახლარები („ფერდის გორა“, „ჯვრის ციხე“), 66. ანაკლია I, 67. ანაკლია II, 68. ორული (წურწუმიებისა და პერტიების დიხა-გუძუბა),[9] 69. ახალი კახათი, 70. ცაცხვი, 71, დარჩელი, 72. ერგეტა (მამულიების ბორცვი), 73. ჩვანე (GPS: GPS X717770-Y-4694828) 74. ყულევი I, 75. ყულევი II, 76. ხეთა („ოტორენჯე“), 77. დღვაბა, 78. ბულიცხუ, 79. წინაგოლა, 80. გურილუფუ, 81. ნაღმაპიჯი, 82. ოჩხომური, 83. ჭოღა (ორი ნამოსახლარი ჭოღაI, ჭოღა II - „კაკუცხა“), 84. ჭალადიდის „ზურგა“, 85. საბაჟო I, II უბანი, 86. ნამარნუს ნამოსახლართა სისტემა (რამდენიმე ბორცვი), 87. სირიაჩქონის ოხოჯე, 88. ნანდევუ, 89. საგვიჩიოს ნამოსახლარები („ზურგანი“, „პატარა კონძა“, ფიჩორისპირა ნამოსახლარი, №3 და №4 ბორცვები), 90. სიმაგრე, 91. ჭალადიდი (ჩხარის ტყე 3-4 ბორცვი), 92. ნაოხვამუ, 93. ეკი, 94. ხორში („ლომურა“), 95. ბეთლემი. 96. ქვალონის დიხა-ზურგა, 97. საკირე, 98. სენაკი (ცემენტის ქარხნის მიდამოები), 99. გეჯეთი, 100. ნოქალაქევი, 101. ბატ ნოოხურუ, 102. ნოქალაქევი (ყოფილი საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია), 103. ძიგური, 104.ნოსირი III, 105. ტეხურისპირა ფლატის I საძიებო მოედანი, 106. საელიაოს კურზია, 107.

---

8 რუკაზე დავიტანით პროტოკოლხური და ძველკოლხური ნამოსახლარები (მათ შორის დიუნური სადგომები), პროტოკოლხური და მტკვარ-არაქსული (არგვეთა, დაბლაგომი ჯიეთი) კულტურების თანხვედრის ძეგლები; ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე (აფხაზეთი) დღემდე ცნობილი ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ყველა ნამოსახლარი, სადაც რამდენადმე განსხვავებულ მასალებთან ერთად გვხვდება პროტოკოლხური კულტურის ელემენტები (მაჭარა, გუანდრა, გუმისთა, აჭანდარა, კამან I და სხვ.). ასევე მიზანშეწონილად ჩავთვალეთ რუკაზე დაგვეტანა ყველა ის ხელოვნური ბორცვი, სადაც ბრინჯაო-ადრერკინის ხანაზე უფრო მოგვიანო პერიოდია წარმოდგენილი; აგრეთვე ამ ტიპის ის ძეგლებიც, სადაც კულტურული ფენები არ დასტურდება, ან საერთოდ არ გათხრილა, მაგრამ მოსალოდნელია ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენების არსებობა.

9 აღნიშნულ ძეგლებზე იხილეთ [ჯიქია, 2005, გვ. 113-141].

ნახუნაო (ადგილი კოკიეთი), 108. სერგიეთის ნამოსახლარები (სერგიეთი I, სერგიეთი II), 109. სერგიეთი (ტერასაზე გამართული ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი), 110. ნაგვაზაო (ტერასაზე გამართული ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი), 111. ნაგვაზაოს ზურგა, 112. აბედათი, 113. მუხურჩას ნამოსახლარები („ნაჭვის ზუგა“, „კეკელურის ზუგა“),



114. მუხურჩას საწარმოო ნამოსახლარი, 115.ვედიდკარი („ნაჯიხუ“), 116. სალხინო (ლეცავას მთა), 117. ბანძის ნამოსახლარები (ტაბაკური I, ტაბაკური II, დიხა-გუძუბა I - „ბაღდურა“), 118. ლეხაინდრაო (ორი ნამოსახლარი - გოგიაშ ნაოხვამუ I, გოგიაშ ნაოხვამუ II), 119. ხელოვნური ბორცვები მდ. ხობის წყლისა და ჭურიის ორმდინარეთში (2-3 ბორცვი), 120. ნახარებაო, 121. წყემი (სამი ბორცვი),[10] 122. ქოლობანი, 123. პირველი მაისი, 124. ნაესაკოვო („ოჭინკე“), 125. ზანათი (ორი ბორცვი — ნამანცხვარი, დიონი), 126. კოდორი („ობერგულე“), 127. დაბლაგომი, 128. ბაძგნარი, 129. იანეთი, 130. ჯიხაიში (რამდენიმე გორიკა),[11] 131. ბაში, 132, ეწერ-ბარი (ორი-სამი გორიკა), 133. კოპიტნარი, 134. საყულია, 135. პატრიკეთი (ორი-სამი ბორცვი), 136. ბროწეულა, 137. ქვედა მესხეთი, 138. ფარცხანაყანები (ოთხი გორიკა - „კირიები“, „შროშანები“, „ანარია“, უსახელო ბორცვი), 139. მაღლაკი, 140. ქვიტირი, 141. ვანი (ახვლედიანების გორა), 142. ჭოგნარი (სამი ნამოსახლარი - „ნასაჯვრევი“. ფარნალისა და ბარონის გორა), 143. დათიშიძეების გორა, 144. გაბაშვილების გორა, 145. დიმი, 146. ბანოჯა, 147. დღნორისა, 148. ცხეთა, 149. ურეკი, 150. გრიგოლეთი, 151. ჭოლიპა, 152. ფიჭვნარი (დიუნა), 153. ფიჭვნარი, 154. ხუცუბანი, 155. ნამჭედური, 156. ჩოლოქი, 157. ისპანი, 158. ბობოყვათი, 159. შემოქმედი, 160. ვაკიჯვარი („ქორის ბუდე“), 161. ვაკიჯვარი (ოთიგვანის გამოქვაბული), 162. შეკვეთილი, 163. შუხუთი, 164. ბაილეთი, 165. ლაითური, 166. ბუკისციხე, 167. ლესა-ჯუმათი, 168. ქვენობანი („კოჟორა“), 169. ციხისძირი (დიუნა), 170. ციხისძირი, 171. ჩაქვი I, 172. ჩაქვი II, 173. გონიო, 174. მახო, 175. ბათუმის ციხე, 176. ქვემო საზანო, 177. სვირი („ციხურა“), 178. ილემი, 179. ცხენთარო, 180. ჯიეთი, 181. სვირის ციხე, 182. ნიგოზეთი, 183. კაცხის ციხე, 184. ნარაძეთი, 185. საირხის ნამოსახლარები (ვეშაპიძეების გორა, სკომიეთის გორა, საბადურის გორა, წყაროსთავის გორა, კოდისწყალი, ღელიპირა გორა, თოდაძის ციხე, სახოველა, ჭიჭინაძეების გორა), 186. ითხვისი, 187. არგვეთი, 188. კორბოული, 189. რგანი, 190. მოდინახე, 191. კალვათა (უდერძის გორა)[12].

---

10 GPS: N1 ბორცვი 38 T 0266530; UTM 4680632; N2 ბორცვი: 38 T 0266549,UTMM-4680651;38T;0266559-UTM-4680657; N3 ბორცვი: 38T0266624; UTM-4680633.

11 პატარა ჯიხაიში და გოჩა ჯიხაიში (ხონის რ-ნი) ასევე ასახელებენ 5 ხელოვნურ ბორცვს (გორიკას, ფაილოძე, 1997 გვ. 10-11).

12 გადატვირთული პუნქტების გამო რუკაზე ვერ დავიტანეთ მთელი რიგი ობიექტები: ხელოვნური ბორცვები, ვაკეზე და ბუნებრივ ბორცვებზე გამართული ნამოსახლარები და ა.შ. სტატიაში ვრთავთ ამ ძეგლების ჩამონათვალს ძველი ნუმერაციის გაგრძელებით. ეს ძეგლებია: 192. არაზასისი (გუდაუთის რ-ნი), 193. სოფ. შუამთა-ვანის რ-ნი (ქალისა და მელაშვილების გორა,ნატახტის გორა), 194. ბანძის მძივების საწარმოო ნამოსახლარი—სახელოსნო (მარტვილის რ-ნი), 195. ადრე და გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ნაშთები ბაგრატის ტაძრის ინტერიერიდან,196. მახვილაურის ბორცვი (GPS კოორდინატები:41035.756C,41038.700). ხელოვნურად გამართული ბორცვ-ნამოსახლარების (ასევე ბორცვები, სადაც კულტურული ფენები არ დასტურდება და ვაკეზე არსებული ნამოსახლარები) კონცენტრაცია განსაკუთრებით შეინიშნება ზუგდიდის რ-ში. ვიძლევით მათ ჩამონათვალს: 197. კიროვის დიხა-გუძუბა, 198. ერგეტას დიხა-გუძუბა, 199. საქირიოს დიხა-გუძუბა, 200. „ოთხირე“ (სათხილე)-ორი-სამი ნამოსახლარის ნაშთი-სოფ.ცვანეს უბანი, 201. თიკორის დიხა-გუძუბა, 202. შუქუზი მაქაცარიას დიხა-გუძუბა, 203. მუხურჯინჯის ხელოვნურად გამართული ბორცვი, 207.„ნადიას ნაკარუ-დიხა გუძუბა,“ 208. აკაციების სანერგე, 209. მდ.ჭურიის დიხა-გუძუბები (სამი ერთეული), 2010. იროდი სართანიას გიხა-გუძუბა, 2011. საქორქიოს დიხა-გუძუბა-ცვანეს ბორცვიდან 1 კმ-ზე.ზუგდიდის რაიონიდან მომდინარე ძეგლების მონაცემები აღებული გვაქვს [პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. 2005:24-31]. აგრეთვე მთელი რიგი, ვაკე ადგილზე არსებული ნამოსახლარები გვაქვს ზუგდიდის რ-ნიდან,რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა [პაპუაშვილი რ, პაპუაშვილი ნ 2005:27-31], 2012. ასევე ამ ძეგლებს უნდა მიემატოს ჯინჯლარის ნამოსახლარი ჭიათურის რ-ნის ქვედა ბერთისა [მახარაძე და სხვ. 2004: 15-28], 2013 - სოფ. სავანესთან ახლოს მდებარე (მდ.იხვარის ხეობა) იცქის ციხესთან, სხვა პერიოდის მასალებთან ერთად გამოვლენილი, წინაანტიკური ხანის სამოსახლოს ნაშთები და ა.შ.

## ტაბ. II. კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნების (სამარხების) გავრცელების რუკა

1. განთიადი-დოლმენები, 2. ფსოუ-სამარხეული ინვენტარი, 3. ძველი გაგრა - მღვიმეში აღმოჩენილი სამარხები, 4.ახალი გაგრა - ძ.წ. II ათასწლეულის დასასრულის სამაროვანი (სამარხი ორმოები, ოსუარიუმები), 5. აჩმარდა-დოლმენები, 6. ოთხარა ძ.წ. IX-VIII სს-ის სამაროვანი (სამარხი ორმოები), 7. ოთხარა-ადრე და შუაბრინჯაოს ხანის დოლმენები, კოლხიდა - ძ.წ. VIII-VII სს-ის სამარხი ორმო, 9. X აბიუ - ძ.წ. III ათასწლეულის და ძ.წ. II ათასწლეულის დასაწყისის დოლმენები, 10. აჩანდარა-დოლმენები, 11. აჩანდარა-წინაანტიკური ხანის სამაროვანი (სოფლის სხვადასხვა ადგილზე აღმოჩენილი), 12. მიქელრიფში-დოლმენები, 13. ტროიცკი-დოლმენები, 14. გუდაუთა - ძ.წ. IX-VIII სს-ის სამარხები (სავარაუდოდ, სამარხი ორმოები), 15. კისტრიკის ნამოსახლარზე VIII-VII სს-ის ჩაშვებული სამარხი ორმოები, 16 .ბომბორას ველის ძ.წ. VIII ს-ის სამაროვანი, 17. ბომბორას ნამოსახლარზე ძ.წ. VII-VI სს-ის ჩაშვებული სამარხი ორმოები, 18. ლავინაია ბალკას ფარდულში (ცისფერ ტბასთან) მდებარე ადრე ბრინჯაოს ხანის მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმო, 19. მდ. რიშევიუს ხეობა-დოლმენები, 20. ფსხუ-დოლმენები,

კოლხეთის ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის სამაროვნების (სამარხების) გავრცელების რუკა



21. ყულანურხვა-დოლმენი, 22. ყულანურხვა - ქ.წ. VIII-VI სს. სამაროვანი, 23. მუგუძირხვა (ააქსტა) - წინაანტიკური ხანის სამაროვანი (სამარხი ორმოები), 24. პრიმორსკოე - ქ.წ. VIII-VII სს. სამაროვანი (ურნა სამარხები), 25. მდ. მჭისთას ხეობა-დოლმენი, 26. აბგარხუკი - დოლმენი, 27. ბგარხუკი - წინანტიკური ხანის სამაროვანი (ურნა და სამარხი ორმოები), 28. სანჩარი-დოლმენი, 29. დოუ-დოლმენთა ჯგუფი, 30. ლაპსთა-ადრებრინჯაოს ხანის მეორადი დაკრძალვის სამარხები, 31. მდ.აგურიფსთას ხეობა-დოლმენები, 32. მდ.ბაულის ხეობა-დოლმენები, 33. კალდახვარას მღვიმეში აღმოჩენილი ადრებრინჯაოს ხანის გრუნტული სამარხი ორმოები მეორადი დაკრძალვით, 34. მდ. მადენგას ხეობა-დოლმენები, 35. მდ. გუმრიფშის ხეობა-დოლმენები, 36. ანუხვა აფხაზსკაია-დოლმენები, 37. ახალი ათონი-დოლმენი, 38.ახალი ათონი - ქ.წ. VIII-VII სს. სამარხები, 39. ისრა - ორი გვიანბრინჯაოს ხანის სამარხის კვალი, 40. ზემო ეშერა - დოლმენები (ქ.წ. III ათასწლეულის დასასრული, ქ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი, 41.ზემო ეშერა - წინაანტიკური ხანის სამაროვანი (ოსუარიუმები, სამარხი ორმოები), 42. ქვემო ეშერა - კრომლეხები კოლექტიური მეორადი დაკრძალვით, 43. ქვემო ეშერა-წინანტიკური ხანის სამარავანი, 44. შრომა (ყოფილი მიხაილოვსკოე)-დოლმენი, 45. შრომა-მღვიმეში გამართული ქ.წ. II ათასწლეულის შუა ხანების მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმოები, 46. ლეჩქოფი - VIII-VII სს-ის სამარხი, 47. სოხუმის მთა-ქ.წ. VIII-VII სს. სამაროვანი (სამარხი ორმოები), 48. ცუგუროვკა-დოლმენები, 49. წითელი შუქურას წინაანტიკური ხანის სამაროვანი (სამარხი ორმოები),50.გუმისთა I-ის ნამოსახლარზე გამართული ქ.წ. III ათასწლეულის დასასრულის ქვის წრით შემოსაზღვრული სამარხი ორმოები, 51. ვერეშაგინის მთა - ქ.წ. VIII-VII სს. სამაროვანი (ურნა სამარხები), 52. იაშთხვა-გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები, 53. შუბარა-წინაანტიკური ხანის სამარხები, 54. ზვანდრიფში - წინანტიკური ხანის ოსუარიუმები, 55. გუმისთა II - გვიანბრინჯაოს ხანის დაზიანებული სამარხი, 56. სოხუმის ჰესი - ქ.წ. IX-VIII ს. ქვაყუთი; 57. კამან I-მღვიმეში გამართული ქ.წ. II ათასწლეულის შუახანების მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმოები, 58. მდ. ხიფსთას ხეობა-გვიანბრინჯაოს ხანის სამარხი ორმო მეორადი დაკრძალვით, 59. პრცხა (ყოფილი როჟდესტვენსკი) — 2 დოლმენი, 60. ახუპაჩი-დოლმენისებური ფილის ნაგებობანი, 61. აპშდვანი (ორჯონიკიძე)-წინანტიკური ხანის ურნა სამარხები, 62. ჩობალუკი - ქ.წ. IX-VIII ს-ის ორმო სამარხები, 63. აჩკაცი- X-VIII ს-ის სამარხები,6 4. ბარმაში - VIII-VI სს-ის სამარხეული მასალა, 65. ალექსეევკას ხეობა-სამარხეული ინვეტარი, 66. ბეშკარდაში-წინანტიკური ხანის დანგრეული სამარხი, 67. აზანთა-შუაბრინჯაოს ხანის დოლმენები, 68. აზანთა-ქვაყუთი, 69. სული-შუაბრინჯაოს ხანის დოლმენები, 70. ოქტომბერი-სამარხის (ყორღნის) კვალი, 71. ჩხალთა-დოლმენები, 72. მდ.ჯამპალის ხეობა-დოლმენები, 73. მერხეული (ადგილი ლაკადა) ქ.წ. VII-VI სს ინდივიდუალური და კოლექტიური მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმოები, 74.ახუცა ჯგერდა-დოლმენები, 75. ქლუხორის უღელტეხილი-ფარდულში გამართული ადრებრინჯაოს ხანის სამარხი ორმო, 76. ბედია-დოლმენი, 77. ტამიშის ნამოსახლარი - ქ.წ. VII-VI სს. ჩაშვებული სამარხი ორმოები, 78. პოვრეში (ფოქვეში) - ქვაყუთი. თარიღი მითითებული არ არის, 79. ჯანტუხი - ქ.წ. VIII-VII სს-ის კოლექტიური სამარხი ორმოები მეორადი დაკრძალვით, 80. გაგიდა - შუა და გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდის სამარხეული ინვეტარი, 81. ფიჩორი - კოლექტიური მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმო, 82. გალი უინვენტარო ქვევრსამარხი, 83. ანაკლია

II-შუაბრინჯაოს ხანის სამარხი ორმო, 84-87. ერგეტა I, II, III, IV - ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნები მეორადი დაკრძალვით, 88. ცაიშის ადრერკინის ხანის სამაროვანი-კოლექტიური სამარხი ორმოები მეორადი დაკრძალვით, 89. პალური-ინდივიდუალური და კოლექტიური სამარხი ორმოები მეორადი დაკრძალვით, 90. დღვაბა-კოლექტიური სამარხი ორმოები მეორადი დაკრძალვით,91.გურძემი-კოლექტიური სამარხი ორმო მეორადი დაკრძალვით, 92. სალხინო-ადრერკინის ხანის სამაროვანი, 93. ვედიდკარი-მახათი ადგილი (ადგილი ნაჭკადური)-ადრერკინის ხანის სამარხი ორმო, 94. ნახუნაო-ადრერკინის ხანის სამარხი ორმო ინდივიდუალური დაკრძალვით, 95.სუჯუნათის საძვლე, 96. მუხურჩა - ქ.წ. VIII-VI სს. კოლექტიური სამარხი ორმოები მეორადი დაკრძალვით, 97. ნალეფსაო-ადრერკინის ხანის სამარხი ორმო კოლექტიური მეორადი დაკრძალვით, 98. ლეჭე-ადრერკინის ხანის მეორადი დაკრძალვის სამარხი ორმო, 99. ურზუ - ა დრერკინის ხანის სამარხი ორმო, 100. ჭუბურხინჯი - სამარხეული ინვენტარი, 101. ჯვარი - წინანტიკური ხანის სამარხეული ინვენტარი, 102. ნოსირი - სამარხეული ინვეტარი. 103. ფარცხანაყანები - სამარხეული ინვენტარი, 104. არქიელის გორა-სავარაუდოდ სამარხეული ინვენტარი, 105. ვანი-საკაკილე - სავარაუდოდ სამარხეული ინვენტარი, 106. მოწამეთა-ადრებრინჯაოს ხანის ფენაში ჩაშვებული გვიანბრინჯაოს ხანის სამარხი ორმოები, 107. თამაკონი - სავარაუდოდ სამარხეული ინვენტარი, 108. ბოგრეში- ქ.წ. III ათასწლეულის დასარულისა და ქ.წ. II ათასწლეულის დასაწყისის ქვაყრილიანი სამარხი, 109. ქართვანი - წინანტიკური ხანის სამაროვანი (სამარხი ორმოები), 110. რილი - შუა და გვინბრინჯაოს ხანის სამაროვანი (მათ შორის ბრილის აკლდამა, სამარხი ორმოები, 111. ქაზანო - ქ.წ.VII-VI სს. ქვაყრილიანი სამარხი ორმო, 112. სამერცხლე კლდე-ადრებრინჯაოს ხანის სამარხი ორმო, 113. დარკვეთის ეხი - მტკვარ-არაქსის კულტურულ ფენაში ჩაშვებული სამარხი ორმო, 114. საგვარჯილე-ენეოლითური პერიოდის სამარხი ორმო, 115. არგვეთა-ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარზე გვიანბრინჯაოს ხანის ჩაშვებული სამარხი ორმოები, 116. საზანო - ქ.წ. VII-VI სს. ქვაყრილიანი სამარხი ორმო, 117. სამერცხლე კლდე-ადრებრინჯაოს ხანის სამარხი ორმო, 113. დარკვეთის ეხი-მტკვარ-არაქსის კულტურულ ფენაში ჩაშვებული სამარხი ორმო, 114. საგვარჯილე-ენეოლითური პერიოდის სამარხი ორმო, 115. არგვეთა-ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარზე გვიანბრინჯაოს ხანის ჩაშვებული სამარხი ორმოები, 116. ნაჩერქეზევი-ყორღანული სამარხები, 117. ცარცის გორა-ყორღანული სამარხები, 118. ქორეთი-ყორღანული ხანის სამაროვანი, 119. ყორბოული — ქ. წ. VIII-VII სს. ყორღნული ტიპის სამარხები, 120. მოდინახე-ბრინჯაოს ხანის სამაროვანი (ქვაყრილიანი, უქვაყრილო სამარხი ორმოები), 121. ურეკი - ადრერკინის ხანის სამაროვანი, 122. ნიგვზიანი-ადრერკინის ხანის სამაროვანი, 123. ხუცუბანი-გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი, 124. კოლოტაური-ადრებრინჯაოს ხანის ქვის ფილებით ნაგები სამარხი, 125. მახვილაური-გვიანბრინჯაოს ხანის ქვაყრილიანი სამარხი ორმოები, 126. ფუშრუკაული-სავარაუდოდ წინაანტიკური ხანის სამაროვანი, 127. სიხალიძეები-სავარაუდოდ გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი, 128. გონი — სავარაუდოდ, წინაანტიკური ხანის სამაროვანი.

**ტაბ. III. კოლხეთის სპილენძ-ბრინჯაოს საწარმოო**

### სახელოსნოების გავრცელების რუკა.

1. სამელე კლდე; 2. სამერცხლე კლდე; 3. მოდინახე; 4. ისპანი; 5. ანაკლია I (ქვედა ფენა); 6. ფიჩორის ცენტრალური ბორცვი (VIII,VII-IV ფენები); 7. ფიჩორის N6 ბორცვი;N8. ანაკლია II; 9. ერგეტა (IV ფენა); 10. ნოსირი IIII (Iფენა); 11. ნამჭედური (VI-III ფენები); 12. ჩოლოქისპირა ბორცვი (VI-III ფენები); N13. ქვემო ჭალადიდის ზურგა (ქვედა ფენა); 14. ქვემო ჭალადიდის მეორე უბანი; 15. ყულევი (II-IIIფენები); 16.ცივა; 17.ანაკლია II-ის მიმდებარე ბორცვები; 18. ბაქსანია, 19. დაბლაგომი; 20.მუხურჩის ნაწისქვილარი; 21. ლეხაინდრაო; 22. ოჩხომური; 23. ნოქალაქევი; 24. ფახულანი; 25. ზემო ღუმურიში; 26. ფიჩორის N4 ბორცვი; 27. ნაოხვამუ (IIIფენა); 28. მახინჯაური; 29. ფიჭვნარი; 30. მაჭარა N2 დიუნა; 31. სოხუმის მთა; 32. ბომბორა; 33. კისტრიკი; 34. ტამიში; 35.ლენჭეხა; 36. კიწია; 37. გაჭედეილი; 38. ნახუნაო; 39.კურზუ; 40. დოშაყე; 41. ითხვისი; 42. სახოველა; 43. კარახტინი; 44. ცხეთა; 45. ნამარნუს ჩრდილოეთი ბორცვი; 46. გულეიკარი; 47. ეშერა; 48. მგუძირხვა; 49. ამჟასარა.[13]




13 უკანასკნელ პერიოდში ამ საწარმოო სახელოსნოებს დაემატა მახვილაურის, დათიშიძეების გორასა და დღვაბას(ტაბაკონის ბორცვი) ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოები.

## ლიტერატურა


- აფაქიძე ჯ; ჭაბაშვილი ლ. 2018: კოლხური კულტურის ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვის ტაბაკონის 2017 წლის არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში. 2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული თბილისი, გვ. 277-280.

- ახვლედიანი დ; ელაშვილი მ; კირკიტაძე ტ; ხარაბაძე ს; ასათიანი გ. 2017: მასალები ძვ.წ V-I საუკუნეების კოლხეთის არქეოლოგიური რუკისათის (ნამოსახლარები,სამაროვნები), თბილისი.

- ბარამიძე მ; წითლანაძე ლ; დოლიძე ნ.2013: აფხაზეთის მატერიალური კულტურა ტომი II თბილისი.

- ბერიკაშვილი დ. 2003: ზემო იმერეთის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, სხსმ, VIII, თბილისი, გვ. 15-23.

- გაგოშიძე ი., მახარაძე გ., ქორიძე ე., გოგიბერიძე ნ. 2004: ითხვისის ნამოსახლარი. აჟ. III, თბილისი, გვ. 73-113.

- გველესიანი მ. 2019: კრემაციული დაკრძალვის წესის სარწმუნოებრივი ასპექტები. ლალირალი სამაროვანი, თბილისი, გვ. 85-100.

- დოლიძე ნ., 1999: ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მხატვრული ნაწარმი (ლითონის სამკაული),საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

- გობეჯიშვილი გ. 1970: გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში. სინ I, თბილისი, გვ. 201-243.

- თორთლაძე ზ; გველესიანი მ. 2019:Pლალირალის სამაროვანი,თბილისი

- ინანიშვილი გ; ჯიბლაძე ლ. 2019: კოლხეთის ბრინჯაოს წარმოების ისტორიისათვის, თბილისი.

- კახიძე ა; სურმანიძე ნ. 2018: 2017 წლის მახვილაურის არქეოლოგიური ექსპედიციის მოკლე ანგარიში. 2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული თბილისი, გვ. 172-175.

- კახიძე ა;სურმანიძე ნ. 2019: მახვილაურის გორა-სამოსახლოს არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი პროტოხეთური კერამიკა. საქართველო უძველესი მეტალურგიური კერა (აჭარა), ბათუმი, გვ. 44-55.

- ლანჩავა ო; ისაკაძე რ. 2010: არქეოლოგიური კვლევები ბაგრატის ტაძარში. ძველი ხელოვნება დღეს,თბ; გვ. 4-13.

- ლანჩავა ო. 2015: ქუთაისის არქეოლოგია, თბილისი.

- ლანჩავა ო; კარაშევიჩ-შჩიპიორსკი რ; ისაკაძე რ; ჰამბურგი ი; ბუაძე შ; პავლოვსკა კ; კალიშევსკა ა; ბიენკოვსკი რ. 2017: ქუთაისის ქართულ-პოლონური ექსპედიციის 2017 წლის არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. 2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული თბილისი, გვ. 137-142.
- ლომთაძე ლ. 2000: მოდინახეს შუაბრინჯაოს ხანის სამარხები, აჟ I, თბილისი, გვ. 5-17.
- მახარაძე გ; ბერიკაშვილი დ. 2004:Pაღმოსავლეთ და დასავლეთ ქართულ კულტურათა შეხვედრა ზემო იმერეთის ტერიტორიაზე აჟ III, თბილისი, გვ.129-127.
- მახარაძე გ; ბრაგვაძე ზ; გაგოშიძე გ; წერეთელი მ; ლომთაძე გ; ბერიკაშვილი დ. 2004:
- არქეოლოგიური გათხრები ქვედა ბერთისაში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, IX, თბილისი,გვ.15-28
- მიქელაძე თ.1985: კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბილისი
- პაპუაშვილი რ. 1998: გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთის სამარხ-ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის, ძიებანი, N 1, თბილისი, 43-57
- პაპუაშვილი რ. 1999: ერგეტის სამაროვნები. სამეგრელო,კოლხეთი,ოდიში,თბილისი-ზუგდიდი,გვ.317-321
- პაპუაშვილი რ. 2000: ცენტრალური კოლხეთის სამაროვანთა აგებულებისათვის, ძიებანი, N 5, თბილისი, გვ. 55-66.
- პაპუაშვილი რ; პაპუაშვილი ნ. 2005:კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. ერგეტა, თბილისი
- პაპუაშვილი ნ; ჯიბლაძე ლ; პაპუაშვილი რ. 2006: კოლხეთის ენეოლითის,ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის სამაროვნების გავრცელების რუკა,ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაშიN N 17-18, თბილისი, გვ. 127-132.
- პაპუაშვილი რ. 2019: ცვანეს დიხა-გუძუბაზე 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები მოკლე ანგარიში. 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული თბილისი, გვ. 59-64.
- ფაილოძე ა. 1997: მატიანე ხონისა, თბილისი.
- ფხაკაძე გ 1978: მტკვარ-არაქსის და დასავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურათა ზოგიერთი შეხვედრა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სას II, თბილისი, გვ. 3-12.
- ფხაკაძე გ. 1992: ენეოლითი და ადრე ბრინჯაოს ხანა დასავლეთ საქართველოში. საქართველოს არქეოლოგია II, თბილისი, გვ. 216-180.
- ფხაკაძე გ. 1993: დასავლეთ ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცვის III ათასწლეულში, თბილისი.
- ჯიბლაძე ლ; პაპუაშვილი რ; ხვისტანი რ. 2004: შუა და გვიანბრინჯაოს საწყისი პერიოდის უახლესი აღმოჩენა გალის რ-ნის სოფ. გაგიდაში,ძიებანი N13-14, თბილისი, 74-82.

- ჯიბლაძე ლ. 2007: კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბილისი.
- ჯიბლაძე ლ; პაპუაშვილი რ. 2013: ხელოვნურ ბორცვთა აგებულებისათვის საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია N4 თბილისი, გვ. 100-112
- ჯიბლაძე ლ. 2016: კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურები და მათი ეთნიკური ატრიბუცია,კრებული გურია N N 6,თბილისი,გვ.77-124
- ჯიბლაძე ლ. 2016:-ა კოლხეთის ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების პირველადი და მეორადი მეტალურგიული წარმოების კერების ურთიერთობის საკითხები, ონლაინ არქეოლოგიაN N 8, თბილისი, გვ. 76-97.E
- ჯიბლაძე ლ. 2016: ბრინჯაოს საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული არტეფაქტები კოლხეთიდან. ძიებანი N23, 178.
- ჯაფარიძეო.1961: ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 1976: ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის. თბილისი.
- ჯაფარიძე ო. 2006: ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის დოლმენები, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, თბილისიNNN17-18, 44-50.
- ჯიქია ლ. 2006: კოლხური და უცხოური კულტურის ძეგლები `ქუთაისის ქვეყნიდან~, თბილისი.
- Бжания В; Бжания Д. 1990: Гагрский могильник, Сухуми.
- Воронов Ю. 1969: Археологическая карта Абхазии. Сухуми.
- Куфтин Б. 1949. Материалы к археологии Колхиды, том I, Тбилиси.
- Марковин В. 1978: Долмены западного Кавказа. Москва.
- Марковин В. 1994: Долмены западного Кавказа. Археология эпохи бронзы Кавказа и средней Азии. Ранняя и средняя бронза Кавказа. Москва с. 228-253.
- Шамба Г. 1984: Раскопки древных памятников Абхазии, Сухуми.
- Джони Апакидзе, Свенд Ханцен, Тобиас Мёртц, Леван Чабашвили "Предварительные данные об археологических раскопках искусственного жилого холма колхидской культуры Табакони в Западной Грузии." Кавказ между Восточной Европой и Передним Востоком в бронзовом и железном веке: диалог культур, культура диалога Международная научная конференция по археологии Кавказа и Гумбольдт-лекторий (5–8 октября 2015 года, Санкт-Петербург) стр. 457-475.

# FORENSIC ARCHAEOLOGY AND ANTHROPOLOGY

***Irakli Anchabadze***

Archaeology is a discipline that seeks to explore the past through the excavation and analysis of the material remains of the people who lived there. Forensic science, however, is concerned with the present rather than the past. This leads to confusion regarding the relevance of archaeology for the police and criminal courts. In fact, there are a range of specialist skills that archaeologists have that are directly applicable to forensic contexts. Archaeological techniques have developed over several centuries and are ideally suited to crime scenes. For example, archaeologists are experts at 'reading' landscapes (e.g. vegetation and topography). They therefore have excellent skills in finding the graves sites of missing people.

The excavation of a grave site and the processing of a crime scene are destructive activities. It is therefore essential to make a detailed record during excavation/processing. Archaeologists are trained to produce an in-depth three-dimensional paper and digital archive of the relationships between different objects and bodies in the ground as they excavate. Archaeologists are also experts at ensuring that all buried items and bodies/body parts are fully recovered. They are trained to interpret buried objects and their position in relation to other human-made (e.g. trench for a drain) or natural features (tree roots). Using this information they can build a picture of the sequence in which different objects were buried.

Anthropology focuses on the body, and in burial contexts this usually means the skeleton. It is possible to learn a huge amount about a person from their skeleton, such as their sex, the age they were when they died, their height, ancestry, and their health. New biomolecular research is also providing information on diet and migration. Techniques for determining the cause of death of an individual are also being improved through research. Additionally, anthropologists can help to estimate the amount of time that has passed since the individual died (known as the Post-Mortem Interval) by analysing the amount of decomposition.

The use of archaeologists and anthropologists to investigate forensic cases started in South America as early as the 1980's. Here they worked alongside other experts to investigate the 'disappeared' in countries such as Argentina and Chile. This work continues today. During the late 1990's archaeologists and anthropologists were also employed on a much larger scale to help investigate mass graves from the conflict in the Balkans. Here, they worked alongside police and other forensic experts to excavate victims of the conflict. The recovered bodies were analysed for evidence of war crimes as well as to establish the identity of the deceased.

Today, forensic anthropologists and archaeologists work on a range of contexts, including: natural disasters, aeroplane crashes, the location and excavation of mass graves from post-conflict countries, missing persons cases, the recovery and identification of unidentified bodies.

## ლიტერატურა:


1. დურჰამისა და თისაიდის უნივერსიტეტების სალექციო კურსი. 2020

2. Ajmal M, Mody B and Kumar G. Age estimation using three established methods. Forensic Science International 3: 150-154 2001

3. Alyson W, Stanley S, Dilan S, Rachel B, Xanthé M.Evaluating the utility of time-lapse imaging in the estimation of post-mortem interval: An Australian case study. Forensic Science International: Synergy. Volume 1, Pages 204-210. 2019

4. Bohnert M, Rost T, Pollak S. The degree of destruction of human bodies in relation to the duration of the fire. Forensic Science International. Volume 95, Issue 1, 1998, Pages 11-21. 1998

5. Commingled Remains. Journal of Forensic Anthropology, Vol 2, No 2 (2019). 61-142. University of Florida Press. 2019

6. Policy on Migration. Federation of Red Cross and Red Crescent Societies. 2009

7. Phillip L. Walker. Greater Sciatic Notch Morphology: Sex, Age, and Population Differences. AMERICAN JOURNAL OF PHYSICAL ANTHROPOLOGY 127: 385–391 2005

8. Rosenblatt A. The Danger of a single story about forensic humanitarianism. Journal of Forensic and Legal Medicine. Volume 61, Pages 75-77.

9. Standard for Stature Estimation in Forensic Anthropology. This document is copyrighted © by the AAFS Standards Board, LLC. 2019 All rights are reserved. 410 North 21st Street, Colorado Springs, CO 80904, www.asbstandardsboard.org.

10. The Role of the Human Osteologist in an Archaeological Fieldwork Project. Historic England 2018. Swindon, 2018

11. Thompson T, Szigeti J, Gowland R, Witcher R. Death on the frontier: military cremation practices in the north of Roman Britain. 2016

12. Willmott H,Townend P, Mahoney Swales D, Poinar H. A Black Death mass grave at Thornton Abbey: the discovery and examination of a fourteenth-century rural catastrophe. Antiquity. Volume 94, Issue 373. page 179-196. Cambridge 2020

# Archaeological Maps of Bronze - Early Iron Age Sites of Different Categories in Colchis (settlement-sites, cemeteries, bronze manufacturing workshops)

*Leri Djibladze*

In Colchis Bronze - Early Iron age settlement-sites, cemeteries and manufacturing workshops of Bronze-Early Iron age have been revealed in many places. Data about the sites of the categories in question is scattered in scholarly literature of different times. However, there exist archaeological maps of Bronze- Early Iron age of whole Colchis, as well as of separate regions published in different periods.

It is notable that our aim is not to interpret separate sites, neither in chronological or typological terms. Our objective was to put the archaeological sites of certain categories together, provide their complete list and distribution maps; to mark the data about them on schematic maps with more or less accuracy; provide a relatively complete list. We understand that the article is flawed, specifically, GPS coordinates are only given to the sites known from scholarly literature or to those we have directly dealt with. As far as other sites are concerned, in the future it is desirable to conceive a special project, raise funds, go round the whole territory of western Georgia and take GPS coordinates of the accessible sites (indeed, excluding Abkhazeti because of the political situation). It would be absolutely necessary and urgent matter.

In order to avoid overloading, the present article also provides the reference in which sites of different categories are gathered. The article has another function as well: by the sites of mentioned categories we would like to show the demographic situation in Colchis in various periods. The number marked on the map indicating the location and name of the site provides very general information.

# ზარზმის მონასტრის დაარსების თარიღისთვის
## (ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების გათვალისწინებით)

*არის თუ არა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებასა" და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" ნახსენები მიქელ პარეხელი ერთი და იგივე პიროვნება?*

*არის თუ არა ბასილი ზარზმელისა და გიორგი მერჩულეს ნაწარმოებებში ნახსენები გიორგი მაწყვერელი ერთი და იგივე პიროვნება?*

*ზარზმაში აშენებულ 3 ტაძარს შორის, რომლის მდებარეობაა მსგავსი იმ ადგილის აღწერილობის, სადაც სერაპიონმა და მისმა თანმხლებმა ბერებმა პირველად დაიბანაკეს და ხატის დასასვენებლად "მცირე ტალავარი" გამართეს?*

*მაშ ასე, გთავაზობთ არქეოლოგ რევაზ კვირკვაის თვალსაზრისს ზარზმის მონასტრის დაარსების თარიღთან დაკავშირებით.*

ერთადერთი წერილობითი წყარო, რომელიც ზარზმის მონასტრის დაარსების შესახებ მოგვითხრობს არის ბასილი ზარზმელის თხზულება „ცხოვრებაი და მოქალაქეობაი ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი", ანუ როგორც შემოკლებით უწოდებენ, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება." გარდა იმისა, რომ ის დიდებული ლიტერატურული







ნაწარმოებია, ძვირფასია როგორც საისტორიო წყარო, რომელიც ბევრ უმნიშვნელოვანეს ცნობას შეიცავს ნაწარმოებში აღწერილი ეპოქის შესახებ და ამ თვალსაზრისით აგიოგრაფიულ ძეგლთა შორის მხოლოდ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას" თუ ჩამოუარდება. ცნობები ეხება იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ-საგანმანათლებო და საეკლესიო ცხოვრების მრავალ ასპექტს. ამასთან მას ერთი მნიშვნელოვანი „ნაკლიც" აქვს: სხვა აგიოგრაფიულ თხზულებათაგან („შუშანიკის წამება", „აბო ტფილელის წამება", „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" და სხვ.) განსხვავებით იქ არ მოიპოვება ისეთი უტყუარი მინიშნება, რომელიც საშუალებას მოგვცემს ზუსტად ან თუნდაც მიახლოებით განვსაზღვროთ ნაწარმოების დაწერისა და მასში აღწერილი მოვლენების თარიღი.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" XX ს-ის დასაწყისში საეკლესიო ფონდის ხელნაწერებზე მუშაობისას მოსე ჯანაშვილმა აღმოაჩინა და მანვე გამოაქვეყნა [ჯანაშვილი 1909]. თუმცა, მის მიერ აღმოჩენილი, ჯერჯერობით ერთადერთი ხელნაწერი არის არა ორიგინალი, არამედ XVII საუკუნეში გადაწერილი მეტაფრაზული ვარიანტი[1]. ნაწარმოებში მოთხრობილია კლარჯეთიდან მოსული ბერის სერაპიონისა და მისი თანმხლები ხუთი სასულიერო პირის მიერ ზარზმაში მონასტრის დაარსებისა და სამონასტრო ცხოვრების დაწყების ისტორია.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებას" მეტ-ნაკლებად საქართველოს ადრეული შუა საუკუნეების

1 ხელნაწერი დაცულია საქართველოს ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში (ფონდი № 69).



ისტორიისა და ლიტერატურის ყველა ცნობილი მკვლევარი შეეხო. თუმცა, თარიღის საკითხი დღემდე გადაუჭრელია. ზოგი მეცნიერი მიიჩნევდა და მიიჩნევს, რომ ნაწარმოებში აღწერილი ამბები VI ს-ის მეორე ნახევარში და VII ს-ის დასაწყისში ხდებოდა, თხზულება კი VII ს-ის მეორე ნახევარში უნდა ყოფილიყო დაწერილი, ხოლო სხვები თვლიდნენ და თვლიან, რომ იქ აღწერილი ამბები IX ს-ს მერე ნახევარში მოხდა, ნაწარმოები კი X ს-ის პირველ ნახევარში დაიწერა. ამგვარი დასკვნების გამოტანისას მკვლევარები რამდენიმე გარემოებას ეყრდნობიან: 1. ნაწარმოებში მოხსენიებულ პიროვნებებს (შიო საკვირველმოქმედი, მიქელ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი, გიორგი ჩორჩანელი, მირიან ბაჰლაუნდი და მისი ვაჟები, ზარზმის მამასახლისი პავლე და სხვ.); 2. ნაწარმოებში აღწერილ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ვითარებას; 3. ნაწარმოებში ნახსენებ მონასტერთა (ოპიზა, პარეხი) ისტორიას; 4. ონომასტიკონსა და სხვ. მაგრამ არც აქაა ყველაფერი ნათლად გარკვეული: მაგ., არც ერთი ზემოჩამითვლილი პიროვნების (გარდა „შიო საკვირველმოქმედისა”), ზუსტი იდენიფიცირება ვერ ხერხდება და შესაბამისად ვერც მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დროის დადგენა.

ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი, რომელსაც ეყრდნობიან ნაწარმოების ადრეულობის მომხრე მკვლევარები, არის ის, რომ სერაპიონ ზარზმელის მოძღვარი მიქაელ პარეხელი რომლის დავალებითაც იგი სამცხეში სამოღვაწეოდ გამოემგზავრა, ყოფილა მოწაფე და სულიერი შვილი „შიო საკვირველმოქმედისა“, რომელიც „ვითარცა მთიები განთიადისაი ბრწყინავდა ქვეყანასა

ქართლისასა". ამ შიოში კი ისინი საქართველოში სამონასტრო ცხოვრების დამამკვიდრებელ ერთ-ერთ ასურელ მამას, შიო მღვიმელს მოიაზრებენ რადგან სხვა შიოს, რომელსაც ისეთი სახელი და დმასახურება ჰქონდა, რომ „ვითარცა მთიები განთიადისაი ბრწყინავდა ქვეყანასა ქართლისასა" საქართველოს ისტორია არ იცნობს.

მ. ჯანაშვილს ნაწარმოების დაწერის და მასში აღწერილი ამბების დრო ზუსტად არ განუსაზღვრავს, მაგრამ ჩათვალა, რომ ის VII ს. უნდა შექმნილიყო, ვინაიდან შიო მღვიმელი VI ს. მოღვაწეობდა, ხოლო თხზულების ავტორი, სერაპიონის ძმისწული, ბასილი ზარზმელი მონასტრის მეხუთე წინამძღვარი ყოფილა თავად სერაპიონის, გიორგის, მიქაელისა და პავლეს შემდეგ. სერაპიონს მ. ჯანაშვილი არჩილ მეფის (668-718 წწ.) თანამედროვედ, ხოლო ბასილი ზარზმელს VIII ს-ის მეორე მეოთხედის მოღვაწედ მიიჩნევდა [ჯანაშვილი 1909, LI]

ნაწარმოების ადრეულობის მომხრე იყო პავლე ინგოროყვაც. მისთვისაც ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ სერეპიონ ზარზმელის მოძღვარი, მიქაელ პარხელი არის „შიო საკვირველმოქმედის" ანუ შიო მღვიმელის მოწაფე, რომლის მოღვაწეობა 510-520 წწ. იწყება [ინგოროყვა 1954, 326].

ამ არგუმენტს დამაჯერებლად მიიჩნევდენენ და ნაწარმოებს VII ს-ით ათარიღებდნენ ს. კაკაბაძე [კაკაბაძე 1924, 54] და მ. პეეტერსიც [კეკელიძე 1926, 277-278].







ნაწარმოებში მოხსენიებულ „შიო საკვირმელმოქმედს" შიო მღვიმელად მიიჩნევდა ა. ბოგვერაძეც. ის არ იზიარებდა კ. კეკელიძის მოსაზრებას, რომ სახელი „შიო" მეტაფრაზტის შეცდომაა და რომ ორიგინალში უნდა ყოფილიყო „გრიგოლ" ანუ გრიგოლ ხანძთელი. ა. ბოგვერაძის აზრით იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს მართალც ასეა, გაუგებარია გრიგოლ ხანძთელის მიმართ სიტყვა „საკვირველმოქმედის" გამოყენება, რადგან გიორგი მერჩულესთან მის მიმართ ეს სიტყვა არაა გამოყენებული. ქართული სასულიერო მწერლობა „საკვირველმოქმედად" იცნობს არა გრიგოლ ხანძთელს, არამედ შიო მღვიმელს. ამასთანავე, ნაწარმოების მიხედვით ის „ვითარცა მთიები განთიადისაი ბრწყინავდა ქუეყანასა ქართლისასა". გრიგოლ ხანძთელი კი მოღვაწეობდა არა ქართლში, არამედ ტაო-კლარჯეთში[2] [ბოგვერაძე 1964, 50-51; 54-55].

ივ. ჯავახიშვილი თავის გამოკვლევაში, რომელიც ბასილი ზარზმელსა და მის თხზულებას ეხება, რატომღაც „შიო საკვირველმომედს" საერთოდ არ ახსენებს [ჯავახიშვილი 1977, 32-41].

კ. კეკელიძე თვლიდა, რომ ის ადგილი, სადაც „შიო საკვირველმოქმედზეა" ლაპარაკი, ეკუთვნის არა ბასილი ზარზმელს, არამედ მეტაფრაზტს, რომელსაც XI ს. ადრე არ უნდა ეცხოვრა [კეკელიძე 1980,147]. მისივე აზრით, ქარაგმით ნაწერი სიტყვა „გლისი" ან „გილსი" (გრიგოლი) შემდეგდროინდელი უმეცარი გადამწერის მიერ „შიოდ" გადაკეთდა [კეკელიძე 1962, 13-14].

ნაწარმოებში მოხსენიებული მეორე პიროვნება, რომლის მიხედვითაც მკვლევარები მის დათარიღებას ცდილობენ, არის „შიო საკვირველმოქმედის" მოწაფე მიქელ პარეხელი. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" მიხედვით ის ოპიზიდან მოსულა პარეხს[3] და დაუარსებია მონასტერი, რომელშიც მოგვიანებით სერაპიონი და მისი უმცროსი ძმა იოანეც მისულან და ბერად შემდგარან.

2 მიუხედავად იმისა, რიმ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" მიხედვით „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხ-ების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების", მასში მაინც არერთხელაა ნახსენები მისი ცალკეული მხარეები: კლარჯეთი, აფხაზეთი, სამცხე და ა.შ.

3 „პარეხი" მეგრულ-ჭანურ ენაზე კლდოვან, ქვაღორღიან ადგილს ნიშნავს. ამ სიტყვას იცნობს ძვ. სომხური ენაც, რომლისთვისაც მეგრულ-ჭანური სიტყვები უცხო არ არის. „პარეხიც" ალბათ ძვ. სომხურში არსებული „ზა-ნიზმების" ერთ-ერთი მაგალითია.

სწორედ მიქელის დავალებით წამოვიდნენ ისინი სამცხეში ახალი მონასტრის დასაარსებლად. მიქელ პარეხელის სიკვდილის შემდეგ მოწაფეებს მისი ცხოვრება აღუწერიათ, რომლითაც ბასილი ზარზმელს თავისი თხზულების შექმნისას უსარგებლია.

მიქელ პარეხელი ნახსენებია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც". ის წარმოშობით შავშეთიდან, სოფელ ნორგიალიდან ყოფილა, ბერად მინძაძოროში აღკვეცილა და „დიდ მეუდაბნოედ" ქმნილა. მას შემდეგ, რაც „ხანძთა სახელოვან იქმნა", მინძაოროდან ხანძთას, თავის მეგობართან, გრიგოლ ხანძთელთან მოსულა და ვინაიდან „ეძიებდა მარტოდმყოფებასა", ბერთას პარეხში დამკვიდრებულა [გიორგი მერჩულე 1987, 641-642].

არის თუ არა ამ ორ ნაწარმოებში ნახსენები მიქელ პარეხელი ერთი და იგივე პიროვნება? ამის შესახებაც აზრთა სხვადასხვაობაა. პ. ინგოროყვას აზრით, ბასილი ზარზმელისა და გიორგი მერჩულეს თხზულებაში ნახსენები მიქაელ პარეხელი სხვადასხვა დროს მოღვაწე სხვადასხვა პიროვნებები იყვნენ და ამის საბუთად შემდეგ გარემოებებს ასახელებს: 1.ბასილი ზარზმელის მიქაელ პარეხელი „შიო საკვირველმოქმედის" მოწაფეა, ეს უკანასკნელი კი ქართლში მოღვაწეობდა და ალბათ მიქელიც სამხრეთ საქართველოში ქართლიდან უნდა მისულიყო. გიორგი მერჩულეს მიქელი კი შავშელია, თავდაპირველად მინძაძოროში მოღვაწეობდა, საიდანაც ჯერ ხანძთას მივიდა, ხოლო შემდეგ ბერთას პარეხში დაემკვიდრა; 2. ბასილი ზარზმელის მიქელ პარეხელს მრავალრიცხოვანი მოწაფეები ჰყოლია, ხოლო გიორგი მერჩულეს მიქელი განდეგილი ბერია. 3. ბასილი ზარზმელის მიხედვით პარეხი დიდი და მნიშვნელოვანი მონასტერია, გიორგი მერჩულეს მიხედვით კი პატარა და ნაკლებად მნიშვნელოვანი.[4]

„შიო საკვირველმოქმედი" ანუ შიო მღვიმელი VI საუკუნეში მოღვაწეობდა. ვახტანგ გორგასლის მემატიანის (ჯუანშერის) მიხედვით, „ერისთავმან არტავაზ კლარჯეთისა ქუეყანასა აღაშენა ციხე არტანუჯისა და მონასტერი, რომელი არს ოპიზისა", რაც V ს. მეორე ნახევარში უნდა მომხდარიყო. აქედან გამომდინარე, მიქელ პარეხელის ჯერ ოპიზაში და შემდეგ პაეხში მოღვაწეობა VI ს-ის მეორე ნახევრით უნდა იფარგლებოდეს [ინგოროყვა 954, 325-338]. ნაწარმოების ადრეულობაზე პ. ინგოროყვას აზრით ისიც მეტყველებს, რომ მასში არც გრიგოლ ხანძთელია ნახსენები და არც საქართველოს მეფეები. ამიტომ მკვლევარი დაასკვნის, რომ ბასილი ზარზმლის თხზულება მეფობის ინსტიტუტის აღდგენის უწინარს ხანას უნდა ეკუთვნოდეს [ინგოროყვა 954, 339].

ა. ბოგვერაძე იზიარებს პ. ინგოროყვას ამ არგუმენტებს. მისი აზრით იმ შემთხვევაშიც თუ სახელი „შიო" გადამწერის მიერ შეცდომით მოხვდა ხელნაწერში, ასევე შეცდომით ვერ მოხვდებოდა სიტყვა „საკვირველმოქმედიც", რომლითაც ქართული აგიოგრაფია იცნობს შიო მღვიმელს და არა გრიგოლ ხანძთელს. ასევე ძნელად წარმოსადგენად მიაჩნია ა. ბოგვერაძეს, რომ მიქელ პარეხელის ცხოვრება მის მოწაფეებს უფრო ადრე დაეწერათ, ვიდრე მისი მოძღვრის, გრიგოლ ხანძთელისა [ბოგვერაძე 1964, 55]. თუმცა, აქ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არგუმენტი

4 ნ. მარმა შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობისას, ოპიზის ზევით, ბერთას მახლობლად ნახა კლდეში ამოშენებული გამოქვაბული, პატარა ეკლესია, მავზოლეუმი და ორი მოზრდილი ტაძრი. ალბათ სწორედ ეს უნდა ყოფილიყო „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" ნახსენები პარეხის მონასტერი [ბოგვერაძე 1964, 54]. სხვადასხვა დროს პარეხში იმყოფებოდნენ: ვ. ჯობაძე, დ. ხოშტარია, გ. კალანდია და სხვა მკვლეარები, რომლებმაც ბევრი საინტ-ერესო მასალა შეგროვეს.

მთლად დამაჯერებელი არაა, რადგან გიორგი მერჩულე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მან გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერას მხოლოდ მას შემდეგ მოჰკიდა ხელი, როდესაც ამ სოფლიდან გავიდნენ მიქაელ პარეხელი, მტბევარი და გიორგი მაწყვერელი, ის ადამიანები რომელთაც მასზე უკეთ შეეძლოთ ამ საქმის აღსრულება. ამდენად, სრულიად შესაძლებელია, რომ მიქაელ პარეხელის ცხოვრება უფრო ადრე შექმნილიყო, ვიდრე გიორგი მერჩულე თავის თხზულებას განასრულებდა.

სხვადასხვა პიროვნებად თვლის ბასილი აზრზმელისა და გიორგი მერჩულის თზულებებში ნახსენებ მიქელ პარეხელს მ. ჯანაშვილიც [ჯანაშვილი 1909, LV].

ივ. ჯავახიშვილი, რომელიც „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებას" ძირითადად „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებით" ათარიღებდა, ამ ორ ნაწარმოებში ნახსენებ მიქელ პარეხელს ერთ პიროვნებად თვლიდა და მ. ჯანაშვილის შეხედულება მცდარად მიაჩნდა. მისი აზრით, ამ ორმა ავტორმა დაახლოებით ერთ პერიოდში, X ს-ის შუა წლებში დაასრულა საკუთარი თზულებების წერა [ჯავახიშვილი 1977, 140-141].

კ. კეკელიძემ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა პ. ინგოროყვას მოსაზრება ორი მიქელ პარეხელის არსებობის შესახებ და მის მიერ მოტანილი არც ერთი არგუმენტი სარწმუნოდ არ მიიჩნია. დამაჯერებლად არ მიიჩნევდა იმ აზრს, რომ მიქელ პარეხელი უსათუოდ ქართლელი უნდა ყოფილიყო იმ შემთხვევაშიც კი თუ მართლა იყო შიო მღვიმელის მოწაფე. მისი აზრით არც ის შეეფერება სიმართლეს, რომ მიქელ პარეხელს მოწაფეები არ ჰყავდა, რადგან „გრიგოლ



ხანძთელის ცხოვრებიდან" ჩანს, რომ მას მოწაფეც ჰყოლია და პარეხიც არ ყოფილა მხოლოდ დაყუდებული ბერის სამყოფელი [კეკელიძე 1980].

მ. ლორთქიფანიძე საგანგებოდ არ განიხილავს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" დათარიღების საკითხს, მაგრამ ჩანს, რომ ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის კვალდაკვალ ნაწარმოებს ისიც X ს-ში დაწერილად მიიჩნევს [ლორთქიფანიძე 1966, 71-81].

კამათს იწვევს საკითხი იმის შესახებაც, არის თუ არა ბასილი ზარზმელისა და გიორგი მერჩულეს ნაწარმოებებში ნახსენები გიორგი მაწყვერელი (რომლისგანაც ბასილი ზარზმელამა შეკრიბა ცნობები თავისი თხზულებისათვის) ერთი და იგივე პიროვნება? ივ. ჯავახიშვილი ცალსახად თვლის, რომ ეს ასეა. სწორედ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" გიორგი მაწყვერელის შესახებ დაცული ცნობებით ათარიღებს ის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებას". მისი აზრით, ვინაიდან გიორგი მერჩულემ თავისი ნაწარომები 951 წ. დაასრულა, ხოლო ამ დროს გიორგი მაწყვერელი უკვე გარდაცვლილი ყოფილა, თავისთავდ ცხადია, რომ ბასილი ზარზმელს სერაპიონის შესახებ ცნობების შეკრება 951 წ. ადრე უნდა დაეწყო, ხოლო ეს ორი ნაწარმოები მათ ავტორებს დაახლოებით ერთ დროს უნდა დაესრულებინათ [ჯავახიშვილი 1977, 132-133]. ერთ პიროვნებად თვლის ბასილი ზრამელისა და გიორგი მერჩულეს მერ მოხსენიებულ გიორგი მაწყვერელს კ. კეკელიძეც [კეკელიძე 1980, 148-149].

ა. ბოგვერაძე სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე, არ გამორიცხავს, რომ ბასილი ზარზმელისა და გიორგი მერჩულეს მიერ ნახსენები გიორგი მაწყვერელი სხვადასხვა პიროვნება ყოფილიყო [ბოგვერაძე 1964, 55].

კიდევ ერთი პიროვნება, რომელიც „სერეპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" ფიგურირებს და რომლის საშუალებითაც მკვლევარები ნაწარმოების დათარიღებას ცდილობენ, არის ზარზმის მონასტრის რიგით მეოთხე წინამძღვარი და ბასილი ზარზმელის წინამორბედი პავლე (პავლე მამასახლისი). ეს სახელი გარდა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებისა", ნახსენებია ზარზმის ფერისცვალების ხატის წარწერაშიც,[5] რომელიც ამგვარად იკითხება: „სახელითა ღმრთისაითა შეიმოსა ხატი ესე მწედ მამისა[6] გიორგისა, ოვფალთა ფარსამან ერისთავისა, ივანესა, პა(ე)ტრიკისა მირიანისა ფერისა, სულაისა ერისა მათისა ქ. (ქრისტეს მიერ) მამასახლისობასა პავლესა. ქორონიკონი იყო რვ". წარწერა პირველად წაიკითხა ექ. თაყაიშვილმა. მისი აზრით ვინაიდან „ქორონიკონით რვ"-ს, ანუ 886 წელს ზარზმის წინამძღვარი (მამასახლისი) ყოფილა პავლე, რომელიც ბასილი ზარზმელის თხზულების მიხედვით მონასტრის რიგით მეოთხე წინამძღვარია, სერაპიონიც და მისი მომდევნი სამი წინამძღვარი (გიორგი, მიქელი და პავლე) IX საუკუნის მოღვაწენი ყოფილან (სერაპიონი პირველ ნახევარის, ხოლო დანარჩენები მეორე ნახევარის) მეხუთე წინამძღვარი ბასილი კი ალბათ უფრო X ს-ის პირველ ნახევარში მოღვაწობდა და თავისი სხელოვანი ბიძის ცხოვრებაც ამავე პერიოდში დაწერა.

---

5 ხატზე ორი წარწერაა: IX ს. წარწერის პირი, რომელშიც ნახსენებია პავლე მამასახლისი და XI ს. წარწერა, რომელიც გვამცნობს ზვიად ერისთავის მიერ ხატის ხელახლად შემკობას. ორივე წარწერა შესრულებულია XI ს. ხელით [ვაჩნაძე 1975, 9]. ხატი დაცულია საქ. ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმში.

6 ეს სიტყვა ხატზე ქარაგმითაა გადმოცემული. ექ. თაყაიშვილი მას კითხულობს არა როგორ „მამისა", არამედ როგორც „მაწყუერელისა".

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" ერთ-ერთი პერსონაჟია მირიან ბაჰლაუნდი. დიდგვაროვანი ფეოდალი მირეანი ნახსენებია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც". იმაში, რომ ეს ორი მირიანი სხვადასხვა პიროვნებაა, ეჭვის შეტანა შეუძლებელია. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" ნახსენები მირიანი დიდი მთავრის გიორგი ჩორჩანელის სიძეა. მასა და მის მეუღლეს ლატავრს (გიორგი ჩორჩანელის დას) სამი ვაჟი ჰყავდათ: ბეშქენ, სულა და ლაკლაკი. სწორედ ისინი გახდნენ უშვილოდ გადაგებული გიორგი ჩორჩანელის მემკვიდრენი და საფუძველი დაუდეს მირიანისძეთა ანუ ბ(ფ)აჰლაუნდების (ფალავანდიშვილების ?) დიდ ფეოდალურ საგვარეულოს სამცხეში. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" ნახსენებ მირეანს და მის მეუღლეს კრავას ასევე სამი ვაჟი ჰყავდათ. მათგან უმცროსი ბავშვობიდანვე მონასტერში იზრდებოდა და შემდეგ დიდი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე შეიქნა – არსენ კათალიკოსი. როგორც ავღნიშნეთ, ის რომ ეს ორი მირიანი სხვადასხვა პიროვნებაა ეჭვს არ იწვევს. გასარკვევი მხოლოდ ისაა, ცხოვრობდნენ თუ არა ისინი ერთსა და იმავე დროს, - გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში? პ. ინგოროყვას აზრით მირიან II მირიან I-ის უშუალო შთამომავალი (შვილიშვილი ან შვილთაშვილი? - რ.კ.) უნდა ყოფილიყო [ინგოროყვა 1954, 336-337].

a. ბოგვერაძე ნაწარმოების ადრეულობის დასტურად მიიჩნევს ცნობას იმის შესახებ, რომ

სერაპიონსა და მის თანამოსაგრეებს პირველი ტაძრის მშენებლობა რიყის ქვებით დაუწყიათ, რაც მისი აზრით, ქართული ხუროთმოძღვრების აყვავების ხანას არ შეესაბამება. მაშინ, როდესაც კლარჯეთი მოფენილი იყო დიდებული ტაძრებით, არ შეიძლებოდა მეზობელ სამცხეში დიდი მთავრის ხელშეწყობით პატარა ტაძრები ეშენებინათ და ისიც „უშუერი ქვით". მკვლევარის აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ მაშინ ქვეყანა საზოგადოებრივი წყობის იმ საფეხურზე იმყოფებოდა, როდესაც ეკლესიათა მშენებლობისთვის დიდი მატერიალური სახსრების გაღება არ შეეძლო [ბოგვერაძე 1964, 62]. ნ. ვაჩნაძე არ იზიარებს ამ მოსაზრებას და თვლის, რომ ბასილი ზარზმელის თხზულებაში აღწერილია ეკლესია-მონასტრების საკმაოდ ინტენსიური მშენებლობის სურათი, რომელიც სავსებით შეესაბამება IX-X სს-ს ვითარებას. კერძოდ აღწერილია, არა მხოლოდ ტაძრების, არამედ დამხმარე ნაგებობათა მშენებლობა: „ხოლო შემდგომად სამისა წლისა, სრულ იქმნა ეკლესიაი და შეიმკო სრულითა განგებითა რომელი შეჰგვანდა ჟამსა მას. აღმართეს მას შინა ცხოველსმყოფელი ხატი ფერისცვალებისა და ამისა შემდგომად სენაკებიცა იშენეს ძმათა" [ვაჩნაძე 1975. 46-48]. ყველა ეპოქაში შენდებოდა, როგორც დიდი, ისე პატარა ტაძრები. სერაპიონ ზარზმელი და მისი თანმხლები ბერები ალბათ ეშურებოდნენ, რომ რაც შეიძლება სწრაფად აშენებულიყო ტაძარი, რათა წირვა-ლოცვა ჩაეტარებინათ და მონასტერს სრულფასოვანი ფუნქციონირება დაეწყო. სულ ცოტა ხანში, მონასტრის მესამე წინამძღვრის მიქელის დროს კი ახალი ტაძარის მშენებლობაც დაიწყო, მაგრამ არა იქ, სადაც პირველი ტაძრი აშენდა, არამედ მაღლობზე, სადაც სერაპიონს თავიდანვე სურდა, რომ ტაძარი აგებულიყო.

ნაწარმეობის ადრეულობის არგუმენტად ისიც მოაქვთ, რომ მასში არაფერია ნათქვამი არაბობაზე, არც საქართველოს მეფეებია ნახსენები და არც გრიგოლ ხანძელი [ინგოროყვა 954, 339]. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ მხრივ სხვა აგიოგრაფიული ძეგლებიც „სცოდავენ". მაგ. „შუშანიკის წამებაში" ნახსენები არაა ვახტანგ გორგასალი, თუმცა, ნაწარმოები შექმნილია მისი მეფობის დროს. არც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშია" არაფერი ნათქვამი

სერაპიონ ზარზმელზე (თუკი ისინი თანამედროვენი იყვნენ), რასაც კ. კეკელიძე იმით ხსნის, რომ გიორგი მერჩულეს, როდესაც თავის ნაწარმოებს ქმნიდა, როგორც ჩანს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" არ ჰქონდა წაკითხული [კეკელიძე 1951. 130]. მკვლევარს იმის ერთ-ერთ არგუმენტად, რომ ნაწარმოები VII ს-ში ვერ შეიქმნებოდა ისიც მოაქვს, რომ ფერისცვალების ხატის (სწორედ ფერისცვალების ხატი ჩამოაბრძანეს კლარჯეთიდან სერაპიონმა და მისმა თანმხლებმა ბერებმა და პირველი ტაძარიც ფერისცვალების სახელზე აკურთხეს) თაყვანისცემა ბიზანტიის იმპერიაში იმპერატორ ლეონ ბრძენის დროს (886-912) დაიწყო და ვერც საქართველოში დაიწყებოდა უფრო ადრე [კეკელიძე 18980. 149].

ნ. ვაჩნაძე, რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება", სხვადასხვა ისტორიულ საბუთზე დაყრდნობი ასკვნის, რომ სახელიები „ბეშქენ" და „გარბანაელ" რომლებიც სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშია ნახსენები, XI ს-ზე ადრე არსად იხსენიება. VIII ს-ზე ადრე არაა დადასტურებული „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" ნახსენები სახელები „ამასპო" (ამაზასპ) და „ქურდია", რაც მკვლვარის აზრით ასევე ნაწარმოების გვიანდელობას ადასტურებს [ვაჩნაძე 1975 , 103-107]. თუმცა, ჩვენი აზრით ის რომ ეს სახელები გარკვეულ დრომდე წერილობით წყაროებში არ დასტურდება, სულაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ მანმადე არავის ერქვა.

გარდა ამისა, ნ. ვაჩნაძე დაწვრილებით განიხილავს ბასილი ზარზმელის თხზულებაში მოცემულ ცნობებს, რომლებიც იმდროინდელი საქართველოს სოცილურ-ეკონომიკურ ვითარებას ასახავს. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ იქ სიტყვა „მამული" აღნიშნავს ფეოდალის (გიორგი ჩორჩანელის) საკუთრებაში მყოფ ტერიტორიას, მის პირად სამფლობელოს და არა სამშობლოს, როგორც ეს გვხვდება VIII ს-მდე შექმნილ ორიგინალურ ნაწარმოებებსა და თარგმანებში [ვაჩნაძე 1975 , 54-55]. „მამული" კერძო სამფლობელოს მნიშვნელობით მხოლოდ IX-X სს-დან გვხვდება. ნ. ვაჩნაძე დაწვრილებით განიხილავს ბასილი ზარზმელის თხზულებში ნახსენებ სიცილაური ფენების აღმნიშვნელ ტერმინებს („დიდი მთავარი", „მთავარი", „წინაშემდგომელი", „საკუთარი", „ქუეყნის-მოქმედი", „ყრმა", „გლახაკი") და ასკვნის, რომ ეს სოცილური ფენები იმ დროს შეესაბამება, „როცა მთავრდება ადრეფეოდალური ხანა და იქმნება საჭირო სოციალურ-ეკონომიკური პირობები განვითარებული ანუ მომწიფებული ფეოდალური ხანისათვის" [ვაჩნაძე 1975 , 65-73].

XIV ს-ის დასწყისში ბექა მანდატურთუხუცესის (ჯაყელის) დროს ზარზმაში აშენდა დიდებული ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი – ქართული საკულტო არქიტექტურის ერთ-ერთი ბრწყინვალე ძეგლი, სადაც XVII ს-მდე, ანუ ოსმალეთის იმპერიის მიერ სამცხის სრულ ანექსიამდე, ფუნქციონირებდა მამათა მონასტერი, რომელიც იმავდროულად მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერაც იყო. ეს სამონასტრო კომპლექსი კარგადაა შესწავლილი მრავალი თვალსაზრისით: მისი არქიტექტურა შესწავლეს ექ. თაყაიშვილმა, გ. ჩუბინაშვიმა, ვ. ბერიძემ [თაყაიშვილი 1920; Чубинашвили 1959; ბერიძე 1955]. ლაპიდარული წარწერები ექ. თაყაიშვილმა და ვ. სილოგავამ [თაყაიშვილი 1920: სილოგავა: 2007, 99-117]. ზარზმის მონასტრერში დაცული ჯავრ –ხატები და ხელოვნების სხვა ნიმუშები გ. ჩუბინაშვილმა, თ. სიხარულიძემ და სხვებმა [Чубинашвили 1959; საყვარელიძემ, ალიბეგაშვილმა 1984], ზარზმასთან დაკავშირებული ონომასტიკონი ნ. ვაჩნაძემ

[ვაჩნაძე, 1975 და მ. ბერიძემ; ბერიძე, 2007, 35-68].

ზარზმის მონასტრის დაარსების თარიღი კი დღემდე არაა საბოლოოდ გარკვეული. როგორც ვანხეთ, ორივე მხარეს აქვს საკმაო არგუმენტები თავისი მოსაზრების სასარგებლოდ და კონტრარგუმენტები საწინააღმდეგო მოსაზრების გასაბათილებად. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიურ კვლევას. საკითხს, რომლის გადაჭრის საშუალებასაც წერილობითი წყაროები არ იძლევა, შესაძლოა არქეოლოგიური მასლის დახმარებით მოეფინოს შუქი.

2019 წლამდე ზარზმა არქეოლოგიურად სრულიად შეუსწავლელი იყო. ამ წელს კი პირველად ჩატარდა მცირემასშტაბიანი გათხრები. ტაძრის მახლობლად, 50-100 მ-ის მოშორებით, ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობისას, აღმოჩნდა მიწური სათავსი და ქვევრი, რის გამოც აღნიშნულ ტრიტორიაზე, რომელიც 874 კვ.მ-ია, შეწყდა სამშენებლო სამუშაოები და ზარზმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჩაატარა არქეოლოგიური კვლევა[7].

გაითხარა ოთხი არქეოლოგიური ობიექტი: ნაგებობა № 1; ნაგებობა № 2; მიწური სათავსი და მარანი (ტაბ.1).

**ნაგებობა № 1** არის საკმაოდ დიდი შენობის ნაწილი, რომლის მხოლოდ ორი კედლის (აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი) საძირკველია გათხრილი. დასავლეთის კედელი არაა შემორჩენილი, სამხრეთის კედელი კი ისევე როგორც აღმოსავლეთ კედლის ნაწილი, ადგილობრივი მოსახლის საკარმიდამო ნაკვეთზე მდებარეობს (ტაბ.1-3; ფოტო 1).

აღმოსავლეთ კედლის სიგრძე 10 მ-ია; სიგანე სამხრეთ და შუა ნაწილში 0,7 მ; სიგანე ჩრ. ნაწილში 1,3 მ; შიდაპირის სიგანე 0,8 მ; სიმაღლე 0,2-0,3 სმ.

ჩრდილოეთის კედლის სიგრძე 8,55 მ-ია. სიგანე დასავლეთ ნაწილში 0,8 მ შუა და აღმოსავლეთ ნაწილში 1,3 მ შიდაპირის მაქსიმალური სიგანეა 1, 07 მ.

ჩრდილოეთის კედელი დასავლეთ მხარეს საგრძნობლად მომრგვალებულია. ოდნავ მომრგავალებულია ასევე აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლების კუთხეც.

ორივე კედელს შემორჩენილი აქვს საგანგებოდ შერჩეული, დიდი და ბრტყელი საპირე ქვები: ჩრ. მხარეს შემორჩენილია ხუთი (საერთო სიგრძე 4 მ), ხოლო აღმ. მხარეს სამი ქვა (საერთო სიგრძე 2,5 მ). ქვები ალაგ-ალაგ დაწითლებული და დამსკდარია. კედლის გასწვრივ რამდენიმე ადგილას დაფიქსირდა ნახშირის კვალიც, რაც იმის ნიშანია, რომ ნაგებობა ხანძრის შედეგადაა განადგურებული.

საძირკველი ნაგებია დუღაბის გარეშე, მშრალი წყობით. კუთხესთან დაფიქსირდა ორი ბრტყელი ქვა, რომლებიც შესაძლოა, იატაკის ფილები ყოფილიყო.

აღმოსავლეთის კედელი ადგილობრივი მოსახლის საკარმიდამო ნაკვეთში შედის და მისი სიგრძის განსაზღვრა ამჟამად შეუძლებელია. სავარაუდოდ, იქვეა ნაგებობის სამხრეთის

7 ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: რ. კვირკვაია (ხელმძღვანელი); ჯ. ჩოხელი (ასისტენტი); გ. თეზელაშვილი და ი. ესვანჯია (მხატვარ-არქიტექტორები).

კედელიც. შეუძლებელია ნაგებობის ფართობის დადგენაც, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ის საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ გამოვლენილი ნაწილი დაახლოებით 85 კვ.მ-ია. ჩრდილოეთის კედელთან დაფიქსირდა ბრტყელი, ქიმიანი კარამიტის ფრაგმენტები (ერთ-ერთ მათგანზე შეინიშნება წითელი საღებავის კვალი) და თიხის ჭურჭლის (მათ შორის მოჭიქულის) ფრაგმენტები.

**ნაგებობა №2** (ტაბ.1-4; ფოტო. 2) - შემორჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთისა ჩრდილოეთის კედლების საძირკვლის ნაწილი. დიდრონ საპირე ქვებს შორის ჩაყრილია მცირე ზომის ქვები. დუღაბის კვალი არ ჩანს.

ჩრდილოეთის კედლის სიგრძეა 18, 8 მ; სიგანე 1,20-1,35 მ-ია, აღმოსავლეთის კედელის მხოლოდ მცირე მონაკვეთია (2,3 მ) გათხრილი. ალბათ ისიც იმავე ნაკვეთში უნდა შედიოდეს. №1 და №2 ნაგებობების ჩრდილოეთი კედლები ერთმანეთთან ძალზე ახლოსაა, მათ შორის მინიმალური მანძილი 0,3 მ-ს უდრის ხოლო აღმოსავლეთი კედელი მიწური სათავსისა და მარნის დასავლეთის კედლებს ებჯინება.

**მიწური სათავსი** (ტაბ I- 2; ფოტო 3) არის საგანგებოდ შეჭრილ მიწაში ჩადგმული დიდრონი, თლილი ქვებით ნაგები ნაგებობა. გადახურული ყოფილა დიდი ზომის ქვის ოთხი ფილით, რომელთაგან ერთი აკლია. მათზე ჯერ წვრილი ქვები, ხოლო შემდეგ მიწა ეყარა. კარი აღმოსავლეთის მხრიდან ჰქონია (შემორჩენილია ურდულის ფოსო). ნაგებია მშრალი წყობით. ჩრდილოეთის კედელი გვაინდელი ზემოქმედების გამო ცუდადაა შემორჩენილი. ინტერიერში დასავლეთის კედელში დატანილია ნიში (49X46 სმ).

იატაკის დონეზე აღმოჩნდა ქვის სვეტის ფრაგმენტი, ქვა რომელზეც ჯვარია ამოტვიფრული და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

სათავსის სიმაღლე 1,70-1,73 მ-ია, ფართობი კი 16 კვ.მ.

**მარანი** (ტაბ I-1; ფოტო 4) №2 ნაგებობის აღმოსავლეთის კედლიდან დაშორებულია 5,8 მ მანძილზე, მისი ჩრდილეთ კედლის ნაწილი კი უშუალოდ ებჯინება მიწური სათავსის სახურავს.

მეტ-ნაკლებად შემორჩენილია მარნის ოთხივე კედლის წყობის თითო რიგი. კედლები ნაგები ყოფილა, როგორც დაუმუშავებელი (მაგრამ საგანგებოდ შერჩეული), ისე თლილი ქვებით. კედლიდან ჩამოშლილი ქვები დიდი რაოდენობით ეყარა აგრეთვე მარნის სანხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში.

კედლების ზომები: აღმ. კედელი: სიგრძე – 6,85 მ, სიგანე – 0,33 მ, სიმაღლე -0,94 მ; დას. კედელი: სიგრძე – 5,9 მ, სიგანე –0,2- 0,3 მ, სიმაღლე -0,3-0, 4 მ; სამხრ. კედელი: სიგრძე – 5,2 მ, სიგანე – 0,4-0,5 მ, სიმაღლე -0,5 მ; ჩრ. კედელი: სიგრძე – 5,4 მ, სიგანე – 0,2-0,3, სიმაღლე -0,33 მ.

მარნის ფართობი დაახლოებით 40 კვ.მ-ია. იატაკი მიწურია მისი ჩრდილოეთი ნაწილი სამხრეთთან შედარებით 0,27 მ-ით ამაღლებულია. ნაგებობის შუაში იდო ბრტყელი ქვა, რომელიც შესაძლოა, საყრდენი ბოძის „ბალიში" ყოფილიყო.

მარანში დაფიქსირდა მიწაში ჩაფლული შვიდი ქვევრი. ყველა მათგანი დამზადებულია ყავისფრად გამომწვარი თიხისგან და ძალიან კარგადაა შენახული. ყველა მათგანი თავდახურული იყო საგანგებიდ დამუშავებული ქვის სარქვლებით, რომელთა ქვედა მხარე ბრტყელია, ზედა კი ამობურცული. ქვედა მხარეს ყველა მათგანზე ამოტვიფრულია ჯვარი (ფოტო. 5), ოთხ-ოთხი ჯვარია ამოტვიფრული № 5 და № 6 ქვევრების პირზეც (ფოტო 6). ყველა ქვევრი სითხითაა სავსე, ყველა მათგანის ძირზე არის მოყვითალო ნალექი.[8] ოთხი ქვევრი (№ 1, 2, 3, 4) ჩაფლულია მარნის სამხრეთ (დაბალ) ნაწილში, ხოლო სამი (№ 5, 6, 7) ჩრდილოეთ (მაღალ) ნაწილში. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ნაწილში ჩაფლულ ქვევრებს უფრო ვიწრო პირი აქვს, ვიდრე ჩრდილოეთ ნაწილში ჩაფლულებს, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ისინი სხვადასხვა დროს ჩაეფლათ.

ქვევრების პირის დიამეტრი 0,34-დან 0,47 მ-მდე მერყეობს, სიღრმე 1,3-დან 1,56 მ-მდე, სარქვლის დიამეტრი 0,42-დან 0,49 მ-მდე.

There is an ossuary of Zakaria Mkhargrdzeli, Queen Tamar's Commander-in-Chief, and his family in the monastery. Notably, there are remains of other Georgian architectural monuments near Kobair Monastery that are totally inaccessible to visitors. The monastery itself is experiencing the process of destruction. The territory of the monastery has a number of Georgian inscriptions-epitaphs which mention members of the Mkhargrdzelis' house – Ivane, Shanshe and his brother Monk Pimen, Shalva, Varam, Tamar and her spouse Sula Gurkeneli. The inscriptions also mention Commander Jakeli's daughter Rusudan, the royal cellarman of the Mkhargrdzelis Ivane and his wife Khatuna, royal chancellor Mate and his wife Teona.

Georgian inscriptions of Kobair are encountered on various structures (major church, chapel, bell-tower-grave).

### *Hujabi – the Monastery of Iberia*

Hujabi – the monastery of Iberia is a monastic complex of the 13$^{th}$ century situated in Kvemo Kartli, near Village Akhkerpi of Marneuli Municipality (presently the territory controlled by Armenia). It is first mentioned in Georgian sources in 1721. Hujabi Monastery was abandoned after an invasion. In 1905 a Russian Orthodox convent was formed here which continued to exist until 1935. According to the account of Hegumenia Pavla, the abbess of the convent, in 1935 the nuns were banished from Hujabi Monastery for an unknown reason. They found shelter in Village Akhkerp and arranged a chapel in one of the dwellings. During the Soviet Union Hujabi Monastery was included in Georgia's borders. Georgian origin of the monument is attested by architectural peculiarities, as well as Georgian inscriptions of the church. The church is situated near the border between Georgia and Armenia. Territorial belonging became the subject of dispute when, in 2005, Armenian border-guards opened fire on the camera crew of television company 'Mze', who were shooting the views of Hujabi. There appeared articles in the media according to which the border guards illegally moved the border which caused Hujabi to end up under Armenian control.

By proportions, decorative ornamentation and stylistic features, Georgian monastery Iveria Virgin belongs to the group of architectural monuments of the turn of the 12$^{th}$ -13$^{th}$ centuries and the first half of eh 13$^{th}$ century (Betania, Kvatakhevi, Pitareti, Tsughrughasheni (former Gumbati), Akhtala, etc.). The church was built in the 12$^{th}$ century. The drum of the church is abundantly decorated. It is dressed in golden and wine-dark stone. The interior is painted and preserves fragments of Georgian *asomtavruli* (capital) inscriptions. There are also remains of other structures on the territory of the monastery.

A donor's inscription was erased from the wall of the church by Armenians in the 19$^{th}$ century. The problem of the border is a subject of dispute. Armenian state border is deliberately brought forward by 400 meters so that the monastery ends up on the Armenian territory.

Near the monastic complex, on the right bank of the Poladauri, where two gorges meet there is a village-site and a site of a former church, which is regarded to be Hujabi village-site. Nearby ran a transit road which carried local residents to Lore-Tashir via Mglis Kari Pass.

***Tinatin Mghvdliashvili***

## 2020 წელს, გროზნოში, მეჩეთის ნანგრევებში იპოვეს ქვა, ასომთავრული წარწერით – „ქრისტე“

„ჩეჩნეთში, ითუმ-კალის რაიონში, ბაულოის დასახლებაში, მეჩეთის ნანგრევების დათვალიერებისას, აღმოაჩინეს შუა საუკუნეების იშვიათი ძეგლი. არტეფაქტი ქვის ბლოკია, რომელზეც ამოტვიფრულია IX-XIII სს-ის ასომთავრულით შესრულებული, 24 ასოსგან შემდგარი ტექსტი, რომლის პირველი სიტყვაა ქრისტე“, არტეფაქტი უნიკალურია იმით, რომ თუ ამ დრომდე ნაპოვნი მსგავსი ძეგლები შეიცავდა რამდენიმე ნიშნისგან შემდგარ მოკლე ფრაზებს, ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს სრული ტექსტი.“ – წერს ჩეჩნეთის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ-თანამშრომელი აზამატ ახმაროვი.

არტეფაქტი გადატანილია გროზნოს არქეოლოგიის სამეცნიერო კვლევის ცენტრში.

ქართველი მეცნიერი მიხეილ ლაბაძე, რომელმაც პირველმა წაიკითხა ჩეჩნეთში აღმოჩენილი წარწერა, განმარტავს, რომ ქვაზე დატანილი ტექსტი არის ფრაგმენტული, შედგება სამი რიგისგან, წარწერის რიგები არ მიჰყვება ერთმანეთს.



# ცნობისათვის

*„წერია „ქრისტე სული მისი“ მერე წერია „ჴას“ (ხას) - „ხარი“-ს ძველი ქართული ფორმა. მერე წერია „მ“, მერე ქარაგმის ნიშანია, მერე „ა“ და ჩხიკი - ასეთი ფორმა იკითხება. აზრობრივად და ლოგიკურად არ არის გამართული ნაწერი, მაგრამ დაახლოებით 30 ასოსგან მაინც შედგება. ტექსტის გადარჩენილი ასოების რაოდენობა 21-მდეა და ყველაზე დიდია იმ წარწერებიდან, რაც ჩეჩნეთში არის ნაპოვნი, სავარაუდოდ, ეს შეიძლება იყოს საფლავის ქვა, იმიტომ რომ „ქრისტე“ და „სულია“ ნახსენები. დაქარაგმებული „ქრისტე“ - „ქ“ ქარაგმა „ე“ და „ს“ ქარაგმა და „ლი“ ანუ „ქრისტე სული მისი“, „მისი“ ჩვენ ვივარაუდეთ, რადგან ასო „მ“ არის შემორჩენილი და მერე ჩამოტეხილია ქვა. „მ“ ასო ნაცვალსახელ „მისის“ ნაშთი შეიძლება იყოს. აშკარაა, რომ ეს არის ვაინახურ ენაზე გაკეთებული წარწერა, რომლისთვისაც გამოყენებულია ქართული ანბანი. ადრეულ შუა საუკუნეებში ძლიერი კულტურული ასიმილაციის ნიადაგზე, არა მხოლოდ ვაინახები, არამედ სხვა ხალხები, ოსები, ინგუშები, იყენებდნენ ქართულ ასომთავრულ დამწერლობას და ეს თავისთავად სიახლე არ არის. მსგავსი არქეოლოგიური არტეფაქტები მრავლადაა მიკვლეული ამ ტერიტორიაზე.“ - განმარტავს მიხეილ ლაბაძე.*

ჩეჩნეთის სოფელი ბაულოი, სადაც ნაპოვნია ქვა, შატილიდან 20-30 კმ მანძილზე მდებარეობს.

**ცნობისათვის:** ქართველი მეცნიერის მიხეილ ლაბაძის აზრით, აღმოჩენა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ საბჭოთა ნარატივს, რომლის თანახმადაც ჩრდილოკავკასიური ენები უმწერლობო ენებად იყო გამოცხადებული საფუძველს აცლის.

**დასკვნა:** არქეოლოგიური აღმოჩენა, ცხადყოფს, რომ ჩრდილო-კავკასიის ხალხები ქართულ ანბანს იყენებდნენ.

# *In 2020, a stone with an asomtavruli (capital) inscription -'Christ' was found in Grozno*

"A rare medieval artifact was discovered in the settlement of Bauloi, in Itum Kale District, Chechnya, while examining the ruins of a mosque. It is a stone block with an engraved text of 24 characters whose first word is 'Christ'. It dates to the $9^{th}$ -$13^{th}$ centuries and is executed in *asomtavruli* (capital) script. The artifact is considered to be rare because similar kind of items found so far contained short phrases made up of several characters. In this case we are dealing with a complete text", says Azamat Akhmarov, scientific researcher of the Academy of Sciences of Chechnya.

The artifact has been transferred to the Grozny Center for Archaeological Scientific Research.

Georgian scholar Mikheil Labadze, who was the first to read the inscription discovered in Grozny, explains that the text carved on the stone is fragmented, has three rows and that the rows do not follow each other.

***"It reads 'Christ his soul, then it says 'khas'- an ancient Georgian form. Then 'm', followed by a diacritic mark, 'a' and chkhiki – it is how it reads. The inscription is not coherent in semantic and logical terms, but it consists of at least 30 characters. The number of the extant letters is 21 and it is the longest of the inscriptions found in Chechnya up to now. It is likely to be a tombstone because it mentions 'Christ' and 'soul'. We deciphered the words written with contractions and it became clear that it is an inscription made in Vainakh language using Georgian alphabet. Given strong cultural assimilation, as it has already been known, not only the Vainakhs, but other peoples like Osetians, Ingushs, etc. used Georgian asomtavruli script in early medieval period. A large number of similar archaeological artifacts have been discovered in this area", explains Mikheil LAbadze.***

The village of Bauloi of Chechnya, where the stone was discovered, is situated 20-30 kilometers from Shatili.

***For information:*** Georgian scientist Mikheil Labadze thinks that the discovery is also interesting from another point of view - it knocks the bottom out of the Soviet narrative, according to which Northern Caucasian languages were not written languages.

***Conclusion:*** The archaeological discovery confirms that Northern Caucasian peoples used Georgian script.

# რამინ რამიშვილი

## რამინ რამიშვილი და არქეოლოგია

რამინ რამიშვილი ერთ-ერთია იმ ქართველ მეცნიერთა შორის, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება არქეოლოგიას მიუძღვნა.



ის 1928 წელს დაიბადა თბილისში, ცნობილი ამპელოლოგის მაქსიმე რამიშვილის ოჯახში. 1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და იმავე წელს დაიწყო სწავლა ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების ასპირანტურაში. 1957 წელს ის უკვე ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი გახდა.

ბატონი რამინი ექვსი ათეული წლის განმავლობაში იკვლევდა საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებს. ჯერ კიდევ მეორე კურსზე, 1950 წელს მონაწილეობა მიიღო მონაწილეობა უჯარმის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, რომლის ხელმძღვანელიც ცნობილი არქეოლოგი გიორგი ლომთათიძე გახლდათ. უჯარმის შემდეგ იყო მცხეთა, ქვემო ქართლი, ენგურის ხეობა, ბიჭვინთა, იყალთო, მატანი, კვეტერის ხეობა, ბოლოს კი არაგვის ხეობა.

ცალკე სასაუბრო თემაა ბატონი რამინის ხელმძღვანელობით არაგვის აუზსა და მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან ზოლში ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური კვლევა-ძიება. მანამდე ეს რეგიონი თეთრი ლაქა იყო საქართველოს არქეოლოგიურ რუკაზე. ქართველ არქეოლოგებს შორის ბევრი არ არის ისეთი პიროვნება, რომელსაც ბატონი რამინის მსგავსად, ამდენი დრო მიეძღვნას ერთი კონკრეტული რეგიონის კვლევისთვის.

ჟინვალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით 1971 წელს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში შეიქმნა ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია. ახლად ჩამოყალიბებულ ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა ბატონი რამინი და მისი უცვლელი ხელმძღვანელი გახლდათ სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე. ექსპედიციის მთავარი მიზანი იყო ახალ მშენებლობისა და დატბორვის ზონაში მოქცეული ძეგლების შესწავლა. მიწის სამუშაოების გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა ექსპედიციის სამოქმედო არეალიც. მალე მან მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი მოიცვა. ექსპედიციამ გამოავლინა და არქეოლოგიურად შეისწავლა სხვადსხვა ეპოქის მრავალი არქეოლოგიური ძეგლი დაწყებული ძ.წ. VI ათასწლეულიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით.

ექსპედიციაში ჩამოყალიბდა რაზმი, რომლის მიზანიც იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების გამოვლენა და ფიქსაცია. საველე არქეოლოგიური სამუშაოების პარალელურად აღიწერა და დოკუმენტურად დაფიქსირდა მატერიალური კულტურის ასეულობით ობიექტი. მათ შორის დიდი რაოდენობით იყო ახლად აღმოჩენილი, სპეციალისტებისთვის სრულიად უცნობი არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები. ექსპედიციამ რამინ რამიშვილის ხელმძღვანელობით განადგურებას გადაარჩინა მრავალი პირველხარისხოვანი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი.

რამინ რამიშვილს მოპოვებული აქვს დიდძალი არქეოლოგიური მასალა, რომლის სრულად გამოქვეყნება ვერ მოასწრო. მისი მონაპოვარის გააზრება და შესწავლა მომავალი თაობების საქმეა. ვისაც არ უმუშავია ახალმშენებლობებთან დაკავშირებულ ექსპედიციაში ვერასდროს წარმოიდგენს, რაოდენ ექსტრემალურ ვითარებაში უწევთ არქეოლოგებს მუშაობა და ვერ შეძლებს შეაფასოს მათი შრომა. ჟინვალის ექსპედიცია (მოგვიანებით მას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ეწოდა) მთელი 15-16 წლის განმავლობაში მუშაობდა ასეთ დაძაბულ რეჟიმში.

1960 წელს რამინ რამიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „ქართლის სამეფო ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში“. დისერტაციას საფუძვლად დაედო მცხეთის შემოგარენში, კამარახევში მისი მონაწილეობით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. 1962 წლიდან ბატონი რამინი ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი გახლდათ. 1984 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „ქართლის სამეფო ახ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში“.

1984-2003 წლებში რამინ რამიშვილი იყო არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შუა საუკუნეთა ეპოქის განყოფილების გამგე.

## პუბლიკაციები და ღონისძიებები

ბატონი რამინი ავტორია 150-ზე მეტი ნაშრომის, მათ შორის, რამდენიმე მონოგრაფიაა, სადაც სრულიად ახლებურად არის დასახული და გადაჭრილი იმ პერიოდის საქართველოს არქეოლოგიის მნიშვნელოვანი პრობლემები. ბატონი რამინის ხელმძღვანელობით ჩატარდა რამდენიმე საერთაშორისო კონფერენცია დუშეთის (მილახვრიანთ კარის) არქეოლოგიურ ბაზაზე. სამეცნიერო კონფერენციების ძირითადი თემა იყო მთისა და ბარის ურთიერთობა პრეისტორიულ ეპოქასა და შუა საუკუნეების განმავლობაში არა მარტო კავკასიაში, არამედ მსოფლიო მასშტაბებით. ბატონი რამინი აქტიურად იყო ჩართული საგამომცემლო საქმიანობაში. მისი რედაქტორობით დაიბეჭდა რამდენიმე მონოგრაფია, კრებული, პერიოდული გამოცემა. მათ შორისაა ისეთი მნიშვნელოვანი გამოცემები, როგორიც გახლავთ „ფეოდალური საქართველოს არქეოლიგიური ძეგლები“, „ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები“, „ჟინვალის ექსპედიციის სამეცნიერო სესიის მასალები“, „არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში“, „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ძეგლები“, „ქრისტიანული არქეოლოგიის კონფერენციის მასალები“.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბატონი რამინის როლი ახალგაზრდა კოლეგების მეცნიერული ზრდისა და პროფესიონალებად ჩამოყალიბების საქმეში. მისი ინიციატივით დაარსდა კრებული „არქეოლოგიური ძიებანი“, რომელშიც იბეჭდებოდა ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო სესიის მასალები. გამოიცა 5 კრებული და ამ კრებულების რედაქტორი ბატონი რამინი თვითონ გახლდათ.

ბატონი რამინი იყო ყველა თანამშრომლის ანგარიშის, მოხსენების, სტატიისა თუ დისერტაციის რედაქტორ-გამსწორებელი. ამისთვის ის ხშირად ღამეებსაც კი ათენებდა. არაჩვეულებრივად ჰქონდა მოწესრიგებული საველე-დოკუმენტური ანგარიშების მომზადება-ჩაბარების საქმე. ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის ნებისმიერი წევრის მიერ მომზადებული დოკუმენტური ანგარიში უკვე გამოკვლევის ტოლფასი იყო და სრულფასოვანი სამეცნიერო კვლევის სახით ბარდებოდა არქეოლოგიურ კომისიას.

ბატონი რამინის ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი საკანდიდატო დისერტაცია. იყო რამდენიმე სადოქტორო დისერტაციის მეცნიერ-კონსულტატი. ბატონი რამინი სამეცნიერო და საექსპედიციო საქმიანობას პედაგოგიურ მოღვაწეობასაც უთავსებდა. თბილისის ტექნიკურ უნისვერსიტეტსა და სამხატვრო აკადემიაში წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციების კურსს – „საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორია და

ძეგლთა დაცვის საფუძვლები“, ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანებულმა სამეცნიერო საბჭომ რამინ რამიშვილი 1992 წელს პროფესორის თანამდებობაზე აირჩია.

## მილახვრიანთ კარი

ბატონმა რამინმა დანგრევისა და განადგურებისგან იხსნა დუშეთის მუნიცპალიტეტის სოფელ მალახვრიანთ კარში არსებული ჭილაშვილების XVIII საუკუნის ციხე-სასახლე. ისედაც გაპარტახებულ და განადგურებულ ისტორიულ ძეგლს კიდევ უფრო მეტად აზიანებდნენ ამ სასახლეში შესახლებული ორგანიზაციების წევრები თუ ოჯახები.

XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, იმ დროს, როდესაც ბატონმა რამინმა ეს სასახლე მოინახულა ხანძრისგან გადარჩენილ ფლიგელებში განთავსებული იყო დაწყებითი სკოლა, სკოლის კლუბი, მაღაზია, რამდენიმე ოჯახი და „სოტექნიკის“ დირექცია. განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა აღნიშნულმა ორგანიზაციამ გვიანი შუა საუკუნეების ამ მნიშვნელოვან ძეგლს. 30-იან წლებში მთლიანად დაანგრიეს სასახლის დასავლეთი ფლიგელი. პირველ სართულზე 1.5 მ სიგანის კედლები რამდენიმე ადგილზე გაანგრიეს და კარის ღიობები გააკეთეს. სასახლის კარის ეკლესიაში კი ტრაქტორების სარემონტო სახელოსნო იყო გახსნილი.

ბატონ რამინს, როგორც კი უნახავს სასახლე მაშინვე უფიქრია, რომ მისი გადარჩენა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გადაეცემოდა ჟინვალის ექსპედიციას და იქ მოეწყობოდა ბაზა. რამინ რამიშვილმა თავისი შეუპოვარი და მებრძოლი ხასიათის წყალობით, დიდი ნერვიულობის ფასად, საწადელს მიაღწია. საქართველოს იმდროინდელი მთავრობის გადაწყვეტილებით ჭილაშვილების სასახლე გადაეცა ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციას და შენობიდან გაასახლეს იქ მცხოვრები ოჯახები თუ ორგანიზაციის წევრები, რისთვისაც დამატებით გამოიყო ფულადი სახსრები. ამ საქმეში მას იმდროინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, გივი ჯავახიშვილი დაეხმარა, რისთვისაც ბატონი რამინი მისი მუდამ მადლიერი გახლდათ.

ექსპედიციის ხარჯებითა და ძალებით დაწყებული რემონტის შედეგად (რაც საკმაოდ დიდ ხანს გრძელდებოდა), ჭილაშვილების სასახლე თანდათან მწყობრში ჩადგა და პირვანდელი სახე დაიბრუნა.

1975 წელს ბაზაში განთავსდა ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული დიდძალი მასალა: გათხრების დოკუმენტაცია, არქივი, ბიბლიოთეკა. ბაზაზე მოეწყო ფოტოლაბორატორია, სარესტავრაციო სახელოსნო, საკონფერენციო დარბაზი, ეთნოგრაფიული კოლექციების საცავი, სამუშაო ოთახები ექსპედიციის წევრებისთვის თუ მასალების გასაცნობად ჩამოსული კოლეგებისთვის. წლების განმავლობაში ამავე ბაზაზე ტარდებოდა სამეცნიერო კონფერენციები.

სანიმუშოდ მოვლილი ბაზის ეზოში, ძირითადად ჟინვალის ნაქალაქარიდან გადმოიტანეს გათხრების შედეგად აღმოჩენილი არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძეგლები. ბატონი რამინის თაოსნობით 2008 წელს ბაზაზე, ორ დარბაზში, მოეწყო არქეოლოგიური გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ექსპედიციის მიერ მოპოვებული, თითქმის ყველა ეპოქის მნიშვნელოვანი ასლები. მისი მცდელობით მილახვრიანთ კარის ბაზა იქცა სამეცნიერო ცენტრად, სადაც მომზადდა არაერთი საინტერესო ნაშრომი საქართველოს არქეოლოგიის სხვადასხვა პრობლემის შესახებ.

ბატონი რამინისთვის მილახვრიანთ კარის ბაზა მეორე სახლად იქცა, ყოველდღიურ ზრუნვას არ აკლებდა. ძალიან უყვარდა იქ ყოფნა და მუშაობა. მუდამ წუხდა იმაზე, რომ ბოლომდე ვერ შეძლო ჭილაშვილების ციხე-დარბაზის აღდგენა-რესტავრაცია. დიდად გაიხარა, როდესაც გაიგო, რომ ეროვნული მუზეუმის დირექცია ბაზის კოშკების სახურავების რესტავრაციას იწყებდა. სამწუხაროდ, მან ვერ შეძლო რეაბილიტირებული სახურავების ნახვა. სიცოცხლის უკანასკნელი თვეებიც თავის უსაყვარლეს ადგილას გაატარა და სიცოცხლის ბოლომდე არ შეუწყვეტია მეცნიერული მუშაობა.

ბატონ რამინს ოჯახიდან მოსდგამდა ვაზისა და ვენახის სიყვარული. მისი მამა – მაქსიმე რამიშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ქართული ვაზის დიდი მესაიდუმლე იყო. ძმა – რევაზი, გამოჩენილი მევენახე, სელექცია-ჯიშთმცოდნეობის უბადლო მკვლევარი, პროფესორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობის კათედრის გამგე იყო წლების განმავლობაში. მამა-შვილის ერთობლივი შემოქმედებითი თანამშრომლობით გამოყვანილია ცნობილი სელექციური ჯიშები: ვარძია, კოლხეთი, ივერია, ქცია და სხვ. და რა გასაკვია, რომ ბატონმა რამინმა არქეოლოგიურ ბაზაზე გააშენა შესანიშნავი ხეივანი, ნაწილობრივ განაახლა ჭილაშვილების დროინდელი მარანი, სადაც ყოველ შემოდგომაზე ადგილზე მოწეული ტონამდე ყურძენი იწურებოდა. ბაზაზე მოსულ სტუმრებსა და კოლეგებს თავისი ღვინით უმასპინძლდებოდა ხოლმე ბატონი რამინი. ყოველი ახალი წლის წინა დღეებში ღვინით გაავსებდა რამდენიმე ჭურჭელს და თბილისში თავის მეგობრებსა და კოლეგებს მოიკითხავდა.

რამინ რამიშვილი გარდაიცვალა 84 წლის ასაკში. მეცნიერმა ქვეყანას დაუტოვა მილახვრიანთ კარში აღორძინებული და ნაპატრონები ჭილაშვილების ციხე-დარბაზი, თავისი მდიდარი არქეოლოგიური კოლექციებითა და საგამოფენო დარბაზებით, ღმა და საფუძვლიანი სამეცნიერო ნაშრომები, ხოლო საკუთარ მოწაფეებს დიდი მიზნები შორს მიმამავალი და შორსმჭვრეტელური გეგმებით.

*დავით მინდორაშვილი*

*გიორგი გოგოჭური*

# Ramin Ramishvili

***Ramin Ramishvili and archaeology***

Ramin Ramishvili is one of those Georgian scientists who dedicated all their lives to archaeology.

He was born in 1928 in Tbilisi, in the family of the renowned ampelologist Maxime Ramishvili. In 1952 he graduated from the Faculty of History at the Tbilisi State University and in the same year he went on to do the postgraduate course in archaeology at the Institute of History. In 1957 he became a scientific researcher at the Institute of History.

Mr. Ramishvili investigated medieval archaeological monuments of Georgia for six decades. Yet being a second-year student, in 1950 he took part in Ujarma archaeological expedition, which was headed by a famous archaeologist Giorgi Lomtatidze. Ujarma was followed by Mtskheta, Kvemo Kartli, the Enguri Gorge, Bichvinta, Ikalto, Matani, the Kvetera Valley, and, eventually, the Aragvi Valley.

Archaeological investigation extensively carried out in the Aragvi river basin and the whole eastern Georgia under the leadership of Mr. Ramishvili is the subject of special discussion. Prior to that, this region had been a blank space on the archaeological map of Georgia. Mr. Ramishvili was one of the few Georgian archaeologists who, like him, dedicated such a long time to research of a particular region.

In 1971, in connection with the construction of a hydro-electric station, they founded Zhinvali archaeological expedition in the Iv. Javakhishvili Institute of History, Archaeology and Ethnography. The newly formed expedition was headed by Mr. Ramishvili, who remained its leader to the end of his days. The main goal of the expedition was to investigated the monuments that fell in the zone of new construction and flooding. The area of activities of the expedition expanded with the expansion of earth works. Soon it covered the whole mountainous region of eastern Georgia. The expedition revealed and archaeologically studied a large number of archaeological sites of various epochs from the IV millennium BC to the late medieval period including.



The expedition formed a team whose aim was to reveal and register monuments of material culture located in the mountainous area of eastern Georgia. Alongside field archaeological activities, hundreds of features of material culture were described and documented. Among them were a number of newly discovered architectural and archaeological monuments unknown

to specialists before. The expedition under the leadership of Ramin Ramishvili saved a lot of first-class historical-archaeological sites from destruction.

Ramin Ramishvili collected a huge amount of archaeological material but he did not live to publish it completely. It is the matter of future generations to conceptualize and research what he obtained. Those who have not taken part in the expeditions related to new constructions will find it difficult to imagine what extreme circumstances archaeologists have to work in and will not be able to appreciate their dedication. Zhinvali expedition (later it was called the archaeological expedition of eastern Georgian highlands) continued working very intensively over 15-16 years.

In 1960 Ramin Ramishvili defended the dissertation on the subject –'The Kingdom of Kartli in the First Half of the I Millennium BC'. The dissertation was based on archaeological material discovered with his participation in Kamarakhevi in the environs of Mtskheta. From 1962 Mr. Ramishvili worked as a scientific researcher at the Institute of History. In 1984 he defended a dissertation for PHD on the subject – 'The Kingdom of Kartli in the First Half of the I Millennium BC'.

In 1984-2003 Ramin Ramishvili headed the department of Medieval Epoch in the Center for Archaeological Research.

***Publications and events***

Mr. Ramishvili is the author of over 150 works, including several monographs in which the author outlines important problems of archaeology of the Georgia of the time and handles them in an absolutely novel way. Several international conferences were held under the leadership of Mr. Ramishvili at the Dusheti (Milakhvriant Kari) archaeological base. Main topic of scientific conferences was the relationship between highlands and lowlands in prehistoric times and during the Middle Ages not only in the Caucasus, but throughout the world. Mr. Ramishvili was actively involved in publishing. He was the editor of several monographs, collections, periodicals. They include such important publications as 'Archaeological sites of Feudal Georgia', 'Archaeological Sites of the Iori Valley', 'Materials of Scientific Session of Zhinvali Expedition', 'Archaeological Research in the Aragvi Valley', Archaeological Sites of Eastern Georgian Highlands', 'Materials of the Conference on Christian Archaeology'.

Mr. Ramishvili played an essential role in the scientific upbringing of young colleagues and their formation as professionals. He was the initiator of founding the collection '*Archaeologiuri Dziebani*', in which materials of scientific sessions by young researchers were published. A total of five collections were published whose editor was Mr. Ramishvili.

Mr. Ramishvili was the editor and corrector of the reports, articles or dissertations of his colleagues. He often spent nights awake in order to do so. He was extraordinarily organized in terms of preparing and delivering field-documentary reports. The documentary report prepared by any member of the Zhinvali archaeological expedition was equivalent to a research and was handed in to the archaeological commission as a comprehensive scientific paper.

He was the supervisor of many candidate's dissertations, scientific consultant of several doctoral dissertations. Mr. Ramishvili matched scholarly and expedition activities with teaching practice. He gave a course of lectures –'Georgian material culture and basics of monument protection' at the

Tbilisi Technical University and the Academy of Art. In 1992 he was appointed as professor by the united scientific board of the Technical University.

***Milakhvriant Kari***

Mr. Ramishvili saved the 18$^{th}$ century manor house of the Chilashvilis located in Village Milakhvriant Kari, Dusheti Municipality, from destruction and devastation. Just as much ravaged and destroyed, the historical monument suffered further damage by the members of organizations and families settled in the palace.

At the beginning of the 1970s, when Mr. Ramishvili visited this palace, there were a primary school, school club, shop, several families and the administration of 'Sotechnik' allocated in the wings that had survived fire. Particularly severe was the damage inflicted by the mentioned organization on this major monument of the late medieval epoch. The western wing of the palace was completely destroyed in the 1930s. The 1.5- meter-wide walls on the ground floor were broken through in several places for doorways to be arranged. Moreover, a tractor repair shop was opened in the church of the palace.

On seeing the palace, Ramin Ramishvili immediately thought that it would be possible to save it only in case it was submitted to the Zhinvali expedition and its base was arranged there. Due to his persevering and fighting character and at the expense of extreme distress, Ramin Ramishvili managed to satisfy his desire. By the decision of the Georgian government of the time, Chilashvilebi palace was transferred to the Zhinvali archaeological expedition and the families and members of the organization who had occupied the building were evicted, for which additional funds were allocated. In this matter he was assisted by Mr. Givi Javakhishvili, head of the council of ministers of the time. Mr. Ramishvili was extremely grateful to him.

As a result of thorough repairs (which took a long time) whose expenses were incurred by the expedition, the Chilashvilebi palace was gradually put into service and returned its original image.

In 1975 a large amount of material obtained by the Zhinvali archaeological expedition was housed in the base. They included documentation of the excavations, archive, library. A photo laboratory, restoration workshop, conference hall, repository for ethnographic collections, work spaces for the expedition members and the visiting colleagues were arranged at the base. The base hosted scientific conference over many years.

Architectural and archaeological artifacts discovered by means of excavations were transferred to the ideally tended yard of the base from mainly Zhinvali city-site. In 2008, on the initiative of Mr. Ramishvili, an archaeological exhibition was arranged in two halls of the base. It represented important copies of almost all the epochs recovered by the expedition. Due to his efforts, the Milakhvriant Kari base turned into the scientific center where many interesting works dealing with various problems of Georgia's archaeology have been prepared.

The Milakhvriant Kari base turned into Mr. Ramishvili's second home, he took great care of it. He loved being and working there. He was always concerned about not being able to restore the Chilashvilebi manor-house. He was extremely happy on hearing that the National Museum was going to start restoration of the roofs of the towers of the base. Unfortunately, he did not live to see the

rehabilitated roofs. He spent last months of his life in his favorite place and never stopped scientific work.

Mr. Ramishvili's love for grapevine and vineyard stemmed from his family. His father, Maxime Ramishvili, Doctor of Agricultural Sciences, was a great expert of Georgian vine. His brother, Revaz, a prominent viticulturist, peerless researcher of selection and varieties, headed the department of Viticulture at the Georgian Agrarian University for years. Joint cooperation of father and son resulted in producing famous selective sorts: Vardzia, Kolkheti, Iveria, Ktsia, etc. It is not surprising that Mr. Ramishvili arranged a wonderful vine pergola at the archaeological base, partly renovated the wine-cellar of the times of the Chilashvilis, where they made up to a ton of wine every autumn. He used to serve the visiting guests and his colleagues with the wine pressed by him. Before every new year, he would fill up several containers with wine and send it to his friends and colleagues in Tbilisi.

Ramin Ramishvili died at the age of 84. The scholar left the revived and tended manor-house of the Chilashvilis with its rich archaeological collections and exhibition halls, comprehensive scientific works to his country, as well as great goals with far-reaching and forward-looking plans.

***David Mindorashvili***

***Giorgi Gogochuri***

# 7 არქეონიუსი 1 პლანეტიდან

## 2 0 2 0

# 7 Archaeonews from 1 Planet

### ახალი თარიღები ნეოლითის სამშენებლო ბუმზე მიანიშნებს



**დორჩესტერი, ინგლისი** – „The Guardian"-ის ინფორმაციით, ქ.წ. დაახლოებით 2500 წელს, დიდი ბრიტანეთის სამხრეთში მიმდინარეობდა უამრავი მონუმენტური სამშენებლო სამუშაო. შესაძლოა, სწორედ ამ მშენებლობების ბუმმა გამოიწვია საზეიმო ნაგებობების მასიურად გამოჩენა. სულ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, დორსეტში, მაუნთ ფლიზენტის, ე.წ. "მეგა ჰენჯის" დანართის შესწავლამ, 59 რადიოკარბონული დათარიღება მოგვცა და, სავარუდოა, რომ ძეგლის სამი ეტაპის მშენებლობას 125 წელზე ნაკლები დრო დასჭირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰიატუსი გაცილებით უფრო მოკლეა, ვიდრე აქამდე მიიჩნეოდა. მკვლევარები ასევე ფიქრობენ, რომ ძეგლის მშენებლობა იმაზე 150 წლით ადრე დასრულდა, ვიდრე ბრიტანეთში კონტინენტური ევროპიდან შემოვიდოდა მოსახლეობა და თავის ტექნოლოგიებსა თუ რელიგიურ მრწამსს შემოიტანდა.

მაუნთ ფლიზენთი, ისე როგორც სტოუნჰენჯი, სამხრეთ ინგლისში ცნობილ ხუთ მეგა ჰენჯს შორის ერთ-ერთია, რომელიც ამ პერიოდს ეკუთვნის. არქეოლოგებს მიაჩნიათ, რომ ეს ძეგლები რელიგიურ და რიტუალურ შეხვედრებს ემსხურებოდა, ასევე მასპინძლობდა და იზიდავდა სტუმრებს, რომლებიც შორეულ მანძილებზე მოგზაურობდნენ.

## პერუში მონადირე ქალის ნეშტი აღმოაჩინეს

**დევისი, კალიფორნია** – პერუში, ანდების მაღალმთიან რეგიონში, ვილამაია პატშაში აღმოჩენილია ადამიანის 9 ათასი წლის წინანდელი ნეშტი. როგორც ჩანს, ეს იყო მონადირე ქალი, რომელიც შუბის წვერების ნაკრებსა და ნანადირევის გადასამუშავებელ იარაღთან ერთად დაუკრძალავთ, – იუწყება ჟურნალი Science Magazine.

ოსტეოლოგიური, პროტეომიული და იზოტოპური ანალიზების კომბინაციის საშუალებით, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მონადირე ახალგაზრდა, ზრდასრული ქალი იყო, რომლის კვების რაციონი ძირითადად ხმელეთის მცენარეებისა და ცხოველებისგან შედგებოდა. მეცნიერთა გუნდი ამტკიცებს, რომ ამ აღმოჩენამ შესაძლოა, მთლიანად შეცვალოს დიდი ხნის ვარაუდები მონადირე-შემგროვებელ საზოგადოებაში შრომის დანაწილების შესახებ.

„ადრეული ნადირობა დიდ ნადავლზე, როგორც ჩანს, გენდერულად ნეიტრალური იყო“ – განაცხადა დევისის კალიფორნიის უნივესრიტეტის არქეოლოგმა რენდი ჰასმა.

დევისის გუნდის აზრით, ადრეული საზოგადოების შესაწავლისას, ათწლეულების განმავლობაში გავრცელებული სტერეოტიპის დასანგრევად, რომლის მიხედვითაც კაცი მონადირეა და ქალი კი, შემგროვებელი, საჭიროა მტკიცებულებების შეგროვება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.



## კვლევა, რომელიც სანგრის ცხელებას შეისწავლის

***ტემპა, ფლორიდა*** -- სამხრეთ ფლორიდის უნვერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, საერთაშორისო მკვლევართა ჯგუფმა დაადგინა, რომ სანგრის ცხელება პირველ მსოფლიო ომამდე რადენიმე ათასი წლით ადრე გაჩნდა. ცხელებით 500 000 ჯარისკაცი დაავადებულა.

პირველად ცხელება დოკუმენტურად აღნუსხა ბრიტანულმა საექსპედიციო სამხედრო ძალებმა, თუმცა, მეცნიერებმა 9 არქეოლოგიურ ძეგლზე, ქ.წ. I -IX საუკუნეების სამარხებში, 145 მშვიდობიანი მოქალაქისა და სამხედრო პირთა კბილებზე სანგრის ცხელების გამოწვევი ბაქტერიის, Bartonella quintana კვალი დაადასტურეს. ნაშთების 20%, მათ შორის, ადამიანების, რომლებიც III-IV საუკუნეებში სირეკუზებში, სიცილიაში, რომაულ სასაფლაოზე იყვნენ დამარხულნი, შეიცავდა ბაქტერიებს.

სანგრის ცხელება არანაკლებ გავრცელებული იყო მსოფლიო ომების დროსაც. ამ დაავადებით, ტკიპებთან კონტაქტის გამო, უპოვარი და უსახლკარო ადამიანები დღესაც სნეულდებიან.



## ათენში ნაპოვნია ბერძნული ღმერთის, ჰერმესის ქანდაკება

***ათენი, საბერძნეთი –*** საბერძნეთის კულტურისა და სპორტის სამინისტროს განცხადების თანახმად, მუნიციპალური სამსახურის თანამშრომლებმა წმინდა ირინეს მოედნიდან მოშორებით, აილოს ქუჩაზე, აღმოაჩინეს საკანალიზაციო მილში ჩაშენებული ძველი სკულპტურის ფრაგმენტი.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ სკულპტურის თავზე ღმერთების მაცნე და მოგზაურთა მფარველი, ჰერმესია გამოსახული, რაც შესაძლოა, გზაჯვარედნზე განთავსებული სვეტის საგზაო ნიშნად ყოფილიყო გამოყენებული. შესრულების სტილის მიხედვით, სკულპტურა ქ.წ. III საუკუნის დასაწყისში, ან ქ.წ. IV საუკუნეშია გამოკვეთილი, ალკამენელი ერმოს პროპლეუსის მიერ.



## იაპონიაში ძველ ჭურჭელზე მავნებლების ანაბეჭდები აღმოაჩინეს

***კუმამოტო, იაპონია*** – კუმამოტოს უნიერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციის თანახმად, ჰიროკი ობატამ და მისმა კოლეგებმა კომპიუტერული ტომოგრაფიის მეშვეობით გამოიკვლიეს იაპონიის სამხრეთით, იაკუშოდენის საიდზე ნაპოვნია 3600 წლიანი კერამიკა, რომელზეც ბეღლის ცხვირგრძელას ანაბეჭდები და რკოს ქერქი დადასტურდა. ჯგუფმა ბეღლის ცხვირგრძელას კვალი იპოვა წაბლის შესანახ, ჯიომოის პერიოდის კერამიკის ჭურჭელზეც, იაპონიის ჩრდილოეთ რაიონში – სანეი-მარუამში, სადაც წაბლი ბუნებრივად არ ხარობს. ბეღლის ცხვირგრძელას ანაბეჭდები აღმოჩნდა იაპონიის სამხრეთ სანაპიროზე, კუნძულ ტანეგასიმას ტერიტორიაზე ნაპოვნ თიხის 10 000 წლიან ჭურჭელზეც.

ოატამ განმარტა, რომ ჯიომონში გაცილებით ბევრი ბეღლის ცხვირგრძელა ყოფილა, ვიდრე აქამდე ფიქრობდნენ, და ის ფაქტი, რომ იქაურ მცხოვრებლებს საკვები ახალ ადგილებში სავაჭროდ გადაჰქონდათ, ხელს უწყობდა მავნებლების გავრცელებას.



## ჩრდილოეთ ჩინეთის სამარხში 900 წლის სიძველის ფაიფურს მიაგნეს

***სიანი, ჩინეთი*** – სინჰუა იუწყება, რომ ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთით, შენსის პროვინციაში, 900 წლიან სასაფლაოზე, 3 სამარხიდან 100-ზე მეტი ფაიფურის ნივთი ამოიღეს. შენსის პროვინციის არქეოლოგიის ინსტიტუტის არქეოლოგმა, მიაო იიფეიმ განაცხადა, რომ შესაძლოა სასაფლაოს ნეშტები მენგის ოჯახის ახალგაზრდა ასაკში გარდაცვლილ წევრებს ეკუთვნის.

მიაო აქვე აღნიშნავს, რომ ნეშტები სხვა სამარხებიდან გადმოასვენეს. სამარხებიდან ამოღებულ საგნებს შორის ნაპოვნია სელადონის ფაიფურის ჩაისა და ღვინის ნაკრები და შესაწირი ჭურჭელი, რომლებიც დამზადებულია იაოჟუს ღუმელში, ჩრდილოეთ ჩინეთში, 1123 წელს.

სონგების დინასტიის დროს აღმოჩენილი 5 საფლავიდან 2 გაძარცულია (2010 წელს).



## ეროზიამ ფლორიდის სანაპიროზე ჩაძირული ხომალდის ნაშთები გამოავლინა

***წმინდა ავგუსტინი, ფლორიდა*** — უილქს ტვ იუწყება, რომ ფლორიდას ჩრდილო-აღმოსავლეთით, კრესენტ-ბიჩის სანაპიროზე აღმოჩენილია XIX საუკუნის ხომალდის ნაშთები. როგორც „ელ ეი ემ ფი"-ს (LAMP- Lighthouse Archaeological Maritime Program) არქეოლოგმა, ჩაკ მეიდემ განაცხადა, გემი დიდი ალბათობით სავაჭრო იყო, მისი ჩაძირვის შემდეგ, შტორმის დროს, ქარიშხალმა ნამსხვრევები სანაპიროზე გამორიყა, დროთა განმავლობაში კი ნარჩენები ქვიშით დაიფარა.

მეიდა ამბობს, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში, კრესენტ-ბიჩზე მაქსიმუმ ათი ფუნტის ქვიშის განლევის შედეგად, ხომალდის ჩაძირვის ადგილი გამოვლინდა.



## NEW DATES POINT TO NEOLITHIC CONSTRUCTION BOOM

DORCHESTER, ENGLAND —The Guardian reports that a flurry of monumental building activity appears to have taken place across southern Britain around 2500 B.C. This construction boom may have resulted in several massive ceremonial structures appearing in the course of just a few dacades. A new study of Mount Pleasant, a so-called "mega henge" enclosure in Dorset, produced 59 radiocarbon dates and suggests that three stages of the monument were built in less than 125 years—a much briefer window than previously thought. Researchers also believe the monument was completed only some 150 years before populations arrived in Britain from continental Europe with a range of new technologies and religious beliefs. Mount Pleasant is one of five known mega henges in southern England dating to the same period, including Stonehenge. Archaeologists believe these monuments hosted religious and ritual gatherings, and attracted visitors who traveled over great distances to attend.

## FEMALE HUNTER'S REMAINS UNCOVERED IN PERU

DAVIS, CALIFORNIA — Nine-thousand-year-old human remains discovered at the Andean highland site of Wilamaya Patjxa in Peru appear to have belonged to a woman hunter buried with a toolkit of projectile points and animal processing implements, according to a report in Science Magazine. Employing a combination of osteological, proteomic, and isotopic analysis, researchers determined that the hunter was a young adult female whose diet consisted mostly of terrestrial plants and animals. The team says that the discovery may overturn long-held assumptions within anthropology about the division of labor in ancient hunter-gather societies. "Early big-game hunting was likely gender neutral," said archaeologist Randy Haas of the University of California, Davis. The team concedes that more evidence from around the world will be needed to debunk the stereotype of man the hunter and woman the gatherer, which has dominated the study of ancient societies for decades

## STUDY EXAMINES THE ORIGINS OF TRENCH FEVER

TAMPA, FLORIDA—According to a statement released by the University of South Florida, an international research team has determined that trench fever originated thousands of years before World War I, during which approximately 500,000 soldiers contracted the disease. The fever was first documented among British Expeditionary Forces in 1915. However, the scientists have detected traces of ***Bartonella quintana***, the bacterium that causes the disease, in the teeth of 145 civilians and soldiers interred at nine archaeological sites from the first through nineteenth centuries A.D. About 20 percent of the remains, including those of individuals buried in the third and fourth centuries in a Roman cemetery at Syracuse, Sicily, contained the bacterium. Although trench fever was most prevalent during the World Wars, people today, especially those who are homeless, still contract the disease through contact with body lice.

## SCULPTURE OF GREEK GOD HERMES FOUND IN ATHENS

ATHENS, GREECE—According to a statement released by Greece's Ministry of Culture and Sports, municipal workers discovered a fragment of an ancient sculpture built into a sewer line under Aiolou Street, near St. Irene Square. The head is thought to depict Hermes, the herald of the gods and protector of travelers, and may have been part of a column placed at a crossroads to serve as a road sign. The style of the artwork suggests it was carved in the fourth or early third century B.C. by Ermos Proplaeus of Alkamenos

## IMPRESSIONS OF PESTS DETECTED IN JAPAN'S ANCIENT POTTERY

KUMAMOTO, JAPAN—According to a statement released by Kumamoto University, Hiroki Obata and his colleagues examined CT scans of 3,600-year-old pottery unearthed at the Yakushoden site in southern Japan, and found multiple impressions left behind by maize weevils and acorn peels. The team has also found impressions of maize weevils on pottery used to store chestnuts at the Jomon-period site of Sannai-Maruyama, which is located in an area of northern Japan where chestnuts do not grow naturally. Weevil impressions have also been detected on 10,000-year-old earthenware vessels from Tanegashima Island off Japan's southern coast. Obata explained that the Jomon probably lived with a greater number of weevils than previously thought, and may have helped to spread the pests as they carried foods to new areas through trade.

## 900-YEAR-OLD PORCELAIN FOUND IN TOMBS IN NORTHERN CHINA

XI'AN, CHINA—*Xinhua* reports that more than 100 pieces of porcelain were recovered from three tombs in a 900-year-old cemetery in northwest China's Shaanxi Province. Archaeologist Miao Yifei of the Shaanxi Provincial Institute of Archaeology said the cemetery may have held the remains of members of the Meng family who died at a young age. Their bodies had been relocated from other burial places, Miao added. The objects recovered from the tombs include celadon porcelain tea and wine sets, utensils, and sacrificial vessels made in the Yaozhou kiln in northern China around A.D. 1123, during the Northern Song Dynasty. Two of the five tombs in the cemetery were looted in 2010.

## EROSION EXPOSES SHIPWRECK ON FLORIDA BEACH

ST. AUGUSTINE, FLORIDA—*WILX-TV* reports that parts of a ship thought to date to the nineteenth century have been found on northeastern Florida's Crescent Beach. Archaeologist Chuck Meide of the Lighthouse Archaeological Maritime Program (LAMP) said the vessel was likely to have been a merchant ship carrying goods along the coast. After it sank, the wreckage was probably pushed on the beach during a storm and covered with sand over time. Over the past ten years, the loss of at least ten feet of sand from the Crescent Beach exposed the wreck, Meide explained.

წყარო: ამერიკის არქეოლოგიური ინსტიტუტის პუბლიკაცია

SOURCE: A PUBLICATION OF THE ARCHAEOLOGICAL INSTITUTE OF AMERICA

*მასალა მოამზადა თეა ქაშაკაშვილმა*

# მუზეუმები და არტეფაქტები

## ვირტუალური პორტრეტები

COVID 19-ის მიერ ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებამ ბევრი რამ შეცვალა ამ დედამიწაზე და მათ შორის მუზეუმებისა და სხვადასხვა პუბლიკაციის ყოველდღიური ცხოვრების რეჟიმი. გამონაკლისი არც საქართველოს მუზეუმები და ჩვენი ჟურნალი აღმოჩნდა. 2020 წელს „ონლაინ არქეოლოგიამ" ვერ შეძლო მოგზაურობა მუდამ დამთვალიერებლებით სავსე, ხალისიან და ხმაურიან მუზეუმებში, ამიტომ გადავწყვიტეთ დროებით არტეფაქტებს მოვწყდეთ და იმ ადამიანთა ვირტუალური პორტრეტების გალერეა შევქმნათ, რომელთა ცხოვრების აზრიც მუზეუმები და არტეფაქტები გახლავთ.

ვინ არიან ისინი, ვინც ჩვენს მუზეუმებს უვლის და უსიტყვოდ ესმით არტეფაქტების ენა? როგორები არიან? რა სწყინთ და რა უხარიათ?

დღეს „ონლაინ არქეოლოგია" ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორის, ქალბატონ ნინო ჯოლიასა და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორის ბატონ ემზარ კახიძის ვირტუალურ პორტრეტებს გთავაზობთ.

## ნინო ჯოლია

ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი, ქალბატონი ნინო ჯოლია სოფელ ძველი სენაკის მკვიდრია. დაამთავრა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1980 წელს დაინიშნა მეთვალყურედ ნოქალაქევის არქეოლოგიურ მუზეუმში, შემდეგ მეცნიერ-თანამშრომლად გადაიყვანეს, 1995 წელს ფონდების მთავარი მცველი გახდა, 2012 წელს მუზეუმის კურატორი, ხოლო 2014 წლიდან დღემდე მუზეუმის დირექტორად მუშაობს.

ასე, რომ ნოქალაქევი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. კარგად ახსოვს როგორ გაიხსნა მუზეუმი, როგორი იყო ის თავდაპირველად, როგორ ვითარდებოდა...

და დღეს ნოქალაქევის მოდერნიზებული სამუზეუმო სივრცის ყველაზე სასიამოვნო და საინტერესოდ მოსაუბრე გიდი სწორედ მუზეუმის დირექტორი ქალბატონი ნინო ჯოლია გახლავთ. არა, თანამდებობა და სტატუსი კი არ ავალებს ამას, უბრალოდ ეს მისი სურვილია, სტუმარს ისე ვერ გაუშვებს ნოქალაქევიდან, რომ კიდევ ერთხელ, მასთან ერთად არ ეზიაროს ამ დიდებული ძეგლის წარსულს და საუკეთესო მომავლის მოლოდინში არ დატკბეს მისი დღევანდელობით...

# ვირტუალური პორტრეტები

*მუზეუმის სათავეებთან და ნინო ჯოლიას ჩართვა ნოქალაქევიდან:*

*„როდესაც პარმენ ზაქარაიამ ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი დააარსა, ეს იყო ტიპური მეურნეობის ოფისი, მუზეუმად მოგვიანებით გადაკეთდა. ნოქალაქევში მუზეუმ -ნაკრძალის გახსნას პარმენ ზაქარაიას თაოსნობით ჩაეყარა საფუძველი, 1979 წელს. მაგრამ გაიხსნა 10 წლის შემდეგ, მაშინ როდესაც აქ ჩატარდა სახალხო დღესასწაული ეგრისობა.*

*გაიხსნა ექსპოზიცია და თავდაპირველად სამი დარბაზი იყო. ორი დარბაზი ეთმობოდა კოლხეთის სამეფოს, ერთში კი ეგრისის სამეფოსი ექსპონატები იყო გამოფენილი. აქ გამოფენილი ექსპონატების მთლიანი ამპლიტუდა 3500 წელი გახლდათ. ყველა არტეფაქტი ნოქალაქევის ნაქალაქარის ტერიტორიაზე იყო მოპოვებული.“*

ნინო ჯოლიას ისიც კარგად ახსოვს, თუ სად რომელი არტეფაქტი იყო გამოფენილი, აი, მაგალითად რიტუალური დანიშნულების ზოომორფული ქანდაკებები, რომლებიც ძ.წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება და ნაპოვნია გალავნებს შორის, თურემ, კოლხეთის დარბაზში გახლდათ ექსპონირებული.



***მუზეუმის დირექტორი და მისი პასუხისმგებლობა***

ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი მზარდი ფონდია. აქ ყოველ წელს მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები, შესაბამისად, ყოველწლიურად შემოდის გათხრების შედეგად მოპოვებული ექსპონატები. მუზეუმის დირექტორის პასუხისმგებლობა დიდია.

ქალბატონ ნინოს ეს პასუხისმგებლობა არ აშინებს. მისი ცხოვრებისეული კრედო ასეთია:

***„მუდმივი განვითარება მუზეუმთან ერთად“.***

მას მიღებული აქვს მონაწილეობა არაერთ ტრერინგში და მრავალი სერთიფიკატის მფლობელია. 2015 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ სამუზეუმო საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელით დააჯილდოვა.

2020 წელს USAID-ის ეროვნული პარკებისა და ეკოტურიზმის პროგრამის მიერ განხორციელებული პირველი ონლაინ საწვრთნელი კურსი გაიარა და შესაბამისი სერთიფიკატიც გადაეცა.

***ნინო ჯოლიას ჩართვა ნოქალაქევიდან:***

***„ამჟამად ახალი მუზეუმის მშენებლობა მიმდინარეობს. მანამდე კი ექსპონატები ჟიული შარტავს მუზეუმების ფონდშია, სადაც მათთვის გამოყოფილია ერთი სპეციალური, დალუქული ოთახი. როგორც კი დამთავრდება მშენებლობა, არტეფაქტებს აქეთ გადმოვიტანთ და გამოვფენთ მუზეუმ-ნაკრძალში.“***

ნოქალაქევის მუზეუმ- ნაკრძალში სარეაბილიტაციო სამუშაოები 2016 წელს დაიწყო და დღემდე წარმატებით მიმდინარეობს. სამუშაოებს აფინანსებს საქართველოს მთავრობა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. ნოქალაქევის ქვედა ნაწილში არსებულ ყველა სეგმენტს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, დამთავრდა შნაიდერის კოშკის რეაბილიტაცია, დაწყებულია მუზეუმის შენობის მშენებლობა, არტქფაქტების გარდა ახალ მუზეუმში დაიდებს ბინას თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორია, რომელიც მთელ დასავლეთის რეგიონს მოემსახურება.

***ნინო ჯოლიას ჩართვა ნოქალაქევიდან:***

***„პასუხისმგებლობა დიდია, მაგრამ სასიხარულო მოლოდინები განსაკუთრებულ გამბედაობას ბადებს, როდესაც უყურებ, როგორ ვითარდება შენი რეგიონი და შენი ცხოვრების საქმე ყველა საპატიო პასუხისმგებლობიდან გამომდინარე ყველა შიში გავიწყდება. დიახ, ამგვარი აღმავლობის ფონზე ისეთი ენთუზიაზმით ვმუშაობთ, რომელიც ყველა პასუხისმგებლობაზე ძლიერია.“***

# ვირტუალური პორტრეტები

ყველაზე ცუდად 90-იანები ახსენდება, მაშინ გათხრები არ მიმდინარეობდა. მუზეუმი ჩვეულებრივად ფუნქციონირებდა, მაგრამ ვიზიტორების სიმცირის გამო, თანამშრომლები მორიგეობით დადიოდნენ.

ახლა კი სულმოუთქმელად ელოდება პანდემიის გადასვლას იმისთვის, რომ გააგრძელოს თავისი საზოგადო საქმიანობა, დაუბრუნდეს საბავშვო არქეოლოგიას, ფოტომასალებს თუ სხვადასხვა სამუზეუმო პროექტს.

*ნინო ჯოლიას ჩართვა ნოქალაქევიდან:*

*„პანდემიამდე მთელი სამეგრელო-ზემო სვანეთის სკოლები ჩართული იყო საბავშვო არქეოლოგიის პროექტში. ზოგადად, ნოქალაქევში არახალხმრავალი ღონისძიება არასდროს ჩატარებულა, - არც ერთი დედის დღე, მუზეუმის საერთაშორისო დღე... ერთი სიტყვით, ყველა ღონისძიება სიხარულით აღინიშნება.*

*ყოველ 18 მაისს მოდიან სხვადასხვა სკოლის, სხვადასხვა თაობის მოსწავლეები, ჩვენ ვუწევთ მეთვალყურეობას და ერთად ვატარებთ „ღამეს მუზეუმში“ ... მთელი სენაკი ზეიმობს, რეგიონი ცოცხლდება და ხარობს...“*

*„ონლაინ არქეოლოგიას“ ისღა დარჩენია, რომ მრავალი ხალხმრავალი და ხალისიანი 18 მაისი უსურვოს ქალბატონ ნინოს ამ ახალ წელიწადს!*

## ემზარ კახიძე



ემზარ კახიძე ღვაწლმოსილი არქეოლოგის, ბატონი ამირან კახიძის შვილია და ცოტა ძნელია იმის განსაზღვრა ადვილია თუ არა მისთვის ინდივიდუალური ნიშის დამკვიდრება იმ სამეცნიერო სივრცეში, რომელსაც მამამისი ნახევარ საუკუნეზე მეტხანს თავდაუზოგავად და წარმატებით ემსახურება?

თუმცა, ემზარ კახიძეს ზუსტად მამის პროფესია არ აურჩევია, ის ძველი მსოფლიო ისტორიის სპეციალისტია. უბრალოდ დიდი ხანია გათავისებული აქვს ნიკო ბერძენიშვილის კონცეფცია მასზე, რომ მეცნიერის მიზანი უნდა იყოს ძველი მსოფლიოს ისტორიისა და არქეოლოგიის, რაც შეიძლება მაქსიმალურად დაახლოება, ამ ორი დარგის ნებისმიერი სპეციალისტი ერთნაირად კარგად უნდა ერკვეოდეს, როგორც ისტორიაში ისე, არქეოლოგიაში. ის, რომ მამას ძალიან ბევრი მასალა აქვს შესწავლილი, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში და ახლა დაგროვილი ცოდნის რეალიზაციას ახდენს მას, ბუნებრივია ეხმარება და ბავშვობიდან ეხმარებოდა... ბატონ ემზარს ახსოვს მამამისის წიგნები, ბიბილიოთეკა, სწორედ მამამ შეაყვარა კითხვაც, ისტორიაც და არქეოლოგიაც.

***„ზოგადად, როცა ასეთი რანგის მამა გყავს, რა თქმა უნდა, მცირე უხერხული ნიუანსები არსებობს, რომლებიც მუდამ დასაძლევია საამისოდ, რომ არ დარჩე მამის ჩრდილქვეშ და ეს არ არის ადვილი, მაგრამ თუ ადამიანი ზეამბიციური და განსაკუთრებული ამპარტავნებით შეპყრობილი არ არის, მისთვის საამაყო უნდა იყოს ის, რომ სახელოვანი მამის შვილია.“*** — ასე ფიქრობს ბატონი ემზარ კახიძე.

ის ქალაქში გაიზარდა, მიწასთან შეხება არ ჰქონია და ამიტომ უფრო მეტად თეორიული ცოდნის გაღრმავება არჩია პრაქტიკულ საქმიანობას. 2002 წელს თსუ-ში დაიცვა დისერტაცია თემაზე “რომის იმპერია და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ახ.წ. I-V სს-ში”. ეს ოდნავ გვიანდელი პერიოდია, ვიდრე ფიჭვნარი, მაგრამ, მაინც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბატონი ემზარის აზრით, ეს ორი პერიოდი მჭიდრო ურთიერთკავშირშია.

*რამ განსაზღვრა საქართველოს კულტურული მატრიცა?*

*ემზარ კახიძის სამეცნიერო ხედვები:*

*„ანტიკური სამყაროს შემოსვლამ ჩვენს რეგიონში გამოიწვია ის სერიოზული ცვლილებები, რომლებმაც განაპირობა საქართველოს ქრისტიანული ცივლიზიაციის ქვეყნად ჩამოყალიბება. ასევე საინტერესოა რომის იმპერიის შესწავლა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურთიერთშედარება, მაგ., როგორები იყვნენ ბერძნები და რომაელები? რა ურთიერთობა ჰქონდათ ადგილობრივებთან? აქ ჩანს აშკარა კონტრასტები და იკვეთება არამარტო ადგილობრივი კონტექსტი, არამედ განსხვავება ამ ორ დიდ ცივილიზაციას შორის. აშკარაა, რომ ფიჭვნარში ბერძნები და კოლხები ერთმანეთთან მჭიდროდ ურთიერთობდნენ, მათ ერთმანეთის ტრადიციებიც კი გადაიღეს, რაც ფიჭვნარის მაგალითზე ნათლად აისახა. რაც შეეხება რომაულ პერიოდს, აქ ცოტა უფრო დისტანციური ურთიერთობაა. რომაელები სამხედრო სტრატეგიის ხალხი იყო, მათ გონიოს ციხეში, იმდროინდელ აფსაროსში გარნიზონი ჰყავდათ ჩაყენებული. იმ ჩაკეტილი სამყაროს პირობებში კონტაქტები გაცილებით უფრო შეზღუდულად ყალიბდებოდა. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ რომის იმპერიაში, თუნდაც არაფორმალურად ყოფნამაც კი (კოლხეთი არასდროს ყოფილა ფორმალურად რომის იმპერიაში), მისმა გავლენამ განაპირობა ქრისტიანობის გარცელება საქართველოში. გონიოსთან მიმართებაში, ჩვენ გვაქვს პირდაპირი ცნობები მასზე, რომ რომაელი ჯარისკაცები ქრისტინობას ავრცელებდნენ და ისინი ამისთვის ისჯებოდნენ. ასეთმა კონტაქტებმა, ბუნებრივია, გზა გაუხსნა წარმოშობით აღმოსავლურ, მაგრამ დასვლურ იმპერიაში ცირკულირებად იდეოლოგიას და საქართველოს მომავალი კუტურული მატრიცა განსაზღვრა.*

*ქართველები დღემდე, ცოტა არ იყოს შეზღუდულად აღვიქვამთ ჩვენს ისტორიას, რატომღაც ითვლება, რომ საქართველო დასავლური კულტურის ნაწილია, თუმცა კარგად ჩანს და არქეოლოგიაც ადასტურებს, რომ საქართველო, როგორც ცივილიზაცია აღმოსავლურ სამყაროში დაიბადა, ამაზე ბევრი ფაქტი მეტყველებს, განსაკუთრებით ბოლოდროინდელი აღმოჩენები, მათ შორის აჭარაში. ჯერ კიდევ ქ.წ. 3000 წლებში, აქ სავაჭროდ, მოდიოდნენ ხათები, როგორც ჩანს, აინტერესებდათ აქაური მეტალურგია. მე ვემხრობი იმ აზრს, რომ ფარნავაზის მიერ შემოღებულ ნოვაციები, მათ შორის, რელიგია, უკავშირდება სპარსულ სამყაროს, რაც აშკარად მიანიშნებს იმაზე, რომ ქართული სამყარო, განსაკუთრებით აღმოსავლეთი საქართველო, აღმოსავლური ცივილზაციის ნაწილი, შეიძლება ითქვას, მისი განაპირა რეგიონი იყო და დროთა განმავლობაში გადაინაცვალა ანტიკური სამყაროსკენ, თუმცა აქაც პერიფერიულობის სტატუსი არ დაუკარგავს. ბუნებრივია, ამგვარი ტრანსფორმაცია უმტკივნეულოდ არ ჩაივლიდა. აღმოსავლეთის შეტევა საქართველოს მიმართულებით შეიძლება ერთგვარი რევანშის,*

*გავლენის ძველი არეალის „მშობლიურ წიაღში“ დაბრუნების მცდელობად აღვიქვათ. ეს პროცესი ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებითანავე დაიწყო და განსაკუთრებით VI საუკუნეში გამძაფრდა, როდესაც ორი მსოფლიო ცივილიზაცია ერთმანეთს შეეჯახა, ჯერ აღმოსავლეთ, შემდეგ კი დასავლეთ საქართველოში. საბოლოოდ, ბუნებრივია, რომ გაიმარჯვა დასავლურმა ვექტორმა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ჩვენს კულტურაში ძალიან ღრმა აღმოსავლური ელემენტების არსებობას. დღესაც კარგად ვხედავთ, ბევრი აღმოსავლეთევროპული ქვეყნისგან განსხვავებით, ჩვენთან დასავლური რეფორმები მარტივად არ გატარდა, რაც არ არის შემთხვევითი.“*

### *გათხრები და გამოცემები*

ემზარ კახიძის ძირითადი სამეცნიერო თემა საქართველოსა და ანტიკური სამყაროს ურთიერთობებია. ამ მიმართულებას არასდროს წყდება. ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში მუშაობამ კიდევ უფრო დაახლოვა ფიჭვნართან. წელს მონაწილეობდა ექსპედიციაში, საკუთარი უბანიც გახსნა და იქ ჩაატარა გათხრები. წვიმიანი ამინდების გამო, საკონტროლო თხრილით შემოიფარგლა. ბენებრივია, აპირებს მუშაობის გააგრძელებას ამ მიამრთულებით, თუმცა, ცხადია, არც რომაული ხანა დარჩება უყურადღებოდ. მისთვის ძალიან საიტერესოა აღმოსავლეთ სამყაროსთან საქართველოს ურთიერთობების თემა და ხათების ისტორია. ბატონი ემზარის თქმით, დასავლეთ საქართველოში აღმოსავლური არტეფაქტი ნაკლებადაა, მაგრამ ხათური კულტურის გავლენა აშკარად იგრძნობა. მას აინტერესებს გაარკვიოს, თუ რამ ჩამოიყვანა აქ ხათები. ხათური ექსპანსია მცირე აზიის გარეთ ასე ინტენსურად სხვაგან არსად ფიქსირდება. ხათები უფრო ჩაკეტილი საზოგადოება იყო, ვიდრე ხეთები. თუმცა, არც ხეთები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სამხედრო აქტივობებით...

*„მამაჩემის ბოლო აღმოჩენებიდან გამომდინარეობს, რომ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო მეტალურგიის განვითარების ვრცელი არეალი იყო. სხვა ინტერესი მეტალურგიის გარდა ხათებს აქ არ უნდა ჰქონოდათ, რადგან ექსპანსიური მისწრაფებებით ისინი არ გამოირჩეოდნენ. ჩემი ეს ვარაუდი, ცხადია, არქეოლოგიურმა კვლევებმა უნდა დაადასტუროს, როგორც მინიმუმ ნივთმტკიცებით. მადანი არის, საჭიროა არტეფაქტების მოძიება. ძალიან მნიშვნელოვნად მეჩვენება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ დადასტურებული მსგავსი ფაქტების კვლევა. სამწუხაროდ, ვერ ხერხდება გასვლა ინდოეთში, ინდოჩინეთში... ეს მასალები უნდა შეიკრას და აშკარა გახდება, რომ ლოკალურ კი არა, გლობალურ ფენომენთან გვაქვს საქმე.“*

ემზარ კახიძეს მამასთან ერთად გამოცემული აქვს მონოგრაფია “ფიჭვნარი V“. მან ბერძნული კოლანიზაციის შედეგების თეორიულ ნაწილზე იმუშავა, მონოგრაფიის ერთი თავი მიუძღვნა იმ თემას თუ რა შედეგებია მიღწეული ანტიკური კოლონიზაციის

მიმართულებით. დაწვრილებით აქვს გაწერილი თუ რა ტიპის გავლენები მოახდინა ანტიკურმა კოლონიზაციამ.

აქტიური მონაწილეა ჭანეთის მატერიალური ძეგლების აღწერის პროექტისაც. ბსუ-ს გუნდმა შოთა მამულაძის ხელმძღვანელობით, ორჯერ გაიმარჯვა რუსთაველის ფონდის კონკურსში, რის შედეგადაც მოახერხეს აღმოსავლეთი და შემდეგ ცენტრალური ჭანეთის აღწერა.

*მუზეუმი*

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მმართველად პანდემიის დაწყებამდე დაინიშნა. მუზეუმის დიგიტალიზაციასთან დაკავშირებით მას პანდემიამდეც ჰქონდა გარკვეული მოსაზრებები, რომლებიც თითქოსდა განამტკიცა თანამედროვე ყოფამ. ბათუმის მუზეუმის ვიზიტორების რაოდენობა დამოკიდებულია სეზონზე, ამიტომ მას მიაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ციფრული ტექნოლოგიების ათვისება, ვიზიტორებისთვის საინტერესო ისტორიების მოყოლა, იმიტაცია იმისა, თითქოს ადამიანი მუზეუმშია, ერთი სიტყვით, ბატონი ემზარი თვლის, რომ დიგიტალიზაცია ამ პირობებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან შრომატევადი საქმეა, უსათუოდ უნდა განხორციელდეს.

***„პანდემია დროებითი მოვლენაა, ვაქცინას გამოიგონებენ და 1-2 წელიწადში დამთავრდება ეს პრობლემა, მაგრამ მე მსურს, რომ ბათუმის მუზეუმს ზაფხულის გარდა, სხვა სეზონებზეც ჰყავდეს დამთვალიერებელი, გაჩნდეს შემოსავლის წყაროები. ამისთვის სხვადასხვა აქტივობას ვახორციელებთ, როგორც მოსწავლეებთან და სტუდენტებთან ისე, შეზღუდული შესაძლებლობების პირებთან. ეს მიმართულება კიდევ უფრო გასაძლერებელია. თუმცა, მტკიცედ მწამს, რომ სამეცნიერო საქმიანობა მუზეუმმა არ უნდა დაკარგოს და უსათუოდ უნდა განავითაროს საგამომცემლო მიმართულება.***

***მუზეუმს სჭირდება ახალი საგამოფენო დარაზი, ვფიქრობ ძალიან კარგი იქნება არქეოლოგიური სეზონის დასრულების შემდეგ დროებითი გამოფენების მოწყობა, გვინდა კონფრენციებისა და სამეცნიერო ფორუმების ორგანიზება მოვახეროხთ და ავიყვანოთ საერთაშორისო რანგში. შემდეგ კი ღონისძიების მასალები გამოვცეთ, როგორ ნაბეჭდი სახით ისე, ონლაინ რეჟიმში, რათა დაინტერესებული საზოგადოებისთვის ადვილად ხელმისწვდომი იყოს.”***

ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმს საერთაშორისო მუშაობის ცამეტწლიანი გამოცდილება აქვს. ოქსფორდის უნვერსიტეტის აშმოლის მუზეუმთან ახორციელებდა ერთოობლივ ექსპედიციას ფიჭვნარში. თვითონ ემზარ კახიძემ ურთიერთობები დაამყარა ვარშავის უნივერსიტეტის არქეოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტებთან. ოქსფორდის გეოფიზიკური კვლევების ლაბორატორია დაინტერესებულია რკინის მეტალურგიით. რამდენიმე წლის

# მუზეუმები და არტეფაქტები

წინ, ემზარ კახიძე ამ ლაბორატორიის წევრებთან ერთად მუშაობდა გურიასა და აჭარაში, ახლა ორივე მხარეს სურს, რომ განაახლონ ერთობლივი მუშაობა. ფიქრობს, რომ ეს ადამიანები ბრინჯაოს მეტალურგიით დააინტერესოს და თუ კვლევები დაატასტურებს, კიდევ ერთი არგუმენტი გაჩნდება იმისა, რომ ეს რეგიონი ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი მძლავრი მეტალოგენური ცენტრი იყო.

მომავალ წელს ფიჭვნარის კვლევის 60 წლის იუბილეზე, ფიქრობს კონფერენციის მოწყობას, რომელიც უფრო მეტად თემატური იქნება, ანუ ერთი დღე ფიჭვნარში გათხრებს მიეძღვნება, რაც ძალიან კარგი პრაქტიკაა.

*„წყალტუბოსა და ვანის ექსპედიციებში, ყოველთვის ასეთ პრაქტიკას ვიყენებდით და უცხოელი სპეციალსიტები აღფრთოვანებულნი იყვნენ.*

*წელს პოლონელები გეგმავდენ მასშტაბურ აეროფოტო გადაღებებს, მინდოდა, ფიჭვნარიც გადაეღოთ, მაგრამ ყველაფერი შეჩერდა ეპიდემიის გამო.*

*60 წელი ტრადიციულმა არქეოლგიამ გაიტანა ფიჭვნარი. ახლა უკვე დროა, რომ აქ ინოვაციები ჩაერთოს, ეს მარტო ჩვენი ძალისხმევით არ გამოვა, უცხოლების ჩართვა გარდაუვალია. ზოგადად, ჩემი მიზანია რეგიონული არქეოლოგიის ინტეგრირება თანამედროვე საერთაშორისო სამეცნიერო სივრცესთან.“*

*ვირტუალური პორტრეტები შექმნა მაია ჩოლოყაშვილმა*

Virtual Portraits

***Establishment of a new world order by COVID 19 caused many things to change on the Earth, including the everyday routine of museums and various publications. Georgian museums and our journal are no exception either. In 2020 'Online Archaeology' has failed to travel around exciting and bustling museums that used to be packed with visitors. Therefore, we decided to leave artifacts and create a virtual portrait gallery of those whose lives are given sense by museums and artifacts.***

***Who are the people that look after our museums and can understand the language of artifacts? What are they like? What do they find offensive and what makes them feel delighted?***

***Today 'Online Archaeology' presents virtual portraits of Mrs. Nino Jolia, Director of the Nokalakevi Archaeological Museum, and of Mr. Emzar Kakhidze, Director of the Batumi Archeological Museum.***

# Nino Jolia

*The Director of the Nokalakevi Museum-Reserve, Mrs. Nino Jolia comes from Village Dzveli Senaki. She graduated from the Abkhazian State University, Faculty of Philology. In 1980 she was appointed a supervisor at the Nokalakevi Archaeological Museum; then she was promoted to the position of a science researcher. In 1995 she became the head of the repositories, followed by the position of the curator in 2012 and since 2014 she has been the director of the museum.*

*Thus, Noklalakevi is an integral part of her life. She can clearly remember how the museum was opened, what it was like at the beginning and how it progressed…*

*And today the most pleasant and interesting conversationalist-guide of the modernized museum of Nokalakevi is the director of the museum Nino Jolia. Her position and status do not oblige her, but it is her desire that she never lets a guest leave Nokalakevi without taking advantage of once again sharing the past of this marvelous site with them and enjoying its present day in anticipation of better future…*

***At the origins of the museum and Nino Jolia joining us from Nokalakevi:***

***"When Parmen Zakaraia founded the Nokalakevi museum-reserve, it was an office of a typical farm unit, which was later converted to a museum. Foundation for the museum-reserve in Nokalakevi was laid on the initiative of Parmen Zakaraia in 1979. However, it was opened ten years later when a public festival of Egrisoba was held here.***

***The first exposition was opened with three halls. Two were dedicated to the Kingdom of Colchis and exhibits of Egrisi Kingdom were displayed in the third. Chronological range of the exhibits displayed here is 3500 years. All of them were obtained on the territory of the city-site of Nokalakevi."***

Nino Jolia can clearly remember where each artifact was displayed. For instance, zoomorphic sculptures of ritual function, which date to the 8$^{th}$ -7$^{th}$ cc BC and had been found between the fences, were exhibited in the hall of Colchis.

***Director of the Museum and her responsibilities***

The Nokalakevi Museum-reserve is an increasing repository. Archaeological excavations take place here every year and, accordingly, artifacts obtained through excavations enter the museum every year. The Director has great responsibilities.

Mrs. Nino is not afraid of these responsibilities. Her life creed is as follows:

***"Permanent development with the museum".***

She has taken part in training courses and is holder of many certificates. In 2015 Ministry of Culture and Monument Protection of Georgia awarded her with a Certificate of Gratitude in recognition of the contribution made to the museum by her.

In 2020 she did the first online training course carried out by the USAID program of National Parks and Ecotourism and received a proper certificate.

***Nino Jolia joining us from Nokalakevi:***

***"At the moment a new museum is being built. Before it is finished, the exhibits are kept in the repository of Zhiuli Shartava museum, where a special, sealed room is allocated for them. As soon as construction is over, the artifacts will be transferred here and exhibited in the museum-reserve."***

Rehabilitation works in the Nokalakevi Museum-Reserve began in 2016 and they are successfully underway. The works are financed by the Georgian government and the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia. Rehabilitation works were carried out on all the segments situated in the lower part of Nokalakevi, rehabilitation of Schneider Tower was accomplished, construction of the building for the museum has started. Apart from the artifacts, the museum will house a chemical-restoration laboratory equipped with modern technologies, which will serve the whole western Georgian region.

***Nino Jolia is joining from Nokalakevi:***

***"It is a challenge, but delightful expectations generate special courage. On seeing how your region and your business is being developed, resulting from your responsibility, you leave all the fears behind. Yes, against the background of such advance, we are working with the enthusiasm which is stronger than any responsibility".***

The worst memories are from the 1990s. Excavations did not take place then. The museum operated as usual, but because of lack of visitors, the staff worked in shifts. Now the museum is looking forward to the time when the pandemic is over so that it continues its public activities, get back to children's archaeology, photo materials and various projects.

***Nino Jolia is joining from Nokalakevi:***

***"Prior to the pandemic, all the schools of Samegrelo-Zemo Svaneti were involved in the project of children's archaeology. Generally, any event – every Mother's Day, International Museum Day... held in Nokalakevi has been attended by a lot of people. In short, every event is marked festively.***

***Every May 18 pupils of various schools and generations arrive in the museum and we hold the 'Night in the Museum' together. The whole Senaki celebrates, the region comes to life and rejoices…"***

***All 'Online Archaeology' can do is wish Mrs. Nino***

***Many crowded and joyful May 18s in the New Year!***

# Emzar Kakhidze

Emzar Kakhidze is the son of an honored archaeologist, Mr. Amiran Kakhidze and it is difficult to identify whether he finds it easy to establish his individual niche in the scholarly community which his father has been serving selflessly and successfully for over half a century.

Although Emzar Kakhidze did not exactly follow his father's footsteps, he is a specialist of the history of ancient world. He has long adopted Niko Berdzenishvili's concept which implies that the aim of a scholar must be to bring the history and archaeology of ancient world together as much as possible, any expert of this field must be equally knowledgeable about both history and archaeology. Indeed, he finds the fact that his father has investigated a lot of material, especially in recent times, and is now implementing the accumulated knowledge, extremely helpful and it has been so since his childhood… Mr. Emzar can remember his father's books, the library; it was his father who made him love reading, history and archaeology.

***"Generally, when you have a father of this rank, of course, there emerge minor embarrassing nuances that permanently have to be overcome in order to escape your father's shadow, which is rather hard. However, if a person is not super-ambitious and obsessed with arrogance, they should take pride in being an offspring of a famous person".*** This is how Mr. Emzar Kakhidze sees it.

He grew up in the city without having touch with the land and this is why he decided to deepen his theoretical knowledge rather than practical one. In 2002 he defended a dissertation on the subject: 'Roman Empire and South-Eastern Black Sea Coast in the $1^{st}$ -$5^{th}$ cc AD' at the Tbilisi State University. It deals with a later period than Pichvnari, but it is still very important because, as Mr. Emzar Kakhidze thinks, these two periods are in close relationship.

***What was something that determined Georgia's cultural matrix?***

***Emzar Kakhidze's scientific visions:***

*"Advent of the antique world in our region brought about the major changes that determined formation of Georgia as a country of Christian civilization. Equally interesting is the study of Roman Empire, especially important is comparison, e.g. what Greeks and Romans were like? What relationship did they have with locals? Here appear vivid contrasts and not only the local context, but differences between these two civilizations too. It is obvious that in Pichvnari Greeks and Georgians had very close contact, they even adopted each other's traditions, which is clearly evidenced in the example of Pichvnari as well. As far as Roman period is concerned, the relationship is a little distanced. Romans were people of military strategy, they had their garrison camped in Gonio Fortress, then referred to as Apsaros. As it was a closed world, contacts were formed in a much more restricted manner. However, in my opinion, even informal presence within the Roman Empire (Colchis never was part of the empire), its impact conditioned spread of Christianity in Georgia. With respect to Gonio, we have direct accounts that Roman soldiers disseminated Christianity and were punished for it. Naturally, such contacts made way to Eastern ideology circulating in the western empire and determined the future cultural matrix of Georgia.*

*We, Georgians, perceive our history in a kind of limited way. It is, for some reason, considered that Georgia is part of western culture; however, it is obvious, and archaeology proves, too, that Georgia, as a civilization born in the oriental world, which is documented by many facts, especially by recent discoveries, including in Adjara. As early as in the 3000s BC, proto- Hittites carried on commerce here and they seem to have been interested in local metallurgy. I am in favor of the opinion that the innovations, including religion, introduced by Parnavaz were related to the Persian world, which clearly indicates that the Georgian world, especially eastern Georgia, part of eastern civilization, can be regarded as its outmost region which switched to the antique world over time, although it retained the status of periphery here too. Naturally, such transformation must have caused certain problems. The attack of the orient in the direction of Georgia can be perceived as an attempt of revenge, of going back to the former 'native place'. This process began in Kartli on declaring Christianity as a state religion and especially intensified in the 6th century, when two world civilizations collided, first in eastern Georgia, and then in western one. Eventually, of course the western vector won a victory. However, it does not exclude presence of deep eastern elements in our culture. We can still see, unlike many eastern European countries, that western reforms were hard to carry out in Georgia, which is not accidental."*

***Excavations and publications***

Emzar Kakhidze's main scientific subject is relationships between Georgia and the antique world. He never changes the course. Working in the Archaeological Museum of Batumi brought him even closer to Pichvnari. This year he participated in the expedition, opened his plot and conducted excavations there. Due to unfavorable weather conditions, he only examined a prospecting trench. Indeed, he is going to continue work in this direction, but he is not going to leave the Roman period either. He finds the topic of Georgia's relationship with the eastern world and the history of proto-Hittites very interesting. As Mr. Emzar Kakhidze says, in western Georgia eastern artifacts are not found in large numbers, but the influence of proto-Hittite culture is obvious. He is keen to find out what made the proto-Hittites arrive in Georgia. Such an intensive proto-Hittite expansion is not recorded anywhere else outside Asia Minor. Proto-Hittite society was more closed than the Hittite one, although neither

Hittites stood out by their military activities…

***"Resulting from my father's recent discoveries, south-west Georgia was a vast area of development of metallurgy. The proto-Hittites were unlikely to have any other interest here rather than metallurgy, because they were not characterized by expansionist striving. This suggestion of mine, indeed, have to be proved by archaeological excavations, at least by physical evidence. There is an ore, it is necessary to find artifacts. I think investigation of similar confirmed facts beyond our country is very important. Regrettably, it is impossible to travel to India, Indo-China… these materials should be compiled and it will become clear that we are dealing with not a local, but a global phenomenon."***

Together with his father, Emzar Kakhidze has published a monograph 'Pichvnari V'. He worked on the theoretic aspect of Greek colonization, dedicated one chapter to the topic what results have been achieved in the direction of antique colonization. He has provided insights of what kind of impacts antique colonization caused.

Mr. Emzar Kakhidze is an active participant of the project of description of the material culture of Chaneti. A team of the Batumi State University under the leadership of Shota Mamuladze, has won the competition of Rustaveli Foundation twice, which enabled them to accomplish description of eastern and, later, central Chaneti.

***Museum***

He was appointed as the manager of the Batumi Archaeological Museum before the pandemic. He had come up with certain ideas with respect to digitalization of the museum before the pandemic, which were as if consolidated by the modern way of life. The number of visitors in the Batumi museum depends on seasons; therefore, he believes that it is very important to adopt digital technologies, tell visitors interesting stories, create an imaginary situation of one visiting the museum. In short, Mr. Emzar Kakhidze thinks that in present conditions digitalization has become even more important and, although it is labor-consuming, it must be accomplished.

***"Pandemic is a temporary phenomenon; the vaccine will be found and the problem will end in a couple of years. Despite this, I would like the Batumi museum to welcome visitors during other seasons as well, to make sources of income emerge. In order to make it happen, we are accomplishing different activities with pupils and students, as well as with disabled persons. This direction needs to be enhanced. However, I strongly believe that the museum should continue scientific activity and should develop the direction of publishing.***

***The museum is in need of a new exhibition hall. I think it would be nice if we arranged a temporary exhibition on completion of an archaeological season. We would like to manage to organize conferences and scientific forums and take them up to an international level. Afterwards, we should publish the materials of events both in hard copies and online in order to make them accessible to the interested public."***

The Batumi Archaeological Museum has a 13-year-old experience of international cooperation. It conducted joint campaign in Pichvnari with the Ashmolean Museum of Oxford University. Emzar Kakhidze himself established relationships with the specialists of the Archaeological Institute of

Warsaw University. Oxford Geophysical Research Laboratory is interested in iron metallurgy. Several years ago, Emzar Kakhidze worked together with the members of this laboratory in Guria and Adjara. Now both sides are willing to resume collaboration. He is thinking of attracting their interest to bronze metallurgy and if research confirms, there will emerge an additional argument in favor of the suggestion that this region was one of the strongest metallogenic centers of ancient world.

Next year, on the 60th anniversary of Pichvnari research, he is planning to hold a conference which will be more thematic, i.e. one day will be dedicated to Pichvnari excavations., which is a very good practice.

***“We usually used such practice in Tskaltubo and Vani expeditions which foreign specialists were excited about.***

***This year our Polish colleagues were planning to conduct large-scale aerial photographing, I wanted them to take photos of Pichvnari as well, but everything was suspended due to the pandemic.***

***Pichvnari has enjoyed traditional archaeology for 60 years. Now it is time for innovations to be involved. However, our efforts only will not be enough, it is necessary to engage foreign scholars. In general, my aim is to integrate regional archaeology in the modern international scholarly community.”***

***Virtual portraits created by Maia Cholokashvili***

# დიდი კაცი

*გიორგი ლორთქიფანიძე*

თუ ვინმეს შეუძლია წარმოიდგინოს ადამიანი, რომელიც ერთდროულად სიკეთის, სამშობლოს სიყვარულისა და კეთილშობილების განსახიერებაა – ასეთი გახლდათ ცნობილი ქართველი არქეოლოგი, არმაზის ადრეული კულტურის მკვლევარი და დუშეთის ეთნოგრაფიული მუზეუმის დამაარსებელი, პროფესორი რამინ რამიშვილი. ჩემი უფროსი მეგობარი და სამაგალითო პიროვნება.

ბატონი რამინის სამეცნიერო მიღწევებზე – ბიჭვინთის ექსპედიციიდან ჟინვალის ექსპედიციამდე – მისი კოლეგები ჩემზე უკეთ საუბრობენ და წერენ, მე კი ამ მოკლე ესკიზში მის ზოგიერთ ადამიანურ თვისებაზე მსურს გავამახვილო ყურადღება.



# არქეოლირიკა

## ანუ მოგონებები რამინ რამიშვილზე

სიკეთე და უბრალოება ჰარმონიულად ერწყმოდა ერთმანეთს ბატონი რამინის ხასიათში. ზედმეტი თხოვნა მას არასოდეს სჭირდებოდა, თავად მიგიხვდებოდათ ხოლმე გასაჭირს და პირველი გაგიწვდიდათ დახმარების ხელს, თანაც გააკეთებდა ამას უაღრესად ტაქტიანი და ნებისმიერი ადამიანის ღირსებისთვის სრულიად მისაღები ფორმით. ეს ოჯახშიც მინახავს და ოჯახის გარეთაც.

დღესაც ვამაყობ იმით, რომ 1971 წლის ზაფხულში ბატონმა რამინმა ფიზიკის ფაკულტეტის პირველკურსელი სტუდენტი (სამ სხვა თანაკურსელთან ერთად) წამიყვანა შრომით პრაქტიკაზე ანანურში. მეამაყება კი იმიტომ, რომ უნებლიედ თანაზიარი გავხდი იმ დიდი ეროვნული საქმისა, რომელსაც საქართველოს მატერიალური წარსულის გადარჩენა ჰქვია.

საქმე ის არის, რომ მაშინ იქ იწყებოდა ჟინვალის წყალსაცავის მშენებლობა, არაგვის ხეობის მნიშვნელოვანი ნაწილი წყლით უნდა დაფარულიყო და ჩასაძირად განწირული არტეფაქტების აღნუსხვა, ისტორიისთვის გადარჩენა მხოლოდ არქეოლოგებს შეეძლოთ... და მაშინ ამ ექსპედიციის მონაწილეებმა რამინ რამიშვილის ხელმძღვანელობით, ამ დღეს უკვე უხილავი სიმდიდრის შთამომავლობისთვის შეუნარჩუნება შეძლეს.

ბატონი რამინი მომდევნო წლებშიც მხარში მედგა, როგორც მამა და უფროსი მეგობარი. დროდადრო რუსულიდან ქართულად (ან პირიქით) სპეციფიკურ სამეცნიერო ტექსტებს მათარგმნინებდა. ამ ძალისხმევის პოზიტიური შედეგი ჩემთვის არა მხოლოდ სამუშაოს შესრულებაში მიღებული გასამრჯელო გახლდათ, არამედ გაფართოება ჩემი ზოგადი ცნობიერების სპექტრის. ამგვარ ტექსტებზე მუშაობამ შესაძლებლობა მომცა საკმაოდ ღრმად გავცნობოდი შემეცნების ისეთ სფეროებს, რომლებსაც ჩემს მაშინდელ სამეცნიერო ინტერესებთან თითქოსდა არაფერი ჰქონდა საერთო. სამაგიეროდ თარგმნის პროცესში მიღებული ცოდნა შემდგომ, უკვე წლების მერე, ნამდვილად გამომადგა ლიტერატურულ საქმიანობაში, ანუ იქ, სადაც მიმდინარე თუ მოსალოდნელ მოვლენათა აღქმისა და ანალიზის თვალსაზრისით, ფართო თვალსაწიერი და ზოგადი ერუდიცია აუცილებელია.



ბატონ რამინს, თავადაც გამორჩეული ოჯახის თვალსაჩინო წევრსა და დახვეწილ ინტელიგენტს, მეგობრებიც გამორჩეული ჰყავდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წლობით გამოწრთობილი მეგობრული ურთიერთობა კინორეჟისორ გიორგი დანელიასთან. არ მახსენდება შემთხვევა, დანელია თბილისში ჩამოსულიყო და რამინთან ოჯახში არ მისულიყო სტუმრად. ამ ორ უნიჭიერეს ადამიანთან რამდენჯერმე მეც, მათზე გაცილებით

უმცროსს, წილად მხვდა მოლხენა პატარა „კულტურულ“ სუფრათან (ამ სუფრებიდან გია ყანჩელიც მახსოვს). მე, ცხადია, მეტწილად ვდუმდი და მათ ვუსმენდი... დღეს ჩემთვის გასაგებია, რომ ეს მოსმენაც კი დიდი და ფასდაუდებელი გაკვეთილი იყო.

ხელოვნება, მოგეხსენებათ, დიდი ძალაა. ხშირად ჩვენ – ზოგჯერ შეგნებულად, უფრო ხშირად კი ქვეცნობიერად, ვპოულობთ ხოლმე ჩვენთვის ძვირფას ადამიანებში რომელიმე მხატვრული გმირის ნაკვთებს. ჩემს წარმოდგენაში, რამინ რამიშვილის პიროვნებასთან ახლოა და მისი მხატვრული ანალოგი გახლავთ კახი კავსაძის გმირი მერაბ კოკოჩაშვილის ცნობილი ფილმიდან „ცხელი ზაფხულის სამი დღე“. ყოველთვის, როდესაც ამ ფილმს ვუყურებ ბატონი რამინის ჟინვალ-ანანურის სტუდენტური ექსპედიცია მახსენდება. სწორედ ამოტომ არაერთხელ მინახავს და მუდამ ბოლომდე ვუცქერ, თითქმის ზეპირად ვიცი... მართალია, ფილმს ტრაგიკული დასასრული აქვს, გმირი ვერ უძლებს ზებუნებრივ ძალებსა თუ საზოგადოებრივ უმადურობასთან უთანასწორო ჭიდილს და ამ ბრძოლაში მარცხდება, რამინ რამიშვილი კი ღმერთმა ხანგრძლივი (თუმცა, ცხადია, არასაკმარისად) სიცოცხლით დააჯილდოვა და მას ბევრი კარგი საქმის გაკეთების საშუალება მისცა, მაგრამ ძირითადი რაც მთავარ გმირსა და ბატონ რამინს აერთიანებს, ეს არის ქვეყნისა და მისი ისტორიის ერთგულება და ის უცნაური, თავდაუზოგავი და უანგარო სიყვარული არჩეული პროფესიის მიმართ, რომელიც გამორჩეული, განსხვავებული და უკეთესი ადამიანების იმანენტური თვისებაა მხოლოდ. რამინ რამიშვილის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობაც ხომ სამშობლოს ბედნიერებისთვის თავდადება იყო, თუმცა, ფრიად მორიდებული. ეს ის გმირობაა, რომელსაც მდარე ყოველდღიურობაში ხშირად ვერ ვამჩნევთ, რადგან ბუნებრივად მოკრძალებულია, ამიტომ ხდება ის, რომ ხშირად „დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიან“.

ზემოთქმულს დავუმატებდი, რომ ბატონმა რამინმა ჩვენს საზოგადოებას ორი შესანიშნავი ადამიანი და მისი საქმის გამგრძელებული დაუტოვა: შვილები ქეთევან და პაატა რამიშვილები თავიანთი ოჯახითებითურთ.

ზოგჯერ ვფიქრობ ხოლმე: ნეტავ, ბევრი ჰყავდეს საქართველოს ბატონი რამინის მსგავსი სიკეთითა და ცოდნით სავსე კეთილშობილი, სინდისიერი და მორიდებული მამულიშვილი.



# რამინ რამიშვილი და ქრისტიანული არქეოლოგია

*ქეთევან რამიშვილი*

მამა ხშირად მეტყოდა ხოლმე, არქეოლოგია ჩემი პროფესია არ გეგონოს, ეს ჩემი სულიერი მდგომარეობა, ჩემი შთაგონება და აღმაფრენააო. ძნელი იყო არ დავთანხმებოდი, რადგან კარგად მახსოვს, თუ რა დიდი სიყვარულითა და ენთუზიაზმით, რა დიდი ძალისხმევითა და პასუხისმგებლობით, თავდაუზოგავად ეკიდებოდა ყველა იმ საკითხს, რომლებიც არქეოლოგიასთან იყო დაკავშირებული. მისი კოლეგები და მოსწავლეები თავიანთ მოგონებებში ბევრს საუბრობენ რამინ რამიშვილზე, როგორც ნამდვილ პროფესიონალზე, უაღრესად სათნო და გულისხმიერ ადამიანზე. ისინი აღნიშნავენ მის სამეცნიერო მიღწევებს, ასევე იგონებენ რამინ რამიშვილის საექსპედიციო, საგამოფენო, პედაგოგიურ, პუბლიცისტურ და განსაკუთრებით, აღმშენებლობით საქმიანობას, რადგან დუშეთის არქეოლოგიური ბაზის, სოფელ მილახვრიანთკარის ჭილაშვილების სასახლის დაარსება და ამ სასახლის აღდგენა–

# არქეოლირიკა

## ანუ მოგონებები რამინ რამიშვილზე

აღორძინება მისი მოვლა-პატრონობა რამინ რამიშვილის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამსახურება გახლავთ. სამეცნიერო მოღვაწეობის გარდა, იგი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ასპარეზზეც, იყო საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი. მან საქართველოს ტელევიზიაში შემოიღო გადაცემათა ციკლი „გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“. მამას მრავალმხრივ საქმიანობაზე დაუსრულებლად შემიძლია საუბარი, მაგრამ ჩემს ამ მოგონებაში მინდა ყურადღება გავამახვილო მისი მოღვაწეობის იმ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროზე, რომელსაც საქართველოში ქრისტიანული არქეოლოგიის დაარსება-განვითარება ჰქვია.

ქრისტიანული არქეოლოგია, როგორც ისტორიული მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი, საქართველოში შედარებით გვიან ჩამოყალიბდა, თუმცა ადრექრისტიანული ხანის სიძველეთა კვლევას ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა და ცალკეული მეცნიერები ქმნიდნენ ისეთ ფუნდამენტურ ნაშრომებს, რომლებიც ნათლად წარმოაჩენდა ქრისტიანული კულტურის ისტორიის სხვადასხვა საკითხს. ისინი სათანადოდ იკვლევდნენ საქართველოს ისტორიაში ქრისტიანობის როლსა და მნიშვნელობას.

ძალიან კარგად მახსოვს 1978 წელი, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს მამამ მომახარა, რომ მისი ოცნება ახდა, რადგან არქეოლოგიურ კვლევის ცენტრში შუა საუკუნეთა ხანის არქეოლოგიის განყოფილების ბაზაზე, რომლის ხელმძღვანელიც თავად გახლდათ, მისი ინიციატივითა და ძალისხმევით შეიქმნა ადრე შუა საუკუნეთა ხანის არქეოლოგიის ლაბორატორია, რომლის ძირითადი მიზანი ქრისტიანული არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის, ფორმირება იყო. მალე მამამ განყოფილებაში დააარსა ქრისტიანული არქეოლოგიის მუდმივმოქმედი სემინარი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მეცნიერების ამ დარგის თანდათანაობით ჩამოყალიბებაში.

ამ სემინარების მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს საუკეთესო ისტორიკოსები, თანდათან ფართოვდებოდა კვლევითი პროგრამა და ისახებოდა გეგმები საქართველოში სამეცნიერო სესიების მოსაწყობად. სულ ჩატარდა 7 კონფერენცია (მათ შორის პირველი რესპუბლიკური კონფერენცია მიეძღვნა ქრისტიანული არქეოლოგიის პირველი მსოფლიო კონგრესის 100 წლისთავს და ამ კონგრესის დამაარსებლის გ. როსის ხსოვნას, მეორე — ივ. ჯავახიშვილის 120 წლისთავს, მეოთხე — იესო ქრისტეს მოვლინების 2000 წლისთავს; მეექვსე — მ. ბროსეს ხსოვნას და სხვ.). რამინ რამიშვილის რედაქტორობით გამოიცა ამ კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებათა მოკლე შინაარსების ექვსი კრებული, ხოლო მეშვიდე მზადდება გამოსაცემად. კონფერენციებზე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები, ასევე უცხოელი სტუმრები. კარგად მახსოვს, რა დიდი სიხარულით მიამბობდა თავისი წარმატებული გამოსვლის შესახებ ქრისტიანული არქეოლოგიის მე-12 მსოფლიო კონგრესზე, რომელიც ქ. ბონში გაიმართა, თუმცა სამწუხაროდ, მე-13 მსოფლიო



კონგრესის მუშაობაში, რომელიც ქ. სპლიტში ჩატარდა, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უსახსრობის გამო, მან მონაწილეობა ვეღარ მიიღო.

არქეოლოგიურ კვლევის ცენტრში მუდმივმოქმედ სემინარებზე მიმდინარეობდა მუშაობა ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიც იყო (რ. რამიშვილის მიხედვით):

1. ქრისტეს პირველმოციქულთა მოღვაწეობა საქართველოსა და კავკასიაში.

2. იუდეველ ქრისტიანთა ღვაწლი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით.

3. ადრეული ქრისტიანობა და საქართველო არქეოლოგიური მასალების მიხედვით (უძველესი ქრისტიანული ნაგებობები, დაკრძალვის წესი, სამარხთა აღნაგობა, ქრისტიანული სიმბოლოებით შემკული ნივთები, სტელები და სხვ.).

4. ქრისტიანული წელთაღრიცხვის პრობლემა და ქართული ქორონიკონი.

5. უძველესი ქრისტიანული კერები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

6. წმინდანთა ეროვნული პანთეონის ჩამოყალიბების სათავეებთან.

მნიშვნელოვანია, რომ ქრისტიანული არქეოლოგიის სემინარებზე სისტემატურად ტარდებოდა „დავათის საუბრები“, რაც ამ უნიკალური ძეგლის საფუძვლიან შესწავლას ითვალისწინებდა. ხშირად, თავადაც ვესწრებოდი ამ სხდომებს და მეცნიერთა შორის ცხარე კამათისა და დებატების მოწმეც არაერთხელ გავმხდარვარ. ამ ძეგლის ყოველმხრივი შესწავლის საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა რამინ რამიშვილის მონოგრაფიამ „არქეოლოგიური კვლევა-ძიება დავათში.“

და ბოლოს, მინდა გულისტკივილით აღვნიშნო, რომ მამას გარდაცვალების შემდეგ, ქრისტიანული არქეოლოგიის სემინარის მუშაობა შეჩერდა, და ცხადია, კონფერენციებიც აღარ ტარდება. მაგრამ ვიდრე ამ საქმიანობის შესახებ მოგონება ისევ არსებობს და იდეა ჯერ კიდევ ცოცხალია, ვიმედოვნებ, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანი და საჭირო საქმე მომავალში კვლავაც აღდგება.

**რამინ რამიშვილის ბიოგრაფიული და არქეოლოგიური მოღვაწეობის ცნობები იხ. რუბრიკა „საქართველოს ღვაწლმოსილ არქეოლოგებში“, გვ. 137**

# Great Man

*Giorgi Lordkipanidze*

If one can imagine a man who is embodiment of kindness, patriotism and honor at a time – it was a renowned Georgian archaeologist, researcher of the early culture of Armazi and founder of Dusheti Ethnographical Museum, Professor Ramin Ramishvili, my elder friend and an exemplary person.

My colleagues can better speak and write about Mr. Ramishvili's scientific achievements – from Bichvinta expedition to Zhinvali expedition, but in this short sketch I would like to direct your attention to some of his personal characteristics.

Kindness and simplicity were harmoniously combined in Ramin Ramishvili's character. He never needed to be asked twice, he would guess what your problem was and lend his helping hand, do it extremely tactfully and in the form absolutely acceptable to anyone's dignity. I have seen this both in his home and beyond.

I am still proud of the fact that in the summer of 1971, Mr. Ramishvili took me, as a freshman of the Faculty of Physics (together with my three fellow students) to do work practice in Ananuri. And I am proud because I involuntarily became participant of the great national pursuit called rescuing of Georgia's material culture.

The point is that at the time they were starting construction of Zhinvali reservoir in the place. Major part of the Aragvi Valley had to be flooded and it was only archaeologists who could record the artifacts and save the history destined to submerge… And then the participants of this expedition under the leadership of Ramin Ramishvili managed to preserve the presently invisible wealth for generations.

Mr. Ramishvili supported me as a father and an elderly friend in the following years as well. He helped me translate specific scientific texts from Russian to Georgian (and vice versa) from time to time. I could see the positive effect of this effort not only in the pay received for the accomplished work, but also in broadening the spectrum of my general knowledge. Working on this kind of texts allowed me to deeply understand the kind of cognitive spheres that did not seem to have anything in common with my scientific interests at the time. In return, years later I made use of the knowledge I gained through translations in my literary work, i.e. in the sphere where, in terms of perception and analysis of current and feasible events, open-mindedness and general knowledge are vital.

Being a member of an outstanding family and a refined intellectual himself, Mr. Ramishvili's friends were outstanding too. Particularly remarkable was his years-long friendly relationship with a film director Giorgi Danelia. I can remember that whenever Giorgi Danelia arrived in Tbilisi, he would definitely pay a visit to Ramin Ramishvili's family. Being far younger than them, I was lucky to be able to attend a 'cultural' feast with these great persons (I can also remember Guia Kancheli from these gatherings). Indeed, I was mainly silent and just listened to them… Today I can understand that even this listening was an important and invaluable lesson for me.

Art, as is known, is a great power. We often, sometimes consciously, at other times, subconsciously, find features of some fictional heroes in people valuable for us. In my imagination, Ramin Ramishvili's

personality is very close to and is fictional analog of Kakhi Kavsadze's character from Merab Kokochashvili's famous film 'Three Days of Hot Summer". Every time I watch this film the memory of Ramin Ramishvili's Zhinvali-Ananuri student expedition comes back to my mind. This is why I repeatedly watch it to the end and I can remember it almost by heart… Although the film has a tragic ending, the hero cannot endure supernatural powers and unequal combat with public ingratitude and loses the fight, Ramin Ramishvili was granted a long life (indeed, insufficiently long) which allowed him to do many good deeds. However, the thing that the main character and Ramin Ramishvili have in common is love of their country, devotion to its history and the strange, selfless love of the profession chosen by them, which is an inherent quality of prominent, different and better humans only. Ramin Ramishvili's whole life and activity was just dedication, though modest, to his homeland's happiness. It is the heroism which we fail to recognize in everyday routine because of its natural humbleness, which is why often 'great men are lost unmarked'.

I would like to add that Mr. Ramishvili gave two wonderful persons and successors of his pursuits to our society, his children Ketevan and Paata Ramishvili with their families.

I sometimes think: if only Georgia had many kind, knowledgeable, honest and modest patriots like Mr. Ramin Ramishvili was!

# Ramin Ramishvili and Christian Archaeology

***Ketevan Ramishvili***

Dad would often tell me, “You don’t think archaeology is my profession, it’s my state of mind and inspiration.” It would be hard not to agree with him, as I can clearly remember how he approached any problem related to archaeology - with deep love and enthusiasm, great efforts, responsibility, and devotion. When his colleagues and students recall Ramin Ramishvili, they speak a lot about him as a real professional, as an extremely kind and sympathetic person. They point out his scientific accomplishments, remember Ramin Ramishvili’s expeditionary, exhibition, pedagogical, publicistic and, especially, building activities, such as founding of the Dusheti archaeological base – the Chilashvilebi palace of Milakhvriantkari Village. Its restoration, revival, and maintenance is Ramin Ramishvili’s one of the major contributions. Apart from scientific activities, he was active on the public arena too: he was a member of the Presidium of Historical Society. He introduced a cycle of programs ‘Take Care of National Treasure’ in Georgian television. I can speak endlessly about Dad’s versatile activities, but in this recollection, I would like to direct your attention to one of important fields of his activities which is called founding of Christian archaeology in Georgia.

Christian archaeology, as an independent branch of historical science, was formed in Georgia relatively late; however, investigation of early Christian period antiquities has always been subject of special attention and certain scholars have been creating fundamental works that clearly represented various problems of the history of Christian culture.

I can vividly remember the year of 1978, when one day Dad gave me good news about his dream having come true: on his initiative and with his efforts, a laboratory of early medieval archaeology was created on the basis of the department of medieval archaeology in the Archaeological Research Center, which he became the leader of. The aim pf the laboratory was to form Christian archaeology, as an independent branch of science. Soon Dad founded a constantly operative seminar of Christian archaeology in the department, which played an important role in the gradual formation of this field of science.

These seminars were participated by the best Georgian historians, its research programs gradually expanded and plans of arranging scientific sessions in Georgia were drawn up. A total of seven conferences (the first republican conference was dedicated to the 100$^{th}$ anniversary of the first world congress of Christian archaeology and to the memory of the founder of this congress G. Ross; the second – to 120$^{th}$ anniversary of Iv. Javakhishvili; the fourth – to the 2000$^{th}$ anniversary of Christophany; the sixth – to the memory of M. Brosset, etc.). Ramin Ramishvili was the editor of six collections of the short versions of the reports presented on these conferences, and the seventh one is being prepared for publishing. Representatives of the Tbilisi State University, Institute of History and Ethnography, Georgian State Museum, Institute of Art History, State Museum of Fine Arts and other scientific institutions, as well as foreign guests took active part in these conferences. I can clearly remember how delightful he was while telling me about his successful speech on the Twelfth World Conference of Christian Archaeology, which was held in Bonn. However, regrettably, he was not able to take part

in the work of the Thirteenth World Congress held in Split due to lack of funds in the Archaeological Research Center.

Work in the constantly operative seminar of the Archaeological Research Center was conducted on such important topics as (according to R. Ramishvili):

1. Activities of Christ's first Apostles in Georgia and the Caucasus.
2. Contribution of Judaic Christians to the spread of Christianity in Georgia.
3. Early Christianity and Georgia according to archaeological materials (ancient Christian structures, burial rites, structure of graves, artifacts decorated with Christin symbols, stelae, etc.).
4. Problem of Christian and Georgian chronology.
5. Ancient Christian centers in Georgia and beyond.
6. At the sources of forming saints' national pantheon.

It is important that 'Davati discussions' were regularly held in the seminars of Christian archaeology. They provided for the fundamental research of this unique monument. I often attended these meetings myself and have witnessed heated discussions and debates between scholars. Ramin Ramishvili's monograph 'Archaeological Investigation in Davati' made huge contribution to the comprehensive study of this monument.

Finally, I must say, regretfully, that after Dad's death the seminar of Christian archaeology stopped functioning and, indeed, no conferences have been held. However, so long as memories about this activity exist and the idea is still alive, this extremely important and necessary pursuit will be resumed in the future.